

652
1978/3



5
1978



...ჩემი უკელაზე უფრო სანუკვარი ნატყობ ისაა, რომ მკით-
ხველად მეცვდეს ფართო საზოგადოება, მუქა, მძროშელი ადა-
მიანი და ჩემი ნაყიქი მის სამსჯავროზე გავიტანო...

ლევ ტოლსტოი

牛郎织女

ლოგიტარებულ-მასთბორული და
საჭოგადოიგრიპ-კოლეგიაზონი/
ზურნალი ერთონაცვლები
საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის მიერ
არაროტოს განვითარებისა და
არაროტოს განვითარების
ორგანო

8 5 8 3 8 0 6 1 9 5 8 8 3 0 8 5 6

ଓଡ଼ିଆରୁ ଶାନ୍ତି

ლენინური კომკავშირი 60 წლისაა 8.

ପ୍ରକାଶକା, ପ୍ରମାଣି

1978

സൈറ്റീംഗ് റിംഗ്
സൈറ്റീംഗ് റിംഗ്



ა. შონია — თვალშეუდგამი მწვერვალი	35
რ. სურმანიძე — ლევ ტოლსტოის შუქი ბათუმში	42
ვრ. ხალვაჭი — მეგობრის ხსოვნას	48
პრიტიპა, პუბლიცისტიპა	
შ. ზოიძე — ლექსი მეწყერი	49
ს. აგაზაძე — „ადამიანს გაუმარჯოს, მოდი!“	56
ჭარილები	
ი. გეგირიშვილი — მეხილეობა აჭარაში	66
ჭიგნების მიმოხილვა	
ღ. ხახუტაიშვილი — საყურადღებო წიგნი ჩვენი ქვეყნის ჭალარა წარსულზე	87

რედაქტორი აკაკი შონია

სარედაქციო კოლეგია: ხარიტონ ახვლედიანი, მამია ვარშანიძე
(პ. მგ. მდივანი), ფრიდონ ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10.78, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 4303, ემ 00387, ქალალის ზომა 60×90¹/₁₆, ტირუ 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 28

დენიცარი კომკავშირი 60 ცლისა

ინტერესული
განვითარება

იწრთობოდა ფოლადი.

ახლა ვინ არ იცის, როგორ იწრთობოდა ეს ფოლადი, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ლიტერატურული ფაქტის საზოგადოებრივი რეზონანსი. პავლე კორჩაგინის ფხა მომდევნო თაობებსაც გამოჰყავა, ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედებითი გმირობა კი დარჩა როგორც მშენების ლეგენდა რევოლუციური ეპოქის ადამიანის სულის სიმაღლისა.

როცა ფიქრით ვუბრუნდებით განვლილ გზას, თვალშინ გვეხატება საყვარელი სახეები: ბორის ძნელაძე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სათავეებთან; ღნეპროპესის, ზაჟესისა და აწერესის მშენებლები; ფადიკო გოგიტიძე — პირველი აჭარელი ქალიშვილი ფოლადის ფრთხებით; ზორა კოსმოდემიანსკაიასა და ოლეგ კოშევოის, ზორა ჩუხაძისა და ისრაფილ ჯინჭარაძის თაობის თავ-განწირვა დიდ სამამულო ომში; დანგრეულ-გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ლაშქრობის მონაწილენი; ბამისა და ენგურჭესის ენთუზიასტები...

ექვსი ორდენი, სამშობლოს ექვსი უმაღლისი ჯილდო ამშვენებს საკავშირო კომკავშირის დროშას. თითოეული მათგანი გამოხატავს საბჭოთა ახალგაზრდობის შრომით და საბრძოლო გმირობას, მის ერთგულებას მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ხალხისადმი, დიდი ლენინის ანდერძისადმი.

ლენინური კომკავშირის საიუბილეო თარიღს წინ უსწრებდა საბჭოეთის საერთო-ეროვნული დღესაწეული — განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციის პირველი წლისთავი. ყველა სიკეთე, რომელიც ახალ კონსტიტუციის მოაქვს, უპირველესად მკუთვნის ახალგაზრდობას, მომავალ თაობას, ვის წინაშეც გადაშლილია სწავლისა და შრომის ფართო სარჩევლი, ვისაც ამოძრავებს შექმნის, შენების, ძიების დიდი სურვილი და არ აშინებს გაუკვალავი ბილიკებით სიარული.

მაინც რამდენს ნიშნავს კომკავშირი ჩვენს ცხოვრებაში! იგი გვაძლევს პირველ წრთობას, ცხოვრების პირველ გაქვეთილებს, გვანიჭებს შრომისა და ბრძოლის სიხარულს, გვინერგავს კეთილშებილურ გრძნობებს, პირველ რიგში კი სამშობლოს სიყვარულსა

და მაღალი ადამიანური იდეალების ჩრდენას. ამ საქმეში ჩვენა მწერლობა ყოველთვის იყო ლენინური კომკავშირის გუდიურაფლები მეგობარი. მარტო ნ. ოსტროვსკის მაგალითი რად ღირს: მარტინ შე „როგორ იწრობოდა ფოლადი“ თაობები აღიზარდნენ.

ომახიანად შემოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში ოცანი წლების პირველი კომკავშირები მწერლები აღიო მაშაშვილი, კარლო ქალაძე, კანსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებმაც მოიტანეს ახალი თემები და ახალი მხატვრული იდეებითა და სახეებით გაამდიღეს ქართული პოეზია, პროზა, ღრამატურგია. მათ მოჰყვა მირზა გელოვანის, ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, შალვა იოსელიანის თაობა. მირზა და შალვა სამშობლოს მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაეცნენ.

მირზა გელოვანს — პოეტსა და გმირს საქართველოს კომკავშირის პრემია მიენიჭა.

საკავშირო და რესპუბლიკური კომკავშირული პრემიები მიეკუთვნათ იმ ქართველ მწერლებს, რომელთა შემოქმედება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას ემსახურება.

შემოქმედთა თაობები ერთიმეორეს ვით ესტაფეტას გადასცემდნენ გალაკტიონ ტაბიძის მოწოდებას: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია... და ახალგაზრდობას სიტყვითა და საქმით უჩვენებდნენ სამშობლოსათვის თავდადების მარად უჭინობ მაგალითებს.

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები მუდამ იდგა ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთვის მუშაობის შესახებ“. ამ დადგენილების შემდეგ მწერლობაში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა პირველი ნაწარმოებები უკვე გამოჩნდნენ სამზოობებების შემთხვეობაზე.

ყველა თაობა ზეიმობს სახელოვანი კომკავშირის 60 წლისთავს. ჩვენებური ოქროს შემოდგომა თავისი ხვავითა და ბარაქით მხარს უბამს ამ ზეიმს. სოფლის მშრომელთა, განსაკუთრებით მეჩაიერების, წლევანდელ უმაგალითო გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდებმა, კომკავშირმა. მეჩაიერებმა ესტაფეტა გადასცეს მეციტრუსეებს. ოქროს რთველი დაიწყო. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები წარმატებით უტევენ წლევანდელ ზღუდეებს. სკოლებში, ინსტიტუტებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში ჭაბუკებსა და ქალიშვილებს გონების ნათელი ეფინებათ.

მოზეიმე კომკავშირი 60 წლის ახალგაზრდაა.

დიდება მარადიულ სიჭაბუკეს!

ქართველი ხალხი

საქართველო
მთავრობის მინისტრის მიერ გამოცემა

კომისამართის 60 წლისთავს შეიძლენა ახალგაზრდა მწერ-
ლების რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც საქართ-
ველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილებაშ მოაწყო.
ჩვენი უურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ამ თათბირ-სემი-
ნარის მონაწილეთა ნაწარმოებებს.

31 მარტი ღია ღია ღია

* * *

ხეები იდგნენ ვით დამცველები
ქუჩის, რომელსაც მშვიდად ეძინა
და ულმობელი შენი ცრემლები
ჩემს სახურავზე წვიმდა მეტწილად.
ხეზე ეკიდა სველი ფოთოლი —
გაყვითლებული შენი წერილი,
მე მარტო ვიყავ და მარტოობა
გულს მისერავდა შუბის წვერივით,
მაინც ღიმილით ვიდექ ბოლომდე,
რომ დამემალა როგორ ვლელავდი
და მარტმუნებდა ეჭვი ბოროტად,
რომ ერთნაირად წვიმდა ყველასთვის,
რომ ერთნაირად ქალი ყველასთან
არ შეიძლება იყოს კეთილი
და ასე შემდეგ... და უმოწყალოდ
მიშენდა ფიქრებს მძიმე კეტივით.
ვიძირებოდი ფიქრებში, ქუჩაც
იძირებოდა წყალში ტივივით,
თან მასწავლიდა ვმდგარიყავ ჩუმალ,
რომ არ დამეფრთხო ჩემი ტკივილით.
ხალხი, რომელსაც ეძინა დიდხანს
ძველი სიზმრებით ლალს და კმაყოფილს,

რადგან ვერაფერს შეცვლიდა სიტყვა,
 სიტყვების გარდა, თანაც თანხმობით,
 უფრო ადვილი იყო ცხოვრება,
 რომელიც მუდამ ასე მიჭირდა,
 რომ დარჩებოდა მხოლოდ ოცნება
 იმ გულუბრყვილო ბავშვის ფიციდან.
 მე ყურადღებით ვუსმენდი, მაგრამ
 პასუხის ნაცვლად დუმილს ვარჩევდი.
 გული ხელებით მეჭირა მაგრად
 და გალებული მქონდა ფანჯრები.
 და კვლავ მჭეროდა, რომ ჩემს გარეშე
 სულ იტირებდი და იწვიმებდი,
 რომ ტკივილიან ფიქრებით სავსეს
 მქონოდა შენი მოსვლის იმედი.

ოთარ გერაძე

* * *

ჩემი სამშობლო უთვალავი ჭირის მნახველი,
 ჩემი სამშობლო დაუმჰქნარი ვარდის სურნელი,
 ბაბუაჩემს რომ ამშვენებდა შუბლზე ნახმლევი,
 ის საქართველოს ჭრილობაა განუკურნელი.
 მასონეს მოხუცი — კერიასთან ხატივით იჯდა.
 მე დღემდე მომყვა სიყვარული იმ ძვირფას წამთა,
 ქართველი ხალხის სადიდებლად ასწევდა ჭიქას
 და ბეღნიერი ჭრილობაზე ხელს მოისვამდა.
 ეკიდებოდა წამწამებზე ცრემლები ნამად,
 ხელებს მოგხვევდა, მოგვიჭერდა როგორც მარწუხებს...
 და უცნაური შურისგებით იტყოდა ამას:
 ეს ჭრილობათ საქართველოს მკერდსაც აწუხებს.
 მასონეს ბაბუა, ძვირფასია ხსოვნა გვიანიც,
 საქართველოზე რომ ყვებოდა თვალცრემლიანი.

ԱԺԱՐՄԼՈ ՋՈԱԼՈՂՑՈ

- տատա Տայոցք...
(շաղմա շատրւիրեծ մալլո)
- մոյքի ներան?
- հապես գանատճա Տակլո...
- հա դրուս տուզլո.
- ջարուց շադուրո.
- մալլեծ հա օպեցքեծ?
- ալծատ նաժորո.
- յա յըրտո...
- և եզուս եար տպ?!
- Շենո յար, Շենո.
- Ֆո, մա՛ն և լո!
- տատա Տայոցք...
- (շաղմա շատրւիրեծ մալլո)
- մոյքի ներան?
- հապես գանատճա Տակլո.

ԹԱԹԱԿ ԹՐՎՈԱ

* * *

Գրտյեծ յամլուս լուսած, այրոնցքեծ հիմո տոլոյա.
Մորէս ձորոնթոնցնչ այբովյեցքեծ մասուս լուսա.
Ցլցուս լոյցտեսո ամ տոլոյաս առա կըուլոյա,
տումբ Ցլցամ այլուս ուս Տածրալո տացուս ահրդուլոա.

Մեր հիմտացուս Ցլցա եար Շեշւցնածո, մուշվալոմելո,
մյ մուգարյամբ, ցիամելունո լոյցար տոլոյաս,
յցուման նախուս տու մուցալից, մորս լուցուցումո,
Տածրալուլո? Տածրալուլո արց մուտեղնոա.

յցուման ցիամբ մարտոռնուտ կըլցեծ տոլոյա,
լու մուս ծյելո մյ համամլաց հիմո մշոնոա,
մյ լու տոլոյաս Տոյցարյուլո լոյցնուուց տորյեմ,
մյ լու տոլոյաս Տածրալուլո առ լոյցնուոա.

ՍՈԹԱՐԾԼՄ ՄԱՌԵ...

Համբե Շենո ցւլուս մօտեարօ,
Սոմահուլուս մարագ յըշվա — պառազաւել,
տորեթ սոցալնուս յրտա գոնցիալուց
առ ձարհենու հիմս ցւլս պարմնոնձու.
Իռու սոսաստրոյուս լոռու հայոլազս
պարմնոնձեծս, լամաչու ոմեջուտ Շեմլունս,
ծոլուսքածոլունս, ծոլուսքածոլունս
Սոմահուլու մանց մոցարդուս Շեն՛չո.

* * *

Հիմու որդեմլեծուս վախունուան
Շեմնեծուլու հիմ տհուունա.
մուզուունու դա պատա

Շենո սուրպազեծու մոմիոնճա.
— մե ձամուզունպա, տու գոնճա,
լույսու յու առա, ոլոնճաց.

ԵԱՌԱ ՄԱԵԱԿԱԲԵ

* * *

մոմենաթրեծու դա հիմու ոյիշրո
Շեն եար պալազո,
մոմե ոմեջու, հոմ զօծրմունու
ճաշուսիուլեծլուզ.
մոմենաթրեծու, հիմու ոյիշրուս
Շեն եար սատազո,
դա ունցեծու մաց ուզալեծուս

სითბოს ხატავენ.
 მომენატრები ისე, როგორც
 ქვეყნად არავინ,
 არ გთხოვ სასახლეს, ნება მომე
 დავდგა კარავი...
 მომენატრები, ჩემი იმედის
 შენ ხარ საფარი,
 რწმენავ მომავლის, არ დაშინგრიო
 თავშესაფარი.

გეღა ქაბურია

* * *

ჰაუ, მზე ცერზე შემდგარა უკვე,
 სხივები წკიპურტს ურტყამს მთის წვეროს,
 თეთრი ფიფქივით დასურავს ზეცას
 სამხრეთის ცაზე გაკრული წერო.
 ნამის სიმძიმემ წელში მოხარა
 ცისთვალა ია და ბალახები...
 ლალ ჩქერალებზე კამარას ჰყრავენ
 და ესწრაფვიან მზეს კალმახებიც.



შეღვენ კვასხვაძე

გ ვ ნ დ ი

ვაი, რა ცარიელია ეს საესე ქვეყანა
უადამიანოდ...

ილია ჭავჭავაძე

1

ჩემს მეზობლად, ერთ ხელისგულისოდენა ეზოში, სადაც სამადსამო
მოსახლე ცხოვრობდა, კაცი მოკვდა...

— მართლა რომ მოკვდა, — სიბრალულით გაითანგა ვიღაც, — არც
ცოლი დარჩა, არც შვილი, არც ნათესავი და არც ვინმე სისხლხორცეუ-
ლი საბრალოს.

წავიდა იგი წუთისოფლიდან გასაოცარი სიმშვიდით, უხმაუროდ,
ოდნავ მომღიმარის იერი დაკვდა ბაგეზე.

მისი არც კვენესა სმენია ვინმეს და არც ოხერა.

ვალმოხდილივით აღესრულა და მიაბარა თავისი არსება უფალს, ისე
როგორც რაინდული სულის ადამიანებს სჩვევიათ მხოლოდ.

...გვიან გაიგეს, ვეღარაფერმა უშველა. ექიმმაც უსიცოცხლოდ გაა-
ქნია თავი და თვალები დაენამა.

სასიცოცხლო კალენდრის უკანასკნელი ფურცელიც დაფერფლილი-
ყო...

— ვა, რა ღარიბი ყოფილა? — გაკვირვება აღმოხდა კარის მეზო-
ბელს, დავით კარლოვიჩს, ქალაქის რომელიღაც სასაღილოს ვამგეს. ჩან-
და, რომ იგი პირველად იყო განსვენებულის ოთახში. ზიზღით ათვალი-
ერებდა ირგვლივ ყველაფერს.

აქამდე ალბათ ამ მოხუცს ჩირადაც არ თვლიდა. ახლაც იმისათვის-

ფუსტუსებდა, სხვას დაწინახა, როგორ განიცდიდა ამ უბედურებას, გვლ-
ში კი...
თუმცა რას გაარკვევ შორიდან, ერთი-ორი შეხედვით, კაცის ჭრულების
დავით კარლოვიჩმა ვითომ და საქმიანი კაცის იერით აწონდა მუსიკის
ყველაფერი გუნებაში, სახეზე ორმა მწუხარება გამოიხატა ისტატურად.

— ქალ! — გასძახა ბოლოს ტირილისაგან სახემინისლულ ცოლს,
— ბავშვებს მიხედე, სანამ ამ უპატრონოს წაათრევენ აქელან!

ეზოში შეკრებილი ხალხის ყურამდე არ უცოცხლია ამ სიტყვებს.
მის ძლევამოსილებას იქვე ჩოჩქოლსა და მითქმა-მოთქმაში ჩაესვენა მზე.
კუთვნილ ხვედრს ვინ გაქცევია ნეტავ?

ჩუმი და წყნარი კაცის სახელი დარჩენოდა განსვენებულს. ყველა
მაღლიერებით იგონებდა.

— ამ ორმა მეზობელმა მოუღო ბოლო, თორემ ერთ-ორ პარასკევს-
კიდევ გაართმევდა ჯანსო, — სევდიანად ამოილულულა ვიღაც მოხუცა.
ზოგმა თავი დაუქნია, ზოგი კი უაზროდ იდგა გაოგნებული.

მზეს თავზე მონაზონივით რუჩი ჩადრი გადაეფარა და თვალებდა-
წითლებულს აღარაფერი აკლდა გულის მოსაოხებლად.

ქარი კი გულისგამწყალებლად სისინებდა და კვნესოდა.
შავებში გამოწყობილ ბოშა ქალივით მოეპარა ბინდი არემარეს.
დღის ნათელს კიდევ ერთი კაცის სიცოცხლე წარეტანა მევზურად.
კიდევ ერთის სიცოცხლე დაიცრიცა და დაიწრიტა მასთან ერთად.
„აღსრულდა ნება ღვთისაო“, — ასე ღალადებდა ზიარების ჟამს-
მოძღვარი ძველად...

2

მეორე მეზობელი სახლში არ იყო იმ დღეს.

ნოდარ ბარამიევის ამბავი რომ დაახვედრეს, „დაუსვენებია მაგ-
მათხოვარსო“, — დაბეჭითებით გამოსცრა იმწამს.

არც მიწა გამსკდარა და არც მისი მოქმედი ჩაუყოლებია სამწუხა-
როდ.

გულის ხეაშიადს სახის ნაკვთები ვერ უმაღავდა მცირედ. გულია-
ნად ხარხარებდა მასში სიბოროტე, გაუტანლობა და სიცარიელე.
განსწავლულიაო, ვერ იტყოდა მასზე ცხოვრების ავ-კარგის მცოდ-
ნე, თუმცა ინსტიტუტში მუშაობდა და მისაღებ გამოცდებზეც ხშირად
იძახებდნენ ხოლმე.

სხვა ჩიტი იყო, სხვა...

სხვა რამ მიაჩნდა კერპად და მიზანსწრაფვას შეუსისხლხორცა
ყოველივე.

არც მეგობარი არსებობს მისთვის კერპის გარეშე და არც მოყვარე.

უკერძოდ არარაობად ინათლებოდა მის თვალში ყოველი და
უცხლაფერი.

სინდის-ნამუსი ხომ ყველაზე დიდი ბარგია რეგვენისა მეტენისა და
რამდენი ცოდვა ადევს მის მოხრილ მხრებს და რამდენიც აწი ელო-
დება, ღმერთმა უწყის მხოლოდ.

ერთი კი ცხადია, ლაფში ამოთითხნა კაცური კაცის უძეირფასესი
სიმდიდრე — ადამიანობა, და ვერც ელირსება ვეღარასოდეს.

რა გაეწყობა?

არ ძალუბს განგებას შენდობა კაცობის გამფლანგველისა...

— ბინას დროზე მივხედოთ, საკუჭნაოდ მაინც გამოგვადგება —
დამრიგებელი ტონით უთხრა ვასილ კარლოვიჩს.

— ისე ჩათვალე, თითქოს შით ვისხდეთ — არ სჩვეოდა პასუხის
დაგვიანება კარის მეზობელს.

ამ დროს კი მათ გვერდით ოთახში სამუდამოდ, ღრმა ძილით ეძინა
თმაჭალარა მოხუცს.

თვალცრემლიანი მეგობრების ჩუმი ქვითინი არღვევდა მხოლოდ
მყუდროებას...

3

წყნარი შუადღე იდგა, ზეცა კოპებშეყრილი და უხასიათო.

რაღაც ჰანგებზე გაუგებრად ბუტბუტებდა სიო.

სასაფლაოს ერთ ფერდობზე ათიოდე კაცი ადგა მუხის კუბოს.

იქვე სამი მომცრო ტიკჭორა იდო.

სამი პატარა ყანწი.

და ადამიანური სითბო ლელავდა ირგვლივ.

— ღმერთი სამობითააო, ძველისძველი წესია თუ ბიბლიის გულის-
თქმა, არ ვიცი, — მთრთოლვარე ხმით წამოიწყო ერთმა დარბაისელმა, —
შაგრამ მოდით, ამ სამიოდე შესანდობრით გამოგალვიძოთ მიძინებული
გრძნობები და თავის უკანასკნელ გზაზე გავაცილოთ ცხონებული. —
ჩუმად ჩაახველა და ყანწი შეავსო.

— ამ პირველ სასმისით, — რიხი მოემატა ხმაში დარბაისელს, —
მოდით...

და დაილია უდროოდ დაღუპული განსვენებულის მშობლების
სადღეგრძელო.

— ამ მეორე სასმისით, — გულშიჩამწვდომია წამოიწყო დარბაისე-
ლმა, — მოდით...

და დაილია განსვენებულის კაცობისა და ადამიანობის, გულკეთილო-
ბისა და უაღრესად თბილი გულის შესანდობარი.



— ამ მესამე სასმისით, — დარბაისელი გრძნობით მასლაათობდა...
გოდით...

და თითოეულმა გაიხსენა რაღაც მოსაგონარი.

— მისი მამა და მე ერთ მეტზე ვისხედით, — წარსულს გამოგლი-
ჯა მოგონება დარბაისელმა, — ჩემს თვალშინ დალია სული მეუღლესთან-
ერთად. ჯერ კიდევ რაღაც ოცდაორი-ოცდასამი წლისა არ იყვნენ, კატა-
სტროფაში რომ...

ცრემლი მოერია, ხმაც ჩაგხლიჩა, მაგრამ თავი შეიკავა.

— მაშინ შევფიცე, ვეპატრონები თქვენს პატარას-თქვა, მაგრამ:
ხომ ხედავთ, არ შემძლებია ფიცის შეს... ვერ ვეპატ...

ისევ აქვითინდა ეს დევივით კაცი. ბოლო სიტყვები არავის სმენია,
ნიავის გარდა...

— უმაღლესში მისი ამაგით მოვხედი, — წამოიწყო მაღალთ მაღა-
ლმა ახალგაზრდამ, — ბოლო გამოცდას მაგი და ნოდარ ბარამიევიჩი
იბარებდნენ, დალებითი ნიშანი მყოფნიდა, კარგადაც ვუპასუხე, მაგრამ:
ვინ გიწერდა.

— ზერელე ცოდნა გაქვთ ჭაბუკო, ზერელე, მოემზადეთ და მომავალ-
წელიწადს ჩააბარეთ, — დამარიგა ნოდარ ბარამიევიჩმა და საგამოცდო
ფურცელს დასწვდა.

— ეს როგორ? — გაქვირდა ცხონებული.

— აქ მაგისთანა იცი კიდევ რამდენი უნდა დაუფერთხოთ!

— ეკუთვნოდეს და არ დაუუწეროთ!

— რა ხეირია მოსალოდნელი მაგისაგან, არაფერი, კაპიკის სარგე-
ბელსაც ვერ ნახავ. თანაც სხვას გავანაწყენებთ...

— ჩუმად, მგონი ესმის და თავი მოგვეჭრება.

შემომხედეს.

— ესმოდეს მერე, — უტიფრად განაცხადა ნოდარ ბარამიევიჩმა, —
ისე რომ არავინ ეწყობა, ჭურში ხომ არ ზის, არ იცოდეს...

მაშინ კი იენთო ცხონებული, გამოსტაცა საგამოცდო ფურცელი და...
მაჩუქა ნანატრი სტუდენტობა, ზებუნებრივი განცდა და სიყვარული-
სიკეთისა, სიპატიოსნისა, სიმართლისა, ცრემლისა და ლიმილისა...

— ამ ზაფხულს ზღვაზე ვისვენებ, გუშინ ყური მოვეარი შემთხვე-
ვით და... სახლში რაღა გამაჩერებდა. — თქვა და მოსაგონარი დასცალა...

სიჩუმეს დიდხანს არ უმეფია. უმალ დაირღვა...

— ერთხელ მითხრა, საბინაო სამმართველოს რამდენჯერმე ვთხოვე
ბინის გადაცვლა, მაგრამ ყურიც არავის გაუბარტყუნებიაო... სასიკვდი-
ლო რა სჭირდა. — კვნესოდა ერთი.

— იმ მეზობლების გვერდით როგორ გაძლებდა პატიოსანი კაცი, —
ამოიოხრა მეორემ.

— სულერთია, ღმერთი მაინც არ გაახარებს, მოსპობს და ჩაქოლევს
მთ სახსენებელს, — ამოიკრულა მესამემ.
იარების მოსალბობი მალამო — ცრემლი უხვად დაიღვიშულია თუა
მაგრამ...
დარჩა იარები, რომლებიც არ შეშუშდებიან არასოდეს...

4

კარის მეზობლებმა არ იკადრეს დასაფლავებაზე მისვლა.
არც მიუშვებდნენ.
მათ გარეშე მიიღო მიწამ ღვიძლი შვილი და გულში ჩაიკრა.
მესაფლავემ ნიჩაბი იქვე მიაგდო და ხალხს მიაძახა:
— მიწა!

ყველამ თითო პეშვი მიწით დააპურა კუბო.
ასე გაილია იგი დღე, უხასიათო და დამტანჯველი...
ოდითგანვე უთქვამს ჩვენს ბრძენ ხალხს: „ლომის ნადგომზე ძვლე-
ბი დარჩება, კაცისაზე კი სახელიო“.

ბეღნიერი ხვედრია, ვისაც ელირსა.



ჯემარ ხოვერია

ჩვენა ვართ და...

შიფერით გადახურული გრძელი ფარდული, რომელიც საამქროს რაღაცნაირ იმიტაციას წარმოადგენს, ქარხნის ბოლოში დგას დამამზადებელი საამქროს გვერდით. ფარდულის ქვეთ მოტიტვლებული მინდორია, რომელიც ქარხნის რეზერვს წარმოადგენს — საჭიროების შემთხვევაში აქ ახალ საამქროებსა და სხვადასხვა საწყობებსა თუ სათავსოებს ააგებენ.

ფარდულში ერთადერთი დანადგარი დგას — გრძელი, მაღალი, საოცრად რთული კონსტრუქციის საწნეხი, რომელიც შორიდან თანამედროვე ნამსატყორცნს ჩამოგავს. ფარდულის გვერდით თუ მის ახლომახლო სხვადასხვა საამქროებიდან გამოზიდული ჯართის მთებია აღმართული. მაინც რას არ შეხვდებით აქ — სხვადასხვა ზომისა და სისქის თუნუქის ჩამონაჭრებს, წუნდებულ დეტალებსა თუ სტაბილიზატორების ფუტლარებს... საერთოდ ყველაფერს, რაც უკვე ქარხანას ორაფერში არგია. სწორედ ამ უცარგისი ნარჩენების დასწნეხადა გათვალისწინებული ეს დანადგარი, რომელსაც ოთხი ვემსახურებით — სარდიონი, აბო, გიზო და მე. მართალია, სარდიონი საცაა საპენიო ასაკს მიაღწევს და მალე გავაკიდეც, მაგრამ ჩემინი ბრიგადა მაინც კომკავშირულ ბრიგადად ითვლება. თუკი ერთი წუთით ციფრობრივ, ანუ ბულალტრულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ჩვენ ყოველდღიურ დავალებებს ასათი-ასოცი პროცენტით ვასრულებთ, ჩვენი ოთხეულის სურათები მოწინავეთა დაფას არ სცილდება.

ჩვენი ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, სარდიონია. რაღაც სიმბოლურიც კია ამაში: სარდიონი—ვეტერანი კომკავშირელი და ჩვენ კიდევ ახალბედები. სარდიონს ისეთი შრომითი ბიოგრაფია აქვს, უკეთესი არც შეიძლება ინატრო. კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობებზე უმუშავენია, ომიც მოუხდია, ომის მერე კამჩატკაზე, თევზის სარეწებში უც

დია ბედი. ახლა კი ჩვენთანაა აგერ და ბრიგადას ხელმძღვანელობს. ცოტ-ცოტა ცველაფერი იცის, ხარაზობით დაწყებული და ქალაზონი-ბით დამთავრებული. მაღალი კაცია სარდიონი, კერქეტა, გვუტეჭული, ცარიელი ძვალი და ძარღვი. ნაღდი მუშაა და ნაღდზე-ნაღდი პულუატუ უფროსი ამხანავი და დამრიგებელი. ჩვენ ძალიან უყვარვაროართ. ბრიგადის საჭიროებისათვის წყალში გაუხდელად გადავარდება, ვისთან არ მივა, ვის არ შეაწუხებს და თავისის მაინც გაიტანს. თავისითვის არაფერს ითხოვს, მარტოხელა კაცია და რაც გააჩნია იმითაც კმაყოფილია. ისე ვართ შეჩვეულები და გაშინაურებულები მასთან, რომ უმისობა ვერც კი წარმოგვიდგენია. მართალია, ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციაში იფიციალურად არ ირიცხება, მაგრამ, როგორც ყოფილ კომკავშირელსა და ვეტერანს, მაინც ვთვლით ჩვენს წევრად. ყოველ კრებაზე თუ ყოველ ღონისძიებაზე გვესწრება, დავალებებსაც ღებულობს, ხანდახან სიტყვითაც გამოდის და გვარიგებს კიდეც, თუ რისი გაკეთება როგორ სჭობს და როგორ არა. ასაკით თუ სარდიონია ჩვენს შორის უფროსი, სამაგიეროდ ყველაზე გრძელი აბოა. მაღალი, საოცრად აწოწილი, სუსტი, დინგი, მოუხეშავი, გრძელზე გრძელი ხელები და ვეებერთელა მუშტები აქვს, ყორნისფერი, ჯაგარივით მოუხეშავი თმა აჩეჩია და თაფლისფერი თვალები კეთილად ულიმის.

გიზო მისი სრული ანტიპოდია — სქელი, დაბალი, ჯაგვირა, შავი თვალწარბი, ხუჭუჭა თმა... ალალი ბიჭია, დინგი, აუჩქარებელი, ვირის-ღონის პატრონი. მე, შეიძლება ითქვას, გრძლამავალს წარმოვადგენ აბოსა და გიზოის შორის — არც მაღალი, ვარ და არც დაბალი, არც სუსტი და არც სქელი.

ჩვენს სამეულს შორის ყველაზე სტაუინი მუშა აბოა — ექვსი წელია რაც ქარხანაშია. მე და გიზოია კი — სამი. სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენი დღევანდელი საქმე გულზე არ გვეხატება, მაგრამ ვიცით, ჯერჯერობით ასე საჭირო. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ, ამ საქმეზე დაზხანს არ გავჩერდებით. მე, მაგალითად, ექსპერიმენტულ საამქროში მინდა გადასვლა, იქაც კარგი ბიჭები მუშაობენ, ქარხნის აქტიური კომკავშირელები. საინტერესო, სასარგებლო საქმესაც აკეთებენ — ახალი კონსტრუქციის. სხვადასხვა დანიშნულების შტამპებსა და ხელსაწყო-იარაღებს ამზადებენ. თავისუფალ დროს მივდივარ მათთან, ვუცქერი მუშაობაში გართულთ, ვცდილობ ყველაფერი დავიმახსოვრო. იციან, მაინტერესებს და ისინიც დაუზარებლად მიხსნიან. გიზომ შარშან პოლიტექნიკურში აპარა და მოწყო კიდეც. როცა ინსტიტუტს დაამთავრებს, ქარხანაში დარჩება და რომელიმე კომკავშირულ ბრიგადას ჩაუდგება სათვეში, აბოს კიდევ: ზეინჯლობა აინტერესებს.

ჩვენს ოთხეულში მხოლოდ სარდიონს არ სურს იფიქროს მომავალზე, მას არ გააჩნია მომავლის გეგმები, სულ იმაზე წუწუნებს: პენსიაზე

რომ მიკრავენ თავს, საქმე რომ არაფერი მექნება, რა მეშველებაო /
სარდიონი მართლაც რომ უცნაური ბრიგადირია, უთერია და არც ჩვენ გვაცლის ძილს, სათითაოდ ჩამოგვივლის სამივეს, წარმოზოგ
ყრის ზეზე, გაგვიგდებს წინ და ლოგინიდან აყოლილი მოქნელურშემომართ
მოთენთილობა რომ დაგვითროთხოს, გაუთავებლად გვექანება და გვე-
ჟაქანება გზაში.

არაფრის დიდებით ავტობუსში არ აგვიშვებს: დილით, სუფთა ჰაე-
რჩე ფეხით გასეირნებას არაფერი ჯობიაო და ასე გვაბლაყუნებს ამ სი-
შორე გზაზე. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქარხანაში ორმოცა,
ორმოცდახუთი წუთით აღდრე არ მივსულიყავით. მივალთ, გამოვაფხიზ-
ლებთ სანახევროდ ჩათვლემილ ვახტიორს, გადავაბრუნებთ დაფაზე ჩვენ-
ჩვენს უეტონებს, გავდივართ ქარხნის ეზოში და წეროებივით ჩამჭრივე-
ბულები მივემართებით ჩვენი სამუშაო აღგილისაკენ. ირგვლივ მყუდრო-
ებაა, სიჩუმეა, მივაბიჯებთ და ასფალტზე ჩვენივე ნაბიჯების ხმალა გვეს-
მის.

მივდივართ ჩვენს მიუუჩებულ ფარდულთან, ვიცვლით ტანსაცმელს,
ვიცმევთ კომბინეზონებს, რეზინის ჩექმებს და უკვე მზადა ვართ, მაგრამ
სწორედ ახლა იწყება სეირი... საქმე ისაა, რომ სარდიონი არცერთ ჩვენ-
განს არ ანდობს ფიწლებს და ყოველთვის თავად ინახავს. ეშინია, არა-
ვინ მოიპაროს. როგორ, ვინ უნდა მოიპაროს, ანდა ეს ფიწლები ვის რა
ოხერად უნდა, ეს ჩვენ ვერ გაგვიგია. ჩვენ სარდიონის საგულდაგულოდ
შენახულ ფიწლებს აღგილს უნაცვლებთ და მერე, როცა იგი მათ ძებ-
ნას შეუდგება, ვდგავართ, ვთთომდაც არაფერიო, ვუკრავთ ერთმანეთს.
თვალს და ვილიმებით. სარდიონი კი ეძებს, ღელავს, იბოლმება, ბუზლუ-
ნებს, ვილაცას სულს უწიწმატებს.

ძილგამოყოლილი გიზოია ამთქარებს და მერე ნაგვიანევად იფარებს
უკვე დამუწულ პირთან მუშტებს. სარდიონი თვალს ასწრებს და...

— ბუზი არ ჩაგიძრეს, ბუზი! — აფრთხილებს, — არ გიძინია წუ-
ხელის თუ რა რომ აგახა ყბა?

— არ მიძინია, ხო, არ მიძინია! — განგებისად ბუზლუნებს გიზოია,
— წიგნს ვკითხულობდი, წიგნს. შენსავით უწიგნური კი არა ვარ, აბა!..

— უწიგნურს მოგცემ მე შენ! შენ, ჩემო ბიძია, დაბადებული არ
იყავი, მე რომ ყველა წიგნი გადავიყითხე.

არა, რაც მართალია, უწიგნურობას ვერ დასწამებ სარდიონს. ნაკი-
თხი კაცია, არაფერს არ გაუშვებს ხელიდან წაუკითხავს, სჭირდება თუ
არ სჭირდება, მისთვის სულერთია.

— უწიგნურიო! — ბუზლუნებს ფიწლებზე და გიზოიას ნათქვამზე
დაბოლმილი სარდიონი, — ჩაგაფარებ ერთ კაი მოწონებულს და ამას
გამომრჩები ამ უთენიაზე.

— ჩამაფარებ და კარგ ხურდასაც დაიბრუნებ! — იკრიჭება გიზოია.

— რაიმ?! — ყურებს არ უჭერის სარდიონი. იჯგიმება, ჩატარების
მკერდს წინ აგდებს, დოინჭს იკეთებს და მონუსხლივით შეაცერის
თვალებში — ეს რა მკაფრე ამ დროულ კაცს თუ იცი?.. მე უძირებულ-
ხელა შვილი უნდა მყავდეს ახლა... რომ მომენტომებინა!

— მერედა ვერ მოინდომე? ვინ დაგიშალა?

— შემეშინდა, შენისთანა პლურტი არ გამომივიდეს-მეთქი და არ
მოვინდომე.

— აბა, რას გვამადლი? — გიზოია ჩექმის ქუსლით ასრისავს მიწა-
ზე სიგარეტის ნამწვეს და დაჭდომას პირებს, მაგრამ სარდიონი მძორ-
ნაყნასებ აფთარივით აცხრება: — დაჭდომის და დარახათების დროია
ახლა? შევუდგეთ საქმეს, თორემ ჩაგვადნა ეს დღე ხელში და ჩვენს გა-
საკეთებელს არავინ არ გააკეთებს. ნუ გეშინია, დირექტორი არ მოგვა-
დგეს ამ დილაუთენიაზე, არ გადაიკაპიროს და არ დაავლოს ფიწალს
ხელი... ჰო, მართლა, სად გადააჭვესქნელე ბიჭო, ფიწალი?

— მე სად გადავაქვესქნელები ვითომ? სად შეინახე არ იცი?

— ხედავ ახლა ამას შენ? — ხელებს შლის სარდიონი. რატომძაც
გიზოია ჟყავს ამოჩემებული და იმ „გადაქვესქნელებული“ ფიწლების
გამო ყოველთვის მას ეჩხუბება — ავდგები ახლა და მივალ დირექტორ-
თან.

— მიდი მერე, მიდი! — ჭუჭლურებს გიზოია, — რას ეტყვი, სკლე-
როზიანი ვარ, სად რას შევინახავ მავიწყდებაო?

— სკლეროზიანიონ?! ახლა მაგიც დამაბრალე, არა! მაცალე ცოტა,
ღდინს ავაცლი, ღდინს!.. მიდი ახლა და აქ გამიჩინე ფიწლები!

— ჩემს მეტი აქ არავინაა თუ რა? — ბუზლუნებს გიზოია, თვალს
გვიპაჭუნებს, მიდის და ფიწლებს მოათრევს.

სარდიონს გაოცებისაგან თვალები ლამის შუბლზე დაასხდეს: —
სად იყო მაგი საჯანდაბე? — კითხულობს რალაცნაირი დაეჭვებით.

— სად იყო და სადაც შენ დატოვე.

სარდიონი მლოცველივით წვართავს ორივე ხელს მაღლა და მო-
წმენდილ ცას შეჰვალადებს: — ამ ბოლო დროს ისე რავა გამაბითურე
დალოცვილო, რომ ჩემს შენახულს ჩემს გარდა ყველა ნახულობს?

ვიცინით. სარდიონს ორუბელივით ეყრება გულიდან დარღი, საგულ-
დაგულოდ იუზურთხებს ხელისგულებზე, ფიწლის ტარს გამეტებით ბლუ-
ჭავს ხელებში და უკურთხებს: — შენი მომგონის სული ვატრე მე! შე-
ნაც გიზოიასავით გეზარება მუშაობა თუ რაა სულ რომ იკარგები?

— აწი მე შევინახავ და ალარ დაგვირჩება ყოველ დილით მოსაძებნი.

— შენი შენახული... მიაბენტერებ სადმე და აწაპნის ვილაცა. ჩვენი
საკუთრება კი არაა, ქარხნის ინვენტარია, ქარხნის.

— დამიწყე ახლა...

— კი არ დაგიწყე, დავიწყოთ! — უსწორებს სარდიონი და მართ-

ლაც ვიწყებთ. ჭერ ურიკით ვზიდავთ გართს და წნეხის მახლობლად ვყრით, მერე ვიმარჯვებთ ფიწლებს და ვიწყებთ ბუნკერის აწლებაში. თუნუქის ნარჩენი ხრიჭინებს, თავმომაბეზრებლად ჩხრიალებს ასეულო სამუშაოს, ნერვების მომშლელი. მალე ვიღლებით, ვქნებით, დოოდადრო ხელის ზურგით ვიწრიტავთ შუბლზე დაცვარულ ოფლს.

ბოლოს ბუნკერი ივსება და ოთხივენი შშვიდად ესუნთქავთ.

— ესეც ასე! — სარდიონი ფიწალს ხელიდან უშვებს, იხრება, ზე-იმური გამომეტყველებით აჭერს გაჩხეკილ საჩვენებელ თითს ღილაკს. თითქოსდა თითის დაპერით რომელიღაც მბლავრ საწარმოს უშვებდეს მოქმედებაში.

წნეხი მონოტონურად ზუზუნებს, რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება, უფრო უმატებს ზუზუნს, თუნუქის ნაკუწები ყურისწამლებად ჩხრიალებს, ხრაშუნებს, ერთმანეთს ეკვრის, იხლართება. მონიკელებული ლილვი თვალისმომჭრელად ლაპლაპებს ფანჯრიდან შემოყყეტილი მზის სხივებზე, თანდათანობით აწვება დიდ, გაფართხნილ დოლურს, ეს უკანასკნელიც ნელ-ნელა, უხმაუროდ მიცოცავს და მისი ბლაგვი საცეცები თანდათანობით იტაცებს, ისრუტავს ყველაფერს, რაც კი ბუნკერშია. დროდადრო ფიწლებით ვეშველებით, რათა ბუნკერში არაფერი დარჩეს და თავს ვიმანევებთ თუ პრესს ვამხნევებთ, არ ვიცით: — აბა, მი-დი ძველო, მიდი!

ისიც მიდის. ხმაური თანდათანობით მატულობს, ნისლივით იშლება და თვით დამამზადებელი სამქროდან გამოჭრილ ხმაურსაც კი ფარავს.

— არ დაგვაყრუა ამ ოხერმა? — ბუზლუნებს სარდიონი.

მერე რამდენიმე წუთს თავისუფლებით ვართ. ხელისგულებით ვეყრდნობით შუბივით მიწაზე დარჭობილ ფიწლების ტარს და შევცერით დანადგარის მუშაობას, რომელიც ნელ-ნელა, თანდათან ყრის ლაფეტიდან ლითონის მძიმე ბრიკეტებს. ყოველ ჩატვირთვაზე სულ ათი ცალი ასეთი ბრიკეტი მზადდება.

— სულ მჭადვით არ აცხობს ეს დალოცვილი? — ქირქილებს სარდიონი, ღილაკზე აჭერს თითს და დასინს: — აბა, ბიჭებო, მივხედოთ, საქმეს!

ახლა, მეორე ჩატვირთვამდე, დანადგარს შეუძლია დაისვენოს, ჩვენ კი არა. ვიკეთებთ ბრეზენტის ხელთამანებს, ვეშველებით ერთმანეთს, ვილებთ მძიმე ბრიკეტებს და სხვა აღგილზე გადაგვაქვს. მერე ისევ ვიმარჯვებთ ფიწლებს და განვაგრძობთ ჩატვირთვას... ისევ ჩხრიალი, ისევ ოფლის მოწრეტა და ხვნეშა. მეოთხე ჩატვირთვაზე უკვე ინერციით ვმუშაობთ. ციებაშეყრილივით ვეიანკალებს მუხლები, ხელებს ნათხვარივით ვამოძრავებთ. ახლა დასვენების მეტი აღარაფერი ვეინდა, მაგრამ დასვენება არ შეიძლება. დრო, დრო არ ითქმენს: შესვენებამდე საბარგა მანქანა მოვა და თავისი ულუფა რომ არ დავახვედროთ, ატყდება

ერთი ყაყანი და დავიდარაბა. ჩვენ კი ამას არ დაუუშვებთ! თანაც სარდიონის გვეხატრება. ჩვენ დავისვენოთ და მან იმუშაოს, არ გამოვა, უზერხულია. ის კი, თუ საქმეს არ მოჩანა, არაფრისდიდებით უწინდესობას თავს. როგორც კი შეამჩნევს, რომ დაღლილები ვართ და არაქათი გვაქვს გამოცლილი, სარდიონი მაშინვე ახალ ფსიქოლოგიურ ფანდს მოიშველოებს, გვიყვება ყოველივე იმ გაჭირვებასა და სირთულეზე, რაც ჩვენი ტოლა ბიჭებს, მის დროინდელ კომკავშირელებს გადაუტანიათ ახალი წყობილების განმტკიცებისათვის შრომაში თუ დიდ სამამულო ომში. ჩვენდაუნებურად ვუგდებთ ყურს და გვრცხვენია — იმათ თუ იმდენი გადაიტანეს და გაუძლეს, ჩვენ რაღა ღმერთი გვიწყრება ისეთი, რომ ბუნკერში ეს საოხრე ჭართის ჩატვირთვაზე ავწუწუნდეთ? ჰოდა, ვმუშაობთ, არ ვზოგავთ თავს. სარდიონს ულვაშებში ეღიმება, თხუნელასავით კუსავს თვალებს და საქმითაც გვამხნევებს და სიტყვითაც. მე შენ გიტყვი და სათქმელი და სალაპარაკო გამოელევა! მუშაობაში შეუმჩნევლად, თვალსა და ხელშუა გადის დრო, მზე ნელ-ნელა მიიწევს მაღლამაღლა, ზენიტისაკენ, მალე შესვენება დაიწყება, ჩვენ კი ლამის საქმე მოვამთავრეთ უკვე.

ის-ისა უკანასკნელ ბრიეტს ვიღებთ ლაფეტიდან, რომ საბარგოც მოდის. შოთერი შორილან გვიწევს ხელს, იქრიჭება, მანქანას აყენებს, ბორტს ხსნის, ჭდება ჩრდილში და არხეინად აბოლებს პაპიროსს. ჩვენ კი მანქანას ვტვირთავთ — ხვევშით მივათრევთ ბრიეტებს, ერთმანეთს ვეშველებით და ვტვირთავთ მანქანას. ასე მეორდება მანამდე, სანამ ოფლში გახვითქულები უკანასკნელ ბრიეტს ავიტანთ ძარაზე.

— ყოჩალ თქვენ! — იკრიჭება მძლოლი, თამბაქოს ბოლისაგან ჩაყვითლებულ კბილებს ხვაწავს, ბორტს ხურავს, ჭდება კაბინაში და მიღის, რათა საღამოს ისევ მოვიდეს.

ჩვენ თვალს ვაყოლებთ მანქანას, მერე უხმოდ, შეთანხმებულებივით ვბრუნდებით ფარდულთან, ვჯდებით ჩრდილში და ვისვენებთ. შესვენებამდე ოციოდე წუთი კიდევაა და ამ დროს როგორც გვინდა ისე გამოვიყენებთ. სხვა თუ არა, ეს ჩვენ დავიმსახურეთ.

როგორც ყოველთვის, მყუდროებას ისევ სარდიონი არღვევს. ისევ ეშლება ლაპარაკის საღერღელი, ყვება ცისა თუ ბარისას, ნახულსა თუ გაგონილს...

— „ეჲ, ჩემო ბიძიებო, შეიცვალა ცხოვრება, მეტი რომ არ შეიძლება ისე შეიცვალა. წინათ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, თქვენხელა ბიჭები სად არ მიღიოდნენ ხელობის შესასწავლად, როგორ არ იჭირვებდნენ და თავისისას მაინც აღწევდნენ. ახლა კი გაუჭირვებლად, მზამზარეულადაა რაც გინდა სულო და გულო, მიღი, აკეთე, იმუშავე, ზაგრამ არ სურთ... ახლა ყველას სწავლა, ხელში პორთფელი, კაბინეტი და რბილი სკამი აინტერესებს მარტო. ზოგიერთი ხუთ-ექვს წელიწადს აბარებს უმაღლესშია

მერე კიდევ ხუთ წელიწადს ადგილს ექებს ჭალაქში, დაყიალებს უსაქმოდ და როგორც წურბელა ისე აზის მშობლებს კისერზე. თქვენ ხომ იკინ რამენა სახლია, მე რომ ვცხოვრობ? ასოცინიანია. პოდა მტკქლეჭრა ჩემს გარდა ყველა ნასწავლია, ყველა პორტფელით დადის. მაგრამ კედლის ამოყვანა და ფიცრის გაშალაშინება რომ დაავალო რომელიმეს, ვერ შეძლებს. უბრალო ფიცარი რომ აქვთ მისაჭედებელი კედელზე, მაშინაც მე მეძახიან... გავიხედე ბიჭებო ერთი და მივედი პივის დასალევად.

— ლუდის! — უსწორებს გიზო.

სარდიონი ცბება, ნიკაპს იჯხანს და თვალებმოჰუტული ეკითხება: — შენ რაზე სწავლობ, გიზოა?

— მე? ლიტერატურულზე!

— ქე გეტყობა, მარა გირჩევნია ინტრიგანობას მოეშვა და მაცალო ლაპარაკი... მივედი კაცო და რას ვხედავ...

— რას? — ახლა აბო აწყვეტინებს და იზმორება.

— მაცალე ბიჭო-მეთქი, თვარი, რომ გამოგიქანებ მაგ კვახისხელა გოსროში ამ ფიწალს, იმას გამომრჩები ერთს... პო, მივედი კაცო და არ ვიცანი?

— ვინ? — ახლა მე ვაწყვეტინებ.

— „ვინს“ მოგცემ მე შენ! ვინა და მასწავლებელი იყო ერთი... დამადგარა და პივას, ლუდის ყიდის. გამიკვირდა და ვკითხე. რა ვქნა, ეს უფრო სარფიანია. დამალევინა წყლიანი ლუდი, სამი კაპიუიც ქე შეიტყაც პუნა და ვითომ არაფერი, ისე გამომისტუმრა. კაცი რომ მასწავლებლობას თავს დაანებებს და წყალნარევ პივას გაყიდის, იმისი რა მითქმია... ამ გახსენებაზე, შენ რა გამოხვალ გიზოა?

— ინუინერი.

უსიტყველ აშტერდება სარდიონი, მერე რაღაცას ანგარიშობს, აჯაშებს ვონებაში და ნაღმივით ფეთქდება: — პაიტ შე მართლაც ჭიბიდან გავარდნილისერთო და პლურტო, ვისაა თუ იცი რომ აბითურებ შენ? ლიტერატურულზე თუ სწავლობ, ინუინერი როგორ გამოხვალ?

ვხარხარებთ. დაღლა გვავიწყდება და საოცარ სიმსუბუქესა და სულიერ სიშვიდეს ვგრძნობთ.

შესვენება იწყება. სარდიონს მორიგი წინადაღება შემოაქვს. სამივენი ვეთანხმებით — სასადილოში წასვლას იქ, მოლზე, ხის ბირას სადილობა ჭობია. ისევ გიზოის ვაბამთ ეუვანს და ისიც იძულებულია წავიდეს ხორავის მოსატანად. მიდის ბუზლუნ-ბუზლუნით და თან გვაფრთხილებს: — ხვალ, სულ რომ შიმშილით მოკვდეთ, არ წავალ იცოდეთ!

— ხვალ მე წავალ, ბიძია! — ამშვიდებს სარდიონი.

...ვზივართ ხის ძირას მოლზე, ნამაზის შემსრულებელივით მუხლ-მოყრილი, მადიანად ვილუქმებით გაზეობზე გაშლილ ხორავს და დრო-დადრო ღვინოსავით ვაყოლებთ საქმაოდ შემთბარ წყალს. სარდიონი არც

ყბას ასვენებს და არც ენას. მორიგ სადღეგრიელოსავით იწყებს ქაზიგ ამბავს: — ამას წინათ, ბიჭებო, ერთი ისეთი ქალი დავინახე, გადავირი კაკალი კაცი, შევხედე და ისე ამბურიგლ-ღამბური გადავირი ამაკანკალ-ჩამაკანკალა, ვინმეს რომ შეეხედა, იფიქრებდა: პირული ნამდვილად ბნედიანია და საცავ მოუვლისო. ჩაში ჩატრილ შაქარივით არ დავდნი და არ დავილი თვალსა და ხელშუა კაცი?

— რა იყო მაინც ასეთი! — ვერ ითმენს აბო და პირთან მიტანილ ლუკმას ისევ უკან აბრუნებს პასუხის მოლოდინში.

— რა იყოო?.. — თვალებს ძველ სურაზე ალბეჭდილ ფირალივით ქაჩავს სარდიონი. — რა იყო და მაისის მთვარე.. რა თვალები, რა ტუჩები.. ტანი... ტანი... აი ასეთი, აი, ასეთი! — ავაზის სისხარტით დგება ზეზე ეს დროული კაცი და რაღაც წამების განმავლობაში გაშლილი ხელებით ქალის ისეთ ფიგურას ხაზავს ჰაერში, რომ თვით დედოფალ ნეფერტიისაც კი არ დაესიზმრებოდა.

გიზოის ლუკმა ცდება სასულეში, ლურჯდება და იჭაჭება ხველით. ზურგზე ხელის გულს ვურტყამ, რომ როგორმე სული მოიბრუნოს, თანაც, მოგონებით გაშტერებულ, ზეზე მდგარ, ჭამადავიწყებულ სარდიონს ვახსენებ: — თავი და ტანი ქე დავამთავრეთ, ახლა მარტო თეხები დაგვრჩა!

— რა ფეხები? — ვერ მიგებს, თვალებს ახამხამებს, ბოლოს ხვდება, მშიერ ტურასავით აცმაცუნებს ტუჩებს, ჯდება და განაგრძობს — ახლა ფეხებს არ იკითხავთ? თეთრი, თეთრი, ჩამოქნილი, ნამდვილი ბროლი.. ღმერთი იყო, ნამდვილი დედოფალი. მარა, სიმართლე გითხრა, ქე შემეცოდა.

— კი, მაგრამ, იმისთანა ლამაზ ქალს რა სჭირდა შენი შესაცოლებელი? — არ სჯერა აბოს.

— რა და, ქმარი ახლდა უშნო, ზონზროხა... გავბრაზდი.

— რაზე? — კითხულობს როგორც იქნა სულმობრუნებული გიზოია და წყალს კოკტეილივით წრუბავს ბალახის ღერით.

სარდიონი უბღვერის: — აღარ დამამთავრებინებ ბიჭო სათქმელს? რამ გამაბრაზა და იმ ქალს თვალები რამ დაუფსო-მეოქი, ვიფიქრე.. იფ რა ქალი იყო..

— კაი ახლა კაცო, ნუ დამტოვე მშიერი! — პროტესტს აცხადებს აბო.

მაგრამ სარდიონი ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს: — რა მიკვირს იცით? თუ სხეული ბერდება კაცო, თუ სული ძაბუნდება, კაცო, რატომ არ ბერდება გული? ეეჭ, კაია, კაია ლამაზი ქალი, მარა რათ გინდა მერე? ვარდივითაა ისიც და ვარდივით ჭკნება და გრჩება ბოლოს ჩამოჭენარი ცოლი. ასეა ბიჭებო, ეს არაკი იმიტომ გითხარით, რომ აზრი გამოიტანოთ აქედან. ჩვენ, კაცები სუსტები ვართ, უნებისყოფონი, დავინახავთ ლამაზ ქალს, მრგვალ მუხლებს, ლამაზ ფეხებს, მოშიშვლე-

ბულ მკერდს და გათავდა საქმე. ჭოხდაკრული ინდაურივით გვესხმება ტარაბუა, ვეიდებით, ვირევით, ქალის ერთი გაღიმება ცის გახსნა ვეძონ ნია და მისკენ გაგვიჩნდის თვალები ელამივით.

ჩუმდება, რომდენიმე წუთს უხმოდ ვილუპებით. ის-ისაა მიუღუდების მორიგი ამბის დაწყებას აპირებს, რომ მოულოდნელად ჩვენი კომკავშარის მდივანი ქეთინო გვადგება თავზე. იგი სამწყობო საინქროს ხალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირიცაა. თორმეტი გოგო ჰყავს ბრიგადაში, ერთმანეთზე უკეთესები არიან, მაგრამ საქმეში ქეთინოს მაინც ვერავინ სჯობის. ისე სწრაფად, ოსტატურად ამოირავებს თოთებს, ისე სწრაფად იღებს ერთი ციცქა დეტალს და ისე ახრანის ფუტლარებს, რომ თვალს ვერ მოკრავ. არადა ერთი გაშრიპული, სუსტი გოგოა. თაგვის კუდივით წვრილი კიკინები აქვს. პირდაპირ შეკლული ვყავართ ამ გოგოს ხელში. ამოგვიჩემა და თუკი ქარხანაში კომკავშირის ხაზით რაიმეა გასაკეთებელი და მოხავარებელი, ყველაფერს ჩვენ გვავალებს. რაღაც გასაკეთებელი კა ყოველთვისა ჩვენთან: ეს სტენდებიო, ეს დიაგრამებიო, პლაკატებიო, კედლის გაზეთიო, ეს კომკავშირული პროექტორიო და ვინ მოსთვლის კიდევ რა არა.

- ა, თურმე სად მოკალათებულხართ, მე კი სასადილოში გეძებდით,
— უხარის მას ჩვენი დანახვა.
— ახალია ბიძია რამე? — ეკითხება სარდიონი.
— ახალია! — იცინის და კიკინებს ისწორებს.
— ამოშაქრე და გაგვახარე აბა!

ისიც შაქრავს და გვახარებს. ვგებულობთ: მალე ქარხნის კლუბში კომკავშირული ქარნავალის მოწყობა გადაუწყვეტიათ და, რაღა თქმა უნდა, ჩვენაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რათა კარნავალი ორგანიზებულად მოწყონ.

ეს, ასე ვოქვათ, წინასწარი ინფორმაციაა, დაწვრილებით კი ყველა ფერს სალამოს, კომკავშირულ აქტივზე მოვისმენთ. პოლა, ჩვენ წინასწარ უნდა მოვითიქოთ, რისი გაკეთება როგორ სჯობს და აქტივზე მომზადებულები მივიდეთ.

— მეც უნდა მივიღო მაგ ღონისძიებაში მონაწილეობა ნანული ბიძია? — ღინჯად კითხულობს სარდიონი და თუთუნს ახვევს.

— რა თქმა უნდა.. თქვენი, ვეტერანი კომკავშირელის გარეშე ჩვენ რაიმეს გადავწყვეტთ სარდიონ ბიძია?

— ქე დაკესწრები, აბა. — პირდება სარდიონი, ასანთს აჩხავუნებს და თამბაქოს ბოლში ეხვევა.

ნანული მიღის. სარდიონი თვალს აყოლებს და ქირქილებს: — ხამსას ლიფსიტასავით წვრილი არაა ეს დაღუბული? ვის მოუვიდა აზრად მაგისი არჩევა? ლომივით ბიჭებია ქარხანაში. გარში ჩვენს კომკავშირის მდივანს მარტო გრანატა ეკიდა წელზე მაგისი წონა.

ვიცინით. სარდიონი თვალებს ჭუტავს და განაგრძობს — ისე, ადა-
მიანი წონით კი არა ჰყუით ფასდება, — მოხრილ საჩვენებელ თრთს შე/
ბლზე იყაუნებს, — მთავარია ამაში რა გიყრია, ამაში! თვარში შემოსახული
ორი მაგისი წონისაა აგერ და ორი ფუთი თავი აქვს აგერ, მაგრამ რათ
გინდა ცარიელი ხოკო?

ვხარხარებთ.

— ახლა ისევ მე მომდექი არა?.. — იბოლმება გიზოია.

სარდიონი მხარზე უთათუნებს ხელს და ამშვიდებს — არ გეშეინოს
ბიძია, გემასხერები... არ შევუდგეთ ახლა საქმეს?

— შევუდგეთ! — ვეთანხმებით. ვდგებით და ზლაზვნით მივემართე-
ბით ფარდულისაკენ.

აბო საღლაც ითესება.

— სად წავიდა ის ბიჭი? — გვეკითხება სარდიონი.

ჩვენ ვიცით, მაგრამ არ ვამბობთ.

— ალბათ ტუალეტში...

— კი მაგრამ რამდენჯერ, კაცო? — უკვირს მას, — სამჯერ არ იყო
წასული დღეს? — ფიწალს იღებს და მრავალმნიშვნელოვნად დასძენს, —
თუ ნატალიას სამღებროში ტუალეტი გახსნეს, ეს არ ვიცოდი სწორედ!

მე და გიზოიას პირი ლია გვრჩება. სარდიონი ქირქილებს.

— ამხელა ოყლაყი იმ კოლოსხელა გოგომ როგორ დაჭაბნა ასე?

მე და გიზოია თვალს ვერ ვუსწორებთ სარდიონს. ვიღებთ ფიწლებს
და სამუშაოს ვეძალებით. მაინც რატომ ვუმალავდით სარდიონს ამ ამ-
ბავს?

სამღებრო საამქრო მართლაც მაგნიტივით იზიდავს აბოს. იქ კი
მაინცდამაინც მისაზიდი, საინტერესო არაფერია: სალებავისა და ოცეტო-
ნის გაუსაძლისი სუნი დგას — მძაფრი, დაგუბებული, მოტქბო სუნი,
ცრემლს რომ მოგადენს თვალზე და ნერწყვს რომ გაგიშრობს პირში. ამ
საამქროში მომუშავე გოგონებს სალებავებისაგან ზებრის ჭურქივით აჭ-
რელებული კომბინეზონები აცვიათ და პულივიზატორები უჭირავთ ხელ-
ში. სხვადასხვა ფერზე ღებავენ სხვადასხვა ფუტლარებს და სალებავისა
და ოცეტონის სუნით არიან გაულენთილი. სწორედ აქ მუშაობს მანანა —
ჩვენებურად კაფანდარა — ჩვენი აბოს მუღმივი საფიქრალი და გაუმხე-
ლელი დარღი. თავზე ცისფერი ცახოცი წაუკრავს კაფანდარას, მოუმარჯ-
ვებია პულივიზატორი და მის ზუზუნს მხიარულ სიმღერას აყოლებს.
იგი ყველაზე მარღი, მონდომებული და მშრომელი გოგოა საამქროში და
ნატალიაც, ამ საამქროს უფროსი, ყველაზე ანჩხლი, ყველაზე უქმური ქა-
ლი, ყველაზე უფრო იფასებს მას.

დღეში სამჯერ მაინც შეიზლაზნება აბო საამქროში, დედაბოძივით
აეყედება კედელთან, მძაფრი სუნით შეწუხებული ბუსავით აპარპალებს
თვალებს და შესცეკრის კაფანდარას. ამ უკანასკნელმა ყველაფერი იცის,

მაგრამ არ იმჩნევს, ერთს გაულიმებს, თეთრ, ქათქათა კბილებს გაუტყვებს, მერე დემონსტრაციულად შეაქცევს ზურგს და განაგრძობს საქმეს / შერე აბო მხოლოდ მის ზურგსა და დოლურს ხედავს, ხედავს კარგის პრიუნავს დოლური და როგორ ეხურება სალებავის ჭავლი ფუტლარებს.

ერთი სურვილი იქნა აბოს: მივიღეს, დაელაპარაკოს, მაგრამ ვერ ბე-
დავს და დგას ასე. არა და დიდხანს დასადგომად სადა სცალია. თანაც
ნატალიასი ეშინია: როგორც კი აბოს მოჰკრავს თვალს, ნატალია ერთს
ისე დაუცაცხანებს, ისეთ სიტყვებსაც დააყოლებს, რომ გოგოები სულ
სიცილით იხოცებიან, აბოს გულმოსაკლავად ყველაზე მხიარულად, ყვე-
ლაზე ხმამაღლა კაფანდარა კისეისებს, შერცხვენილი აბო თავქუდმოგ-
ლებილი გარბის გარეთ, დარეტიანებული მიაბიჯებს, ახრჩოლებს სიგა-
რეტს და ვინ იცის უკვე მერამდენედ სდებს პირობას, რომ ეს უკანასკ-
რელია და მეტს ალარ შედგამს ფეხს იმ წყეულ საამქროში, არ გააღნ-
დგინებს თავს იმ აშარ ნატალიას; ეშმაქსაც წაულია ის საამქროც, ნატა-
ლია. და... მაგრამ არა, კაფანდარას ვერ წააღებინებს ეშმაქს, ამდენად ვერ
ძიების... სდებს აბო პირობას, მაგრამ დიდი-დიდი ერთი სათი თუ
ახსოებს.

ახლაც ასეა. დაბოლმილი ბრუნდება და თამბაქოს ბოლშია გახვეუ-
ლი. მოდის, უსიტყვოდ კიდებს ხელს ბრყეტს, ხვეულით სწევს და წელ-
ში მოკაფულს მარტოდ გადააქვს სხვა ადგილზე.

კარგახანს დუმილში ჩაძირულები ვმუშაობთ. დაუბრებულებივით
არ ვცემთ ხმას ერთმანეთს. ბოლოს, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლ-
ვე, სარდიონი არღვევს დუმილს — იცი რას ვფიქრობდი ახლა, ბიჭებო?
ჩემი აზრით ძნელია მარტოხელა კაცის ცხოვრება! სახლში რომ არავინ
ვხვდება, ალარც გინდა შინ მისვლა. მეც ცოლ-შვილი რომ მყოლოდა... .

— კარგი იქნებოდა! — ამთავრებს მის სათქმელს გიზოია.
— აწი გვიანია მაგაზე ლაპარაკი. — იწურავს წყალს სარდიონი,
— რატომ ვითომ? ბებერი ხომ არ ხარ?
— აბა რა ვარ? დამცინებს ვიღაცა, ხომ იცით ხალხის ამბავი. გამო-
მიკავებენ პირში და..

— ვამოგიკავებენ და გავულურჩებ ერთ და მეორეს მამლის კუჭი-
ვით ცხვირ-პირს! — სრულ სოლიდარობას უცხადებს აბო, — აგერ არ
ვართ ჩვენ?

სარდიონი ფიქრიანად იღიმება და ხელისგულს ისვამს სახეზე. —
შენ რისი გამლურჯებელი ხარ? ერთი წრიბა გოგოსათვის ვერ მოგივლია.

აბო ცტება და დაბლვერით გვიყურებს მე და გიზოიას.

— მაგათ არაფერი უთქვამთ. ნატალიამ მითხრა, ნატალიამ, — უსნის სარდიონი.

აბი რაღაცას ბურტყუნებს, ალბათ წინაპარი თუ ამოუ ჩამოყალიბება ტალიას საფლავში.

წერები ზუზუნებს, თუნუქი ჩხრიალებს, ჭრაჭუნებს, იჭმუჭნება, ერთმანეთს ეკვრის, იგლისება ერთმანეთში...

ფიწალს ხელიდან არ ვუშვებთ, თავგამოდებით ვმუშაობთ და დროგამოშვებით ხელის ზურგით ვიწრიტავთ შუბლიდან ოფლს.

მუშაობაში დრო შეუმჩნევლად გადის და ნელ-ნელა, თრობასავით გვეპარება დაღლა. საქმეს მაიც არ ვეპუებით. ამით ჩვენს გამძლეობასაც ვამოწმებთ და თანაც საქმესაც ვაკეთებთ. გვინდა წინ წავიგდოთ საქმე, ვცდილობთ დღეს მეტი გავაკეთოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კი დღევანდელზე მეტი! ეს ჩვენი დევიზი კი არაა, ჩვევაა ასეთი, რომელიც თანდათან გამოგვიმუშავდა.

— რამდენი პროცენტი გვექნება დღეს? — გახვითქულ სახეზე ის-ვამს ხელს გიზოია.

— გუშინდელზე მეტი კი იქნება და... — აკმაყოფილებს; აბო მის ცნობისმოყვარეობას.

— ჰოო! — ეს საკმარისია, ზუსტად რამდენი პროცენტი იქნება, არც აინტერესებს. ამაზე იქ, მაღლა, საფინანსო განყოფილებაში იტეხონ თავი, მთავარია გუშინდელზე მეტია და...

საბარგო მოდის, მძლოლი დიდი ხნის უნახავით გვიქნევს ხელს და გვაძნევებს მისი აზრით: — მალადეც თქვენ, არ გიხუმრიათ დღეს! — ჯდება ჩრდილში, ახრჩოლებს სიგარეტს და გვიცდის.

ოც წუთში მანქანა დატვირთულია.

— ჰაიდა! — ვეუბნებით.

— აბა, ხვალ შუადღემდე! — გვიქნევს ხელს და მიდის.

მუშაობას ვამთავრებთ, სარდიონი ფიწლებს საგულდაგულოდ ინახავს, ჩვენ კი ისევ ვუცლით ადგილს, მერე ტანსაცმელს ვიცვლით.

— ახლა სად მივდივართ? — კითხულობს სარდიონი და თუთუნს ახვევს.

— ახლა ნანულის უნდა შევუაროთ, მერე კი სახლში.

— მერე ჩემთან წავიდეთ, — გვთხოვს სარდიონი, — ჩემმა ძმამ ღვინო ჩამომიტანა სოფლიდან და თუ არ დამეხმარეთ, ამიძმარდება, წავიდეთ, ავიტანოთ მაღაზიიდან რაღაც-რაღაცა და მოვულხინოთ ცოტა, რას იტყვით თქვენ?


ჩვენ არაფერს ვამბობთ, მე გიზოიას შევცერი, გიზოია აბოს, 
კიდევ მე მიყურებს... ესე იგი თანახმა ვართ.
— წავედით, აბა! — ამბობს სარლიონი.

იმპერიუმი
გიგანტობის

— წავედით!..

დინჯად მივაბიჯებთ ქარხნის მოასფალტებულ ეზოში. მიღის ჩვენი
ბრიგადა, მიღის ჩვენი ოთხეული — ერთი ვეტერანი და სამი ახალგაზრ-
და კომკავშირელი.

ჩვენა ვართ და...



სეჩენი ესენინი

* * *

ველს გავხედავ, ცას შევყურებ—
სამოთხეა შინ და გარეთ,
დაუფარავთ ხელეურებს
მოუხვენელი ჩემი მხარე.
უძოველი ველი გინდა? —
აქ ჭოგია — ვერ დავთვალე.

ოქროს წყალი მწვანე მთიდან
მორბის, თავქვე მოჩხრიალებს.
კეთილ ვინმეს, წამებული
გლეხის სული რომ ახაროს,
არ დაუშლის, მჯერა, გული ...
რძედ ხელები დააღვაროს.

* * *

ვიცნობ ამ ქუჩას. ამ სახლის ჭერი
როგორ მახარებს და როგორ მიყვარს!
ლურჯი მავთული, ვით ნამჯის ლერი,
გადაჭიმულა ფანჯრების მიღმა.

რა წლები იყო, რა მწარე ყოფა,
რა ძალა იყო დამამხობელი!
მე მომაგონდა ბავშვობა სოფლად,
მე მომაგონდა ლურჯი სოფელი.

დიდებით თავი არ გავიწვალე.
ფუჭი სახელით ვის უდგას დახლი?
ახლა როგორც კი დავხუჭავ თვალებს
დამეხატება შშობელი სახლი.

ბაღს შვენის ლურჯი ათინათები.
 აგვისტო ჩრდილში წევს დალლილივით—
 დაუჭერიათ მწვანე თათებით
 ცაცხვების ჩიტების უივილ-ხივილი.

ვეტრფი ამ ძელურს, როგორც
 სალოცავს
 დაღარულია ძლიერ მაგარი.
 ჩვენი ლუმელი ღმუის საოცრად.
 ლამით, როდესაც ივობს ავღარი.

ვიღაც სლუკუნებს და ცრემლებს
 აფრქვევს
 დალუპულსა თუ დაკარგულს ვისმე.
 რა მოუხილავს აგურის აქლემს
 ლამით, როს წვიმის შხაპა-შხუპს ისმენს.

ჩანს მოეჩვენა ან დაესიზმრა
 სიხარულიად და შვებად გულისად
 ოქროს ქვიშჩობი ავლანეოთისა.
 ბურუსი შუშის ბუხარულისა.

მე ეს ქვეყნები შემოვიარე
 და მუხლი შორი მანძილით ვდალე.
 ახლა კი მინდა მშობლიურ მხარეს
 მივეახლო და ვიხილო მალე.

ის ნაზი თველემა უცვლელი დარჩა.
 სუსველაფერი ლურჯ კვამლში გაქრა.
 მშვიდობა მინდვრის ოქროსფერ ნამჯას.
 მშვიდობა მარად საყვარელ გარგვალს.

* * *

ერთი სეირი დამრჩა ნამდვილი, —
 ერთსაც დავუსტვენ გულის ხალისად,
 მე ხომ სახელი მაქვს დავარდნილი
 ჩხუბისთავის და ყიამყრალისა.

აჲ, სასაცილო რამ არის მართლაც!
 ცხოვრებას მარცხი ამგვარიც ახლავს —

მრცხვენია, წინათ ღმერთი რომ მწამდა,
 გული მიკვდება, რომ არ მწამს ახლა.

ელვარებს ოქრო შორეულ სივრცის!
 ყინვა ჩაითრევს და დასწვავს ყველას.
 აყალბაყალი მინდოდა მისთვის.
 რომ მექაშვაშა თვალისმომჭრელად.

სიკეთე არის პოეტის მადლი
 და ბედისწერაც თან ახლავს მუდამ.
 შავი გომბეშოს და ოთრი ვარდის
 დედამიწაზე ჯვრისწერა მსურდა.

გაქრა ზრახვები ვარდისფერ დღეთა
 და გამიფრინდა ოცნება ურჩი.
 მაგრამ თუ სულში ეშმაკი მეგდა.
 მაშ, ანგელოსიც ბულობდა სულში.

აი, ამგვარი მიყვარდა შფოთი,
 იმ ქვეყანაშიც ეს ზნე მიმყვება.
 სიკვდილის პირად ერთ რამეს ვთხოვდი
 იმათ, ვინც მაშინ ჩემთან იქნება:

რადგან უგნურმა შევცოდე ზეცას,
 გადავივიწყე ცოდვა და მადლი.
 მინდა რუსული პერანგი მეცვას
 და დამყურებდეს მომაკვდავს ხატი.

* * *

სულს მოენატრა ლაქვარდი, სივრცე, —
 იმქვეყნიური ყანის მკვიდრია.
 მეხალისება და მიყვარს ისევ,
 ხეს მწვანე ალი რომ უკიდია ——

და სანთელივით ტოტი ყოველი
 უხილავისად სხივმომფინარობს
 და ვარსკვლავების სიტყვა ცხოველი
 იმ პირველყოფილ ფოთლებზე ხარობს.

თუმცა ვგრძნობ სითბოს მიწიერ ხმაში.
არ ვდევნი ტანჯვას და ვიღებ ცხადად.
როგორც კომეტას, დაკიდულს ცაში,
წყლის სარკეებში მინდვრებს რომ ლანდაგს



ასე — არ უნდათ, თვინიერ ცხენებს
აუდით ზურგიდან განდევნონ, მთვარე...
ჩეტავ თვალებით მეც აღმოვცენდე
სილრმეში ფოთლად ფრთამოშრიალედ.

* * *

შემომცერი და ვლონდები როგორ...
რა სანაია, რა საწყენია!
დაგვრჩა სექტემბრის ტირიფის ოქრო,
სხვა არაფერი არ დაგვრჩენია.

სხვისი ტუჩების იყო ერთგული
შენი სხეულის ჟაჟოლა და სითბო
და სული, ოდნავ მიმკვდარებული
შემოდგომური ჟინელლია თითქოს.

არ მეშინია! რაც არის არის.
ჩჩვა რამეს ჩავწედი და ის მახარებს —
ხომ ყოველივე არის გამჭრალი.
დარჩა ყვაოთელი ხრწნა და სამარე.

ჩემივ სიცოცხლე გავატიალე,
წყნარი ცხოვრება ამაოდ ვცალე,
რაოდენ მოკლე გზა გავიარე
და ჩავდიოდი შეცდომას რამდენს.

სასაცილოდაც სიცოცხლე არ ღირს.
ასე იყო და არც შეიცვლება.
გიო სასაფლაო, აავსებ ბილე
არყის ხეების დახრულმა ძვლებმა.

ჩვენი დღეებიც ასე გაივლის.
ჩვენც, როგორც ფოთლებს, წაგვილებს ჭარი.

რაკი არ მოაქვს ზამთარს ყვავილი,
 არც საჭიროა ყვავილზე ჭავრი.

კვლავ სოფლისაკენ გული გამიწევს,
 სად ნორჩ ბალახში ქარი დაცურავს,
 რომ ყველაფერი გადამავიწყდეს
 და ვიოცნებო ისევ ბავშვურად.

ოცნება იგი სულ სხვა იქნება —
 უცხო მიწისთვის და **ბალახისთვის**.
 გულის სიტყვებით ის არ ითქმება
 მისი სახელი არც კაცმა იცის.

* * *

რად ხარ გულგრილი და ულმობელი,
 რად გინდა, რისთვის კითხულობ ასაკს?
 მე ისეც ბნედით ვარ შეპყრობილი
 და სული ყვითელ ჩონჩხს დაემსგავსა.

ოდესალაც ბიჭი სოფელს რომ გავცდი.
 ლურჯ ოცნებაში ვიყავ დანთქმული.
 რომ ვიქნებოდი მდიდარი კაცი.
 საყვარელი და სახელგანთქმული.

რაღა თქმა უნდა, მდიდარი მეთქმის.
 მქონდა ცილინდრი და საღლაც დამრჩა.
 შემომრჩა მხოლოდ პერანგი ერთი
 და ძველ შტიბლეტსაც გაუცდა ლანჩა:

განთქმული ვარ და თანაც ძალიან —
 მიცნობს მოსკოვი, ვახსოვარ პარიზს.
 ჩემი სახელი შიშის ზარია.
 როგორც ქუჩური გინება მყრალი.

რა სასაცილო რამ არის ტრთობა!
 მკოცნი და ბაგე მაინც არ თბება.
 გაღამიმწიფდა, განელდა გრძნობა,
 შენი გრძნობა კი ვერ აყვავდება.

ახლა ნაადრევ დარდებს მოვეშვი,
თუ მოვა, მაიც ჩავთვლი არც არად.
შენს ნაწნავებზე უოქროესი
ყორლანზე ხარობს ქათანაცარა.



* * *

დამიჯექი, კარგო, გვერდით,
გამიყარე თვალში თვალი.
შენი მშვიდი გამოხელვით
მძრავლეს გრძნობის ქარიშხალი.

შემოდგომა ოქროსფერი.
ჩალისფერი შენი თმები —
მომეშველა ყველაფერი
და მეც მალე დავმშვიდდები.

გავეცალე მშობელ მხარეს —
ტყეს და მდელოს, ტბათა სარკეს.
მე დიდება ვძებნე მწარე
და ქალაქში ჩავიკარგე.

რომ ბურანში დამელანდა
ზაფხული და ბალის ბინდი.
ბაყაყების პანგით საღაც
საჭუთარ თაკს მგოსნად ვზრდიდი.

ახლა რთველი უდგას სოფელს
და ხეების ოქრო ბრწყინავს,
ტოტს ფანჯრებში გადაჰყოფენ
და ეძებენ, ახსოვთ ვინაც.

ისინი კი გარდასულიან...
სასაფლაოს დასკერს მთვარე
და განიშნებს — ჩვენაც სტუმრად
ვეახლებით იმათ მალე,

რომ სიმშვიდეს ჩვენაც ვნახავთ
შევეფარვით ჩვენაც კარავს.
რაც კი გზები მიღის ტალღად, —
მხოლოდ ცოცხლის გასახარად.

მაშ, დამიჯექ კარგო გვერდით.
გამიყარე თვალში თვალი.
მსურს მაგ მშვიდი გამოხელვით
მძრავდეს გრძნობის ქარიშხალი.

* * *

ძვირფასო, მახსოვს, რარიგ ლალობდი,
მზიან დალალებს გიშლიდა ქარი.

შენ რა იცოდი, როგორ ენალვლობდი
და განშორება მიმძიმდა რარიგ.

მახსოვს, ჩრდილები არყის ხეების
და დაბინდული ბრიალა სივრცე.
შემოდგომური მოკლე დლეები
და მთვარით სავსე ლამეთა სიგრძე.

რამ დამავიწყოს შენი სიტყვები:
„ცისფერი წლები წაჲყვება ქარებს
ჩემო ძვირფასო, დაგავიწყდები
და ჩემს მაგივრად სხვას შეიყვარებ“. .

აყვავებულმა ცაცხვმა ანაზღად
მე მომაგონა დრო შენით საგსე.
რა სიხარულით, მახსოვს, რა ნაზად
ყვავილის ფიფქებს გაყრიდა თავზე.

ვერ დაგივიწყებ ვერასდროს ალბათ,
გამახსევდები და გულს მიღონებ.
სხვა მიყვარს, მაგრამ საყვარელ ზღაპრად
მუდამ ჩემთან ხარ, მუდამ გიგონებ.

თარგმანი გიორგი სალუჩვარიშვილი



აკაკი შონია

თვადშეუძგამი აწვერვადი

სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც
ისეა, როგორც ომში: არა რიცხ-
ვითა ერთითა...

მიხეილ შოლოხოვმა მისებუ-
რად თქვა — ამჟამად ტულის
მწერალთა ორგანიზაციაში ოც-
დათოთხმეტი წევრია, რევოლუ-
ციამდე კი მოელს ტულის გუბე-
რნიაში მხოლოდ ერთი მწერალი
იყოო. და მოკრძალებით დაასა-
ხელა ის ერთი.

ლევ ტოლსტოი!

ჩვენი ღროის უსაჩინოებს რუს
მწერალს, რა თქმა უნდა, აზრად
არ მოსვლია ვინმეს დაკნინება,
მან მხოლოდ ტოლსტოის სიღია-
დეს და საერთოდ მხატვრული
აზროვნების თვისობრიობას გაუ-
სვა ხაზი; „წყნარი დონის“ ავ-
ტორს არაფერი შეეშლება.

სხვები (არა მარტო რუსები)
უფრო შორს მიდიან: ტოლსტოის
შემოქმედებაში პოულობენ პრო-
მეთესეულ საწყისს, მას ადარე-
ბენ ესქილებს, მიქელანჯელოს, ბე-
თოვენს; მასში ხედავენ ამაყ ბუ-
ნტარს, ტიტანს, რომელმაც ახალ

ღროში ადამიანებს მოუტანა ახა-
ლი იმედები, რწმენა ბოროტების
ძლევის და ქვეყნად სიკეთის და-
მკვიდრებისა.

ანატოლ ფრანსი მას ტყისა და
ველის ახალ ნახევარლმერთს უწ-
ოდებს.

ახალგაზრდა მაქსიმ გორკის
ჰონია, რომ მის წინ ტოლსტოის
სახით დგას თვითონ ღმერთი.

ესქილებ პრომეთე ბოლოს მა-
ინც შეარიგა ზევსთან. ღვთიური
ცეცხლის მომტაცებელი დარჩა
ადამიანთა შორის და ისინი აზია-
რა ფიზიკური და გონებრივი
შრომის თითქმის ყველა სახეო-
ბას, რითაც კი ამაყობს დღეს კუ-
ლტურული კაცობრიობა.

ტოლსტოის ღმერთთან შესარი-
გებელი აბა რა სჭირდა (თუ ეპ-
ლესიასთან განხეთქილებას არ წა-
რმოვიდგენთ ღმერთთან შერკინე-
ბად), ღვთის მეუფება თვითონ
თქვენშიაო, არწმუნებდა ადამია-
ნებს, ხოლო კერპებს და ტირან-
ებს ულმობლად ხდიდა ყოველ-
გვარ ნიღაბს. მკაცრი იყო... უპი-

რველესად საკუთარი თავის მიმართ. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება შეიძლება დავიმოწმოთ: საკუთარ თავთან ბრძოლაზე უფრო მტიმე და მტანჯველი არაფერია ამ ქვეყნად. ამასთან ხელოვანისათვის ეს გარდუვალია. აკი თვითონ ამბობს: „მოაზროვნე და მხატვარი ერასტროს ვერ იჯდება მშვიდად ოლიმპიურ სიმაღლეზე, როგორც ჩვენ ეს წარმოგვიდგენია: მოაზროვნე და მხატვარი უნდა იტანჯებოდეს ადამიანებთან ერთად იმისათვის, რომ გამოსავალი ნახოს და შეებაჲპოვოს.“

ადამიანის ხასიათის, მისი შინაგანი თვისებების ყველაზე მძაფრი გამოცდა ხდება ომში, ცეცილის ხაზზე, ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურესი დაძაბვის უამს. ასეთი გამოცდაც გამოიარა ჯერ კავკასიასა და შემდეგ ყირიმში — სევასტოპოლის დაცემისას. „ვაი თუ ღირსეულად ვერ ავიტანო ტანჯვა და სიკვდილიო“, ამაზე ფიქრი არ ასვენებდა ახალგაზრდა ოფიცერს.

სევასტოპოლის დაცემა მეფის ხელისუფლების რღვევის საწყისად ენიშნა ტოლსტოის და უკან მოიხედა, რამეთუ წარსულში ეგულებოდა თავისი სამშობლოს ამაღლების, მშობელი ხალხის ძლევამოსილების მაგალითები. მან ყურადღება შეაჩერა 1812 წლის სამამულო ომზე და დიდი ისტორიული ამბების ასახვაში გამოავლინა უმაღლესი ეპიკური ხელონება.

ომი ადამიანის ბუნების სტინალმდეგოა! ეს აზრი თავითან პილომდე წითელ ზოლადულებულს „ომსა და მშვიდობას უმიზესადულს“ დოოზულ ქმნილებაში 558 პერსონაჲია დათვლილი და ამათვან ერთის მიმართ ტოლსტოი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამჟღავნებს განსაკუთრებულ სიძულვილს: მტაცებლურ ომს, ხოცვა-ულეტას, სისხლის ნიაღვრებს, სოფლებისა და ქალაქების გადაბუგას, ზნეობრივი საწყისების უარყოფასა და სხვა უმძიმეს დანაშაულობებს არქმევს ერთ სახელს — ნაპოლეონს; უკვირს და ვერ იუტანია, რომ „ისტორიის ეს უმნიშვნელო იარალი“ რუსმა ისტორიკოსებმაც კი ქება-დიდებით აღაესხს, ხოლო რუსი ხალხის სიბრძნით შთაგონებული, მისი სასიცოცხლო ინტერესების ერთგული დამცველი კუტუზოვი უმნიშვნელო პიროვნებად მონათლეს.

„ოქეენ ექებთ გამარჯვებებს, მე კი ვეძებ აზრს!“ — მშვიდად ეუბნებოდა მოხუცი მთავარსარდალი ახალგაზრდა გენერლებს, რომლებსაც ერთი სული პქონდათ, პირისპირ შებმოდნენ მომხდურებს და ე. წ. „გენერალურ ბრძოლაში“ დაემარცხებინათ ისინი. მწერალს სარდალში მოსწონდა არა მოქმედება, არამედ მოქმედების აზრის ძეგბა, რაც ნაკარნახევი იყო სამშობლოსა და ხალხის გონივრული სიყვარულით.

ტოლსტოი ნაპოლეონის სახელიდებას დეკორაციულად მიიჩნევს, მის მიმართ ტერდენციურია,

უნდა მოაქციოს ნიგვზის ნაჭუჭუში, იქ უჩევენოს, სადაც გენიოსიცა და უბრალო მომაკვდავიც ერთნაირად იმოქმედებენ. ასე სჯის იგი მტერს — ზეობრივ დამნაშავეს, რომელსაც აქვს უსაშველო პრეტენზია „ისტორიის შექმნისა“.

ტოლსტიოსათვის ლიტერატურაში არ არსებობდნ არც უზიადო „გმირები“ და „არც გამოუსწორებელი „ავკაცები“, არის მხოლოდ ადამიანი მთელი თავისი სულიერი ცხოვრებით, ყველა პლიუსითა და მინუსით. ნაპოლეონს დიდი ადამიანური „სისუსტე“ სჭირდა. არც კუთუზოვი იყო უცოდველი, ყოველთვის არ ეჭირა აქტიური პოზიცია („...სასარგებლოს ხელს არ შეუშლის და საჩიანოს წინ აღუდვება“). მრავალნაცადი მეომარი, ამაყი პეტრე ბაგრატიონიც სიზანტეს იჩენდათ. მაგრამ „მიუხედავად მოვლენათა შემთხვევითობისა და სრული დამოუკიდებლობისა, მისი იქ ყოფნა მაინც ძალზე ბევრს ნიშნავდა. აღელვებული მეთაურები ესალმებოდნენ თავად ბაგრატიონს და იქვე შშვიდდებოდნენ. ჯარისკაცები და ოფიცირები ხალისიანად ესალმებოდნენ და მის თვალთა წინაშე უფრო ყოჩაღდებოდნენ; ჩანდა, სიმამაცით აშონებდნენ თავს“.

ასე იყო — „სიმამაცით აშონებდნენ თავს“ თავად მამაცს, ვის წინაშეც თავას მოწონება ღირდა ნამდვილად.

„ომსა და მშვიდობაში“ გმირად

პიროვნება კი არა, ცხოვრებაა ვა/ მოყვანილი, უფრო ზუსტებულ ცხოვრების სიმართლე, გრძელ საც განასახიერებს ხალხი. ტოლსტიო არ გამორიცხავს პიროვნების როლს ისტორიაში, მაგრამ არ აკუთვნებს მას ისტორიის შექმნელის ფუნქციას. ამგვარი რამ არავის არ ძალუძა.

ლევ ტოლსტიოს ქმნილებები, როგორც „ომი და მშვიდობა“, ისე „ანა კარენინა“, „აღდგომა“, უპაზი-მურატი“, მთელი მისი მდიდარი ლიტერატურული მექმვიდრეობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის სასიცოცხლო საყითხებს, რომლებიც განხილულია ყოფიერების ზოგადი საწყისის პოზიციიდან. ყველაზე მეტ ყურადღებას მაინც ომისა და მშვიდობის პრობლემებს აქცევდა და იმედს, ხალხზე ამყარებდა „თქვენ, — ხალხის სახელით მიამართავდა იგი ომის გამჩაღება-ლებს, — უგულო და უღვეთ მეფენო, მინისტრებო, მიტროპოლიტებო, აბატებო, გენერლებო, რედაქტორებო, აფერისტებო და კიდევ როგორ გიწოდებენ, თქვენ წადით და შეუშვირეთ თავი ტყვიებსა და ნალმებს. ჩვენ არ გვსურს და არც წავალთ. თავი დაგვანებეთ, გვაცალეთ ვხნათ, ვთესოთ, ვაშენოთ“.

ეს სიტყვები დღესაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელ ძალას. დიდი მწერლის შემოქმედებითი მექვიდრეობა კვლავაც განაგრძობს ბრძოლას დედამიწაზე

საყოველთაო მშვიდობის, სიკეთი-
სა და სიმართლის დასამკვიდრე-
ბლად, კვლავაც გვარშმუნებს ხა-
ლხის ძალასა და ძლიერებაში.

ტოლსტოის მკაცრი რეალიზმი
და კრიტიკული მამხილებელი პა-
თოსი, რომელიც ხალხთა მასების
მღელვარების ზრდასთან ერთად
სულ უფრო მეტ ძალას იძენდა,
— ემსახურებოდა სამყაროსა და
ადამიანის განახლების უკეთილ-
შობილეს მიზანს, აჩქარებდა ეპო-
ქის მაჯისცემას, აახლოებდა რე-
ვოლუციურ ქარტეხილებს. სწო-
რედ ამიტომ უწოდა მას ვ. ი.
ლენინმა „რუსეთის რევოლუცი-
ის სარკე“, „წინ გადადგმული ნა-
ბიჯი მოელი კაცობრიობის მხატ-
ვრულ განვითარებაში“.

ტოლსტოის სიცოცხლეშივე
იდგა „ტოლსტოის პრობლემა“. მაღმერთებელი ბევრი ჰყავდა,
მაგრამ მაგინებლებიც ცოტანი
როდი იყვნენ. ზოგი იმიტომაც
ებრძოდა, რომ თავი გამოეჩინა,
„უკვდავებას ზიარებოდა“ (ჩვენს
ღრმშიც არაერთმა სცადა გიგან-
ტის მხრებზე აბობლება და ზედ
გამართვა, რომ მაღალი გამოჩე-
ნილიყო, ღმერთს მიახლოებოდა,
მაგრამ არ გამოუვიდა, გადმოვა-
რდა და მისი სახსენებელიც გაპ-
ქრი), უმრავლესობას კი საქმე
ჰქონდა უსამართლობისა და ძა-
ლომომრებობის წინააღმდეგ მებრ-
ძოლ, ხატისა და ჯვრის უარყო-
ფელ, ეკლესიისა და სამღვდელო-
ების მგმობელ „მუჟიკთან“.

არ აპატიეს, ანათემაზე გადას-
ცეს, ეკლესიიდან მოკვეთეს.

იგი განაგრძობდა ბრძოლა
ავითარებდა თავის აზრს; ომები-
თი არის, მაგრამ ჩვენს ფინანსურისა
არა, ჩვენს არსებაში, და ეს ლე-
რთი არის სინდისი. თვითონ მას
სიცოცხლეშივე უწოდეს „რუსე-
თის სინდისი“. არც ბინძური ეპი-
თეტები დაუკლიათ („იუდა“),
1908 წელს, დაბადების თოხმო-
ცი წლისთავზე, საიუბილეო
დღეებში თოკიც კი გამოუგზვ-
ნეს თავის ჩამოსახრჩობად. ამას
აწყობდნენ სასულიერო და საე-
რო ხელისუფალნი, რომ მოეშხა-
მათ სამპიროვანი ღმერთის და
გვირგვინოსანი მეფის, კერძო სა-
კუთრებაზე დაფუძნებული საზო-
გადოებრივი წყობილების „დაწ-
ყველილი მაგინებელი“.

სხვა მხრიდანაც უტევდნენ:
უკიუინებდნენ ანტიისტორიზმსა
და რელიგიურ ფანატიზმს; კაცო-
ბრიობის ტრაგედიისა არაუერი-
გაეგებაო, ბოროტებასთან შერი-
გებას ქადაგებსო...

ტოლსტოის უმართებულოდ
მიაჩნდა ბოროტების წინააღმ-
დეგ ბრძოლა ძალის გამოყენე-
ბით, და არა საერთოდ. იგი გა-
მოდიოდა ხალხის სულიერი და-
მონების, სოციალური და ეროვ-
ნული ჩაგვრის, პიროვნების და-
თრგუნვისა და დამცირების წი-
ნააღმდეგ. მისი გამოსვლები ზო-
გვერ ისეთი ძალისა იყო, რომ
ახალ-ახალ ბზარებს უჩენდა უზ-
არმაზარ იმპერიას. მაგრამ ძალის
გამოუყენებლობის ქადა გება მო-
ანი მიაყენა რევოლუციურ მოძ-

რაობას. „100-მილიონიანი მიწა-თმოქმედი ხალხის ვექილი“, რო-გორც ის თავის თავს უწოდებდა, ერთი მხრივ, დაუნდობლად ამ-ხელდა თვითმშეყრობელობის ავა-ზაյურ ბუნებას, მეორე მხრივ კი, ხალხს ურჩევდა არ ჩამოეგდო მე-ფე, არ ებრძოლა მის წინააღმდეგ, არ შეექმნა ახალი მთავრობა, ეც-ხოვრა ისე, თითქოს არ არის მთავრობა. საქმარისია არ ემსა-ხურო ბოროტებას და იგი თვი-თონ მოისპობაო. და ბოლოს — მეფის მთავრობა, „არამზადების ბანდას“ რომ უწოდებს, უნდა გა-ანათლოს: «Просветить этих разбойников, убедить их пе-рестать быть разбойниками». სწორედ ამაზე ამბობდა ვ. ი. ლენინი: „ტოლსტოი სასაცილთა როგორც წინასწარმეტყველი ე ლ ი, რომელმაც აღმოაჩინა კაცობრი-ობის ხსნის ახალი რეცეპტები“.

ტოლსტოის როგორც მხატვ-რისა და მთაზროვნის, პიროვნე-ბის შინაგანი წინააღმდეგობანი, მისი მსოფლმხედველობის სუ-სტი მხარეები პირველად ვ. ი. ლე-ნინმა გააშუქა მეცნიერულად, მი-ზეზშედეგობრივად; ეს წინააღმ-დეგობანი ახსნა იმ ობიექტური პროცესებით, რომლებიც მიმდი-ნარეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დამდეგის რუსეთში. ლენინმა ტოლსტოის შემოქმედება დაუკა-ვშირა რევოლუციის პრობლემ-ებს, შეაფასა მისი მხატვრული სიტყვის უდიდესი დამანგრეველი

ძალა და როლი რუსეთის რევო-ლუციის მომზადებაში. 

დენთით დატენილი უსამართველობა უწოდეს „აღდგომას“. პატივისცემი-თა და თანაგრძნობით აღწერს რევოლუციონერების ვაჟკაცობ-ასა და თავგანწირვას. აქ თითქმის ამართლებს მათ აქტიურ ბრძოლ-ას. სწორედ მათთან გადასახლე-ბაში შეხვედრა არის კატუშა მა-სლოვას აღდგომა.

აღრე ტოლსტოი ფიქრობდა, რომ მწერლობამ მხაგვრელთა წინააღმდეგ მიმართული ხალხის რისხვა არ უნდა ასახოს; არ სწა-მდა ხელოვნება, რომელიც მასებს პოლიტიკური ბრძოლისათვის რა-ზამავდა. მას თვითონ ეშინოდა რევოლუციის დამანგრეველი ძა-ლისა. „აღდგომაში“ კი რამდენა-დე გადაუხევია ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის ქრისტიანულ ქადაგებას. შეიძლე-ბა დავიმოწმოთ მწერლის მეუღ-ლის ს. ა. ბერსის 1909 წლის 13 აპრილის დღიურიც: „რანაირადაც უნდა ამოეფაროს ქრისტიანობას, იგი უეჭველად თანაუგრძნობს რევოლუციას“.

„აღდგომის“ შემდეგ რუსეთის სინამდვილის მიმართ მძაფრი კრიტიკული პათოსით გამსჭვალ-ული ნაწარმოებია „ანა კარენი-ნა“, რომელშიც დიდი მხატვარი და მთაზროვნე მოურიდებლად, ბოლომდე აშიშვლებს ყოველგვარ

ადამიანურ სიავეს — სიყალბეს, ფლიდობას, ღალატს, სულის სიცარიელეს. იგი საოცარი მხატვრული ძალით გვიჩვენებს ჭეშმარიტი სიყვარულისათვის, პიროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალის ტრაგედიას.

მწერალს სწამდა, რომ დადგებოდა ისეთი ზრო, როცა „შულს, ფლიდობასა და ძლიადობას... შეცვლის თავისუფალი თანხმობა, სიმართლე და ძმური სიყვარული“. ამ რწმენას უნერგავდა იგი ადამიანებს, თაობებს, ხალხებს.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ტოლსტოი სოციალურ პრობლემებთან ერთად ეროვნულ საკითხებსაც ღრმად უფიქრდებოდა და რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირერიცხვანი ხალხების ბედიც აწუხებდა. ამ დიდი ფიქრის, წუხილისა და ტანგვის ნაყოფია „ჰაჯი-მურატი“, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

დიდი ადამიანის ნაზრევში ჟველა იმას ეძებს და პოულობს, რაც მას აღელვებს. ჩვენ ის აზრი გვიპყრობს, რომელიც საკუთარს ემთხვევა ან უახლოვდება. აკაკი წერეთელმა ლევ ტოლსტოის შესახებ წერილში, 1910 წელს, იმ საყოველთაო სახალხო გლოვის უამს, გამოარჩია დიდი რუსი მწერლის მოღვაწეობის ის მხარე, მაშინ ქართველ ერს განსაკუთრე-

ბით რომ აინტერესებდა. ტოლსტოი, წერდა აკაკი, სუკრაფეტება ერთობას, თანასწორობის სიყვარულს. წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა.. აი, ამით მიიჩიდა მან ყველა დაჩაგრულთა გული და გარჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც, როგორც მოციქულმა და მახარობელმა მომავლისამ. მაში, რასაკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვენ“.

თუ რაოდენ ახლოს იყო ტოლსტოის შემოქმედება ქართველი ხალის გრძნობებთან, და ინტერესებთან, რაოდენ ახლოს მიიტანა ქართველობამ რუსთა გენის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, ჩანს ვაჟას სტრიქონებიდანაც: „მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ დაკარგა მამა, თავის აღმზრდელი, ვინაც მოჰყინა ჩვენს გულს-გონებას და ჩვენს ვნებათა უხვად ნათელი“.

ლევ ტოლსტოი მთელმა კაცობრიობამ აღიარა თავის სულიერ მოძღვრად.

თომას მანმა ტოლსტოის გაკვეთილებიდან დიდი აზრი გამოიტანა: „...შეჭმარიტების ძეგბაში ბოლომდე პატიოსანი და ეროვნული დავრჩეთ ჩვენი ხალხისა“.

ასეთი იყო ლევ ნიკოლოზის ძე
ტოლსტოი. მას ნამდვილად ეთ-
ქმოდა: „უნდა წერო მხოლოდ
მაშინ, როცა ყოველთვის, რამ-
დენჯერაც ჩაწობ კალამს მელან-
ში, სამელნეში ჩატოვებ საკუთა-
რი ხორცის ნაგლეგს“.

ერთმა ბრძენებული მოხუცე ტო-
ლსტოის სახე წარმოიღვინა ანა-
რეკლად ჭექა-ქუხილისა, გრიფიშოვა
ლიც ასუფთავებს ჰაერს. სწორედ
ასეთად მოევლინა იგი რუსეთს
და მთელ მსოფლიოს.

ასეთია იგი დღესაც.

ჩახაზ სერენიძე

ლევ ცოლსტოი ბათუმში არა- სოდეს არ ყოფილა, მაგრამ ზოგი მოვლენის და მახლობელი ადა- მიანების მეოხებით იგი დაკავში- რებული იყო ამ ქალაქთან, მის ცხოვრებასთან. ვფიქრობთ, ინ- ტერესს მოკლებული არ იქნება ყოველივე იმის გაცნობა, რაც ამ დიდ ადამიანს აკავშირებდა ბა- თუმთან.

ლევ ცოლსტოის ცოლის ძმა
ალექსანდრე ბერსი რუსეთ-თურ-
ქეთის 1877-1878 წლების ომის
შემდეგ ბათუმის პირველი „გრა-
დონაჩალნიკი“ (ქალაქის უფრო-
სი) იყო. ალექსანდრე ბერსი ცო-
ლად ყავდა ულამაზესი ქალი
ფატი ერისთავი. ფატის სურათი
გამოფენილი იყო საქართველოს
ეთნოგრაფიულ მუზეუმში. შემ-
დეგში ფატი ერისთავი ა. ბერსი
გაეყარა და სხვაზე გათხოვდა.¹

მე-19 საუკუნის 70-იანი წლე-
ბიდან თავისი თხზულებებით ლ.
ცოლსტოი გაიცნო არა მარტო

რუსეთში, თითქმის მთელმა მსო-
ფლიომ. მისი პოპულარობა ყვე-
ლას თვალში გაიზარდა. მრავალ
წერილს ღებულობდა. სოხოვდ-
ნენ რჩევა-დარიგებას. „იმ აუა-
რებელ წერილებს შორის, რომე-
ლიც ყოველ მხრიდან მოსდიოდა
ლევ ნიკოლოზის ხეს (საშუალოდ
დღეში 30 ბარათი), იყო ბარათე-
ბი ქართველებისა და სომხებისა-
განაც. ამ წერილებში გამოთქმუ-
ლი იყო ლრმა სიყვარული და
პატივისცემა დიდი მწერლისად-
მი.²

ერთ-ერთი ბარათი უცნობ ქა-
ლიშვილებს თბილისიდან გაუგ-
ზავნიათ, რომელზეც დიდმა მწე-
რალმა 1887 წლის 12 მარტს პა-
სუხი გასცა თბილისის გაზეთ
„ნოვოე თბიზერნიეში“. ლევ
ცოლსტოი ქალიშვილებს ურჩევს-
წაიკითხონ მოსკოვში გამოცემუ-
ლი სხვადასხვა დარგის წიგნები,
გადაიკითხონ, თავიანთი სურვი-
ლისამებრ შეასწორონ, ან გადა-

ქეთონ, ასეთი მუშაობით ამოიჩნიონ ის დარგი, რომელიც მათ მოსწონთ. პასუხის დასასრულს მწერალი ქალიშვილებს თხოვს: „არჩიეთ ის დარგი, რომელშიც თქვენი ფიქრით, უკეთ შეგიძლიათ იმუშაოთ, და მომწერეთ. მე თქვენ გამოგიგზავნით რამდენიმე წიგნს. იალიან მინდოლა, თქვენ დათანხმებოდით ჩემს წინადადებას. სამუშაო ძალზე სასარგებლოა. სარგებლობის ხარისხი უთუდ დამოკიდებული იქნება იმ სიყვარულზე, რომლითაც თქვენ ამ საქმეს მოეყყრობით“.³

ჩვენთვის უცნობია შემდგომში როგორ წარიმართა მწერლის მიმწერა ქართველ ქალიშვილებთან, რა შედეგი მოჰყვა ამ რჩევას, მაგრამ ცნობილია, რომ მწერალს აზ დაიღწყებია მისი ნორჩი ქართველი თაყვანის მცემლები. 1896 წელს ბათუმის საქალაქო სახულებელში გაიხსნა უფასო საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდის გამდიდრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ბათუმის, არამედ რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა. საყურადღებოა, რომ აზ ბიბლიოთეკას ძვირფასი წიგნები გამოუგზავნა ლევ ტოლსტოიმაც, რაც 1887 წელს თბილისელ ქალიშვილებთან მიმოწერის ერთ-ერთი ანარეკლი უნდა იყოს.⁴

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან რუსეთიდან ამიერკავკასიაში გადმოასხლეს „დუხობორები“. პი-

რადად ლევ ტოლსტოისა და ტოლსტოველების გავლენით „წუხა ბორები“ პროტესტს აცხადებული ხელისუფლებულების წინააღმდეგ. მათ მიმართ მეფის მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობდა. ბევრი მათგანი საქართველოს მთიან აღგილებში გადასახლეს, ზოგმა კი პირი ქნა ამერიკისაკენ. მათ გასაცილებლად 1898 წლის ზაფხულში თბილის ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის ვაჟი ანდრეი. მან ილია ნაკაშიძის წერილი ჩამოტანა მის ძმას ნიკოლოზს. ილია სოხოვდა, ანდრეის ღამებარებოდა საქართველოს ღიაშესანიშნაობათა დათვალიერებაში. ნიკოლოზ ნაკაშიძემ ა. ტოლსტოის გააცნო თავისი დეიდაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩოლოყაშვილი და ინეინერქიმიკოსი გიორგი ილიას ძე ოქრომჭედლიშვილი. მათი მეშვეობით ანდრეიმ დაათვალიერა სვანეთი, სამტრედია და ქუთაისი, შემდეგ იგი „დუხობორების“ გასაცილებლად ბათუმში ჩამოვიდა. აქ ექიმ გრიგოლ ელიავას ოჯახში მან გაიცნო ილია ნაკაშიძის ბიძაშვილი, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ელენე კონსტანტინეს ასული გურიელი, რომელსაც ხელი სოხოვა. ქალის მშობლებმა და თვით ელენემაც თანხმობა განაცხადდეს. ანდრეი მოსკოვში წავიდა იმ პირობით, რომ ორ კვირაში ჩამოვიდოდა და ჭვარს დაიწერდა. გურიელები მზად იყვნენ ქორწილისათვის, მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ანდრეის

წერილი, სხვა ქალი ვითხოვენ. მართლაც, 1899 წლის 8 იანვარს ანდრეიმ ცოლად შეირთო ოლღა კონსტანტინეს ასული დიტერიხსი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ელენე გურიელისათვის. თბილისის სასტუმროში მყოფმა ელენემ მკერლზე რევოლვერი დაიხალა. მართალია, მაშინ სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ჯანმრთელობა იმდენად შეერყა, რომ ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. სიცოცხლით აღსავს ახალგაზრდა ქალის ტრაგიკულმა სიკვდილმა დიდად იმოქმედა მის ახლობლებზე. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ელენეს ბავშვობის მეგობარმა) ელენეს სიცოცხლეში წერილი მისწერა ლევ ტოლსტოის. ჩოლოყაშვილი მწერალს სთხოვდა გამოეგზავნა ანდრეი თბილისში მოსალპარაკებლად. შეწუხებული მამა ურჩევდა შვილს წასულიყო და იქნებ საქმე მშვიდობიანად მოგვარებულიყო, მაგრამ ანდრეი ვერ ბედავდა. „ჩემი შვილი, — ამბობდა ლევ ტოლსტოი — ქარაფშუტა, სუსტი ნებისყოფის ჭარია... ვურჩევ წავიდეს საქართველოში, იქნებ დაამშვიდოს გურიელის ქალი, მაგრამ სამწუხაროდ იგი მშიშარაც გამოდგა“.⁵ მწერლის პასუხში ნათლად ჩანს ის დიდი მწუხარება, რომელიც ანდრეის უგუნურმა მოქმედებამ გამოიწვია. „ამ ამბავმა, რომელიც თქვენ მაცნობეთ, — სწერს ლ. ტოლსტოი ნ. ჩოლოყაშვილს, — ჩემში აღძრა წამების შეგნების გრძნობა, რამაც გამოუსწორებელი

ბოროტება გამოიწვია და რომელშიც დანაშავე ჩემთვეის შახოობელი ადამიანია... მაგრავიც უაღისეულ ვერაფერი ვერ გამართლებს“. შვილის მოქმედებით აღშუოთებულა ლევ ტოლსტოის მეუღლე სოფიო ანდრეის ასულიც. თავისებური ხასიათის მიუხედავად იგი კიცხავდა ანდრეის: მისი „ერთადერთი ლირება ის არის, რომ დიდად ცნობილი მწერლის ლევ ტოლსტოის შვილია, სხვა არავითარი ლირება არა აქვს, არც ჰქონა, არც სილამაზე“.⁶

ბათუმთან ლევ ტოლსტოის აკავშირებდა ერთი მისი თავგამოდებული მიმდევარი თევდორე ანდრეის ტე უშაკოვი (1871-1927). ტოლსტოის ნაწერების გავრცელებისათვის იგი დააპატიმრეს და აუკრძალეს სატახტო ქალაქებშიც ცხოვრება. 1890 წლის დამლევს თ. უშაკოვი ბათუმში ჩამოვიდა და ქალაქის მახლობლად სოფელ ჭანისოულში შეიძინა პატარა მიწის ნაკვეთი (ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს სოფელ კაპრეშუმში ერთ პლანტაციას, რომელსაც პ. უშაკოვი ფლობდა, ახლაც „უშაკოვები“ ქვია).⁷ აქ მან ქართველები ძალზე შეიყვარა და სამუდამოდ დამკიდრდა. სამწუხაროდ ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე. ბანკიდან მომავალი თევდორე ყაჩაღებმა გაძარცვეს და მოკლეს. ეგონათ ბევრი ფული ექნებათ. აღმოჩნდა კი 150 მანეთი. იდგილობრივ მცხოვრებთა დიდი აღშფოთება

გამოიშვია ამ მხეცურმა მკვლელობამ.⁸

ლევ ტოლსტოი დიდ ინტერესს იქნდა 1902 წლის მარტში ბათუმსა და გურიაში მომხდარი რევოლუციური ამბებისადმი. ამ მოძრაობათა შესახებ დ. კლდიაშვილი შემდეგს წერს: „ბათუმიდან დაბარებულ ანდრონიკაშვილს (ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მწერალი ირაკლი ანდრონიკოვის მამა, — რ. ს.) დაევალა მოხსენება გაეკეთებინა ბათუმის შეტყების შესახებ და ავრევე გურიის ამბების შესახებ... ლევ ტოლსტოიმ ამის გასაცნობად თბილისიდან დაიბარა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიშო (მოხეილ) ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომელმაც კარგი ხანი დაჰყო ტოლსტოისთან იასნადა პოლიანში".⁹

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სასამართლოზე გამოდიოდა შეტყებაში მონაშილე 21 პატიმარი მუშის დამტკიცებულების შემდეგ, დავალებისამებრ იგი პეტერბურგში წავიდა და ბასეინის ქუჩაზე, უურნალ „პრავოს“ რედაქტორ პოლიანვის ბინაზე, მოწყობილ საიდუმლო კრებაზე უურნალისტებთან, ლოტერატორებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან გაკეთა მოხსენება ბათუმსა და გურიაში მომხდარი ამბების შესახებ. კრებას ქართველებიდან ესწრებოდნენ დავით კლდიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი) და კუჭიკო

გელოვანი (პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი).

1905 წლის რევოლუციის ბოჭარ დღეებშიც ლ. ტერეზა ალექსანდრევა განაგრძობდა თავის რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ქადაგებას „სიავეზე ბალის გამოუყენებლობის“ შესახებ. „ერთადერთი საშუალება მთავრობის გასაძევებლიდ ეს არის უარის თქმა იმ ბოროტმოქმედებებში მონაშილეობაზე, რომელსაც ისინი სხადიან, ხოლო მმართველები ხშირად არსებობენ ბოროტმოქმედებათა წყალობით“ — ამბობდა მწერალი.¹⁰

როგორც ვხედავთ, „ომისა და მშეიდობის“ ავტორმა მთლიანად ვერ გაიგო რევოლუციური მოძრაობის არსი. მიუხედავად ამისა ბათუმისა და გურიის ამბებს ძალზე დიდი გავლენა მოუხდენა მასზე. „ეს საქმე ისეთი კარგი და დიდმნიშვნელოვანია — სწერდა იგი ილია ნაკაშიძეს, — რომ საჭიროა ყოველი ძალლონე იხმარონ (სულიერი ძალა, სიწყნარე, გონიერება, მოთმინება) იმისათვის, რომ ბოლომდე გაიტანონ იგი, რომ მაგალითი გახდეს მახლობელ და შორეულ აღამიანებისათვის“. ჩანს, რომ მწერალი იწონებს ამბოხებული ხალხის მოქმედებას, მაგრამ მაინც „სიწყნარისა და გონიერებისაკენ“ მოუწოდებს. როგორც ისტორიის შემდგომში მსვლელობამ გვიჩვენა, ხალხმა ხმალშემართული ბრძოლით მოიპოვა გამარჯვება, რამაც

დაამსხვრია ტოლსტოის ილუზიები.

დიდი რუსი მწერალი განუსაზღვრელი პოპულარობით სარგებლობდა ბათუმის მოსახლეობაში. ამით შეშინებული ბათუმის ოხრანკა ყოველ ღონეს ხმარობდა მისი პროგრესული იდეების და-საგმობად. ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთ „ბატუმსკი გოლოსში“ (№ 191) 1908 წლის 24 აგვისტოს დაიბეჭდა სარედაქციო წერილი, რომლითაც სინოდი გამოყვანეს ტოლსტოის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი იუბილეს წინააღმდეგ. გაზეთში მოყვანილი იყო სინოდის დადგენილების ის ადგილები, რომელიც გმობდა ტოლსტოის პროგრესულ იდეებს, ამასთან მორწმუნებს მოუწოდებდა მონაშილეობა არ მიეღოთ სიიუბილეო ზეიმში.

მაგრამ ტოლსტოის წინააღმდეგ ასეთი პოზიციიდან ბრძოლამ მიზანს ვერ მიაღწია. მოხდა პირუკუ. სინოდის დადგენილების გამოქვეყნება სამხედრო გუბერნატორმა ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრებად ჩათვალა და „ბატუმსკი გოლოსის“ ბეჭდვა განუსაზღვრელი ვადით აკრძალა.¹¹

ლევ ტოლსტოის შუქმა ბათუმში კიდევ უფრო იმატა მისი გარდაცვალების შემდეგ. ბათუმის საზოგადოებრივა ადგილობრივ გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა სახელოვანი მწერლისადმი მიძღვნილ მხურვალე სტატიებს. ქართულად თარგმნილი ტოლსტოის თხზულებანი იბეჭდებოდა არამა-

რტო თბილისა და ქუთასში, არამედ ბათუმში, სენატში, რეზიდენციებში და საქართველოს სხვა ქალაქებში. ლევ ტოლსტოის შემოქმედება დიდ გავლენას ახდენდა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე. არამარტო საკუთარი თხზულებები, მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნებიც იძევდებოდა ბათუმში. ასე, მაგალითად, 1911 წელს ბათუმში ლევ ტოლსტოის რედაქციით გამოვიდა ჩინელი ფილოსოფოსის მატის „საყოველთაო სიყვარული“.

„ბატუმსკი გოლოსში“ გამოქვეყნებული წერილის კრახის გამო მეცის აგენტები აშკარად ვეღარ გამოდიოდნენ ტოლსტოის წინააღმდეგ, ამიტომ სამხედრო გუბერნატორმა სხვა ხერხს მიმართა. მან გადაწყვიტა, ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებისათვის საიდუმლოდ დაევალებინა შეეწყვიტათ ლევ ტოლსტოის მაღილებელი სტატიების ბეჭდვა. 1910 წლის 15 ნოემბერს, მწერლის გარდაცვალების რვა დღის შემდეგ, სამხედრო გუბერნატორმა რომანოვსკი-რომანკომ პოლიცმეისტერ პანინს დაავალა ამ საქმის მოვარება. პანინმა ამ საკითხზე საიდუმლო წერილი გადაუგზავნა კოლეგის ასესორ ზაზულინს, რომელსაც წერილები უნდა გაემრავლებინა, დაენომრა და წარწერით — „საიდუმლო“ — გადაეგზავნა რედაქციებისათვის. წერილის მიღებაზე რედაქტორებს ხელი უნდა მოეწერათ. ზაზულინმა ეს წერილი გადასცა

თავის დროებით შემცელელ ქარდასევიჩს ისე, რომ არ გააფრთხილა წერილებზე გაეკეთებინა წარწერა — „საიდუმლო“. გაზეთ „ბატუმსკი ვესტის“ რედაქტორში მოსული წერილი რედაქტორმა გერმანმა გადასცა თავის მღივანს მელნიკოვს, ტოლსტოის თაყვანისტუმელს. როგორც კი გაეცნო წერილის შინაარსს, მელნიკოვმა სასწრაფოდ გადაიღო მისი ასლი და გამოაქვეყნა გაზეთში. ამგვარად გამოაშეარავდა მეფის ჩინოვნიკთა მზაკვრობა დიდი მწერლის მიმართ, რამაც შეაშფოთა „საიდუმლო“ წერილის ავტორები. პოლიცემუნიტორმა მოითხოვა ზაზულინის მკაცრი დასჭა.¹²

1910 წლის 28 ნოემბერს ბათუმის საზოგადოებრიობამ სომებ-გრიგორიანთა ეკლესიის ეზოში გამართა პანაშვიდი, რომელიც ლევ ტოლსტოის გარდაცვალებას

მიეძღვნა. პანაშვიდს ესწრებოდნენ ქალაქისთავის მოადგილე ვიორგი უზრული, ადგილობრივი პრესის წარმომადგენლების უკაფიშება დენიმე ხმოსანი, ქართველი და სომები მოქალაქეები. მესროპ მელიანცმა სომხურად თქვა სიტყვა, ლევ ტოლსტოი დაახასიათა, როგორც შესანიშნავი მწერალი და ადამიანი. 30 ნოემბერს სამხედრო გუბერნატორს ბათუმის პოლიცემებისტერი ატყობინებს, რომ პანაშვიდის ჩატარებაზე ხელი არ შემიშლია, მაგრამ საიდუმლო მეთვალყურედ გავგზავნე თანაშემწევ შტაბსკაპიტანი პუჩინიანი.¹³ ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი გაზეთით ნიღაბაზდილი მეფის სატრაპეზი აშკარად ვეღარ ბედავდნენ ხელი შეემალათ ხალხისთვის, რომლის გულში დიდმა მწერალმა მარადიული ადგილი გაიჩინა.

1 ნ. ნაკაშიძე, ლევ ტოლსტოის ახლოს, თბილისი, 1954 წ., გვ. 21.

2 ი. ნაკაშიძე, როგორ გავიცნი ლევ ტოლსტოი, თბილისი, 1929 წ., გვ. 23.

3 ვლ. ასათიანი, ლევ ტოლსტოი და საქართველო, თბილისი, 1936 წ., გვ. 38, 39.

4 გრ. ბაბილონე, სახალხო განათლება აჭარის ას რესპუბლიკაში, ბათუმი, 1958 წ., გვ. 63.

5 ნ. ნაკაშიძე, იქვე, გვ. 40.

6 იქვე, გვ. 19.

7 ი. სიხარულიძე, სამხედრო-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ბათუმი, 1959 წ., გვ. 49.

8 ნ. ნაკაშიძე, იქვე, გვ. 78, 79.

9 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების ეზაზე, თბილისი, 1961 წ., გვ. 147.

10 ვლ. ასათიანი, იქვე, გვ. 60.

11 აჭარის ასსრ ც. ფ. 13, საქმე 355, ფურ. 1, 4, 6.

12 იქვე, ფ. ი-1, ს. 480, ფურ. 10.

13 იქვე, ფ. ი-1, ს. 458, ფურ. 6.

მეზობრის ხსოვნას

ქართული მწერლობის აჭარის ორგანიზაციის გამოკლდა ერთი დაუღალავი მოამზავე, მაღალი პრინციპისა და რწმენის კრიტიკოსი, ჩვენი შემოქმედებითი ურომის ალალი დამფასებელი, ასალგაზრდა ლიტერატორთა გზის გამყაფველი, ჩვენი დაუვიწყარი ალექსანდრე ჩავლეიშვილი.

ის იყო ჩვენი პირველი წიგნების პირველი მკითხველი და პროცესიული მიმოხილველიც, ჩვენი ლიტერატურული შეხვედრების, დისკუსიების მეთავსიტევე, დაუმცხრალი მოკამათე, იდეური და მხატვრული სრულყოფისათვის უკომპრო-მისო ბრძოლის მოთავე.

ალექსანდრეს კეთილი, მეგობრული გული ახლობლობის, ნდობის, სიყვა-რულის სულ ახალი გზების ძიებით ფეროვანდა. პირად ვხედავდით ხოლმე მას გაბუკიბის დროიდან შეჩვეულ თავის უფროს მეგობარ, ჩვენს სახელმისამართის უკომპრო-მისო ბრძოლის მოთავე.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა და ჩვენი ერის სხვა მოღვაწეებთა ტრა-დიციების ერთგული მიმდევარი ალექსანდრე ჩავლეიშვილი მუდამ შეუნელე-ბელ ყურადღებას იჩენდა მისთვის ასე ახლობელი აჭარის ყოველდღიურობისად-მი, ამ კუთხის ლიტერატურული დაწინაურებისადმი. ალექსანდრემ პირადი სახე-რებით წიგნები შეიძინა და გადასცა სოფელ ხიხაძირს, რითაც იქ მთელი ბიბ-ლიოთება შეადგინეს.

ალექსანდრე როგორც პედაგოგი, აღმზრდელი, ბათუმის პედაგოგიური ინს-ტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ერთ-ერთი ფუძემდე-ბელი და დიდ ხანს მისი ხელმძღვანელი, მამობრივი გულისყურით უსმენდა უ-კელთვის ჩვენი მთიან რაიონებიდან ჩამოსულ ასალგაზრდებს, არ აკლებდა ზრუ-ნვასა და დახმარებას მათ უმაღლესი განათლების მიღების მერცე.

მე აქ აღარ ჩამოვთვლი წიგნებს, მშვენიერ კრიტიკულ-თორორიულ ნარკვე-ვებს, რომელთა ავტორიც ალექსანდრე ჩავლეიშვილია, ამ წიგნებს ცენობენ მისი მეგობრებიც და მისი აღზრდილებიც.

ალექსანდრეს პირვენებაში მამულიშვილური კეთილშობილების და მოქალა-ქეობრივი პატიოსნების უმშვენიერესი თვისებები იყო შერწყმული.

ჩვენ გვხიბლავდა მასთან სიახლოვე, საუბარი, ერთად მუშაობა.

ალექსანდრე ჩავლეიშვილის სახელი და საქმე აჭარის ლიტერატურულ სა-ზოგადოებრიობას მუდამ ემასსოფრება.

ფრიდონ ხალგაში..



ეოთა გრიფი

ՀԵՅՏԱԿԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

„გილოოტინაზე რომ აიყვანეს
ანდრე შენიე, მან შებლზე ხელი
მიიღოდ და სოქვა: აქ იყო რაღაც!“
ასე იწყება ტიციან ტაბიძის პრო-
ზად დაწერილი ერთი ლექსი.
ჩვენ არ ვიცით, რა თქვა ამ სიტ-
კუბის ავტორმა, როცა თავად
აიყვანეს გილოოტინაზე. სამაგი-
როდ, 1911 წლის 5 მარტს დაწე-
რილ მინიატურაში, რომელსაც
„ნაშვავერი დღიურიდან“ ჰქვია,
ვკითხულობთ: „იულიუს კეისარს
ურჩიეს ქურუმებმა მარტის დღე-
ებში სენატში არ წასულიყო, მა-
ვრამ ბედისწერა არასოდეს არა-
ვის არ აპატიებს, ფარვანასავით
თავს დასტრიალებს იგი ადამი-
ანს, სანმ არყოფნის ღმევში არ
ჩაქრება ჩინაღლანი ცხოვრებისა.
პრუტოსის მახვილი კეისრის სას-
ხლში უნდა ამოხვერილიყო, რად-
გან ცხოვრების სასწორი დემონ-
მა გადასწია. იქნება ეს ცომაზ
მომღილება. მაგრამ მე მწამს,

Հռմ արևեծոնես ծցօլովիշյրհա, ու
արուս „ըալապ“, հռմելուց պնդա.
կուզբազութեա. մաս զերացն աւուղեա.
հաց պնդա զբագոն, մաս զհմենոնես.
Լուլո ձա միևնուրո սամոնելու-
ծոտ օմոնութեա...”

უაილდის პროფილი და ცის-
ფერი თვალებიც გრძნობდნენ მო-
ახლოებულ ბედისშერას. ხიფათ-
ის მოლოდინში ერთ ადგილას
ჭერ ეტეოდა. სიმონ ჩიქოვანი ამ-
ბობს: „შემატყობინეს, რომ ხი-
ფათის მოლოდინში შინ წრიალე-
ბდა, ვერ ისვენებდა და სანთე-
ლივით ილეოდა. მე მაშინვე წა-
უდი მასთან, რათა ორიოდე სა-
თით მაინც გამომეთიშა იგი ას-
თა მდგომარეობიდან, რამდენად-
მე მაინც შემემსუბუქებინა გან-
საცდელის მოლოდინით გამოწ-
ვეული მისი სასოწარკვეთილება.
ტიციანს საოცრად გაეხარდა ჩი-
ზი მისვლა, მალე გაერთო საუბრ-
აში და რამდენიმე დაუბეჭდავა.

ჟუქსი წამიკითხა, პოეზიაზე გი-
შაუბრეთ და საერთო მეცნიერე-
ბიც მოვიგონეთ. მისი პოეზიას
მუზა, მისი კოლომბინა, მისა
ცხოვრების განუყრელი თანამე-
ზავრი — ნინო მაყაშვილი ჩეკენ
საუბარში მონაშილეობდა და მე-
ქმიაყოფილი ოვალებით მიყურე-
ბდა. ეს იყო ჩეკენი უკანასკნელი
შეხვედრა. წამოსვლისას ტიციან-
მა შუა კარებამდე ჩამაცილა და
ნაღვლიანი ლიმილით დაშორდა,
შეც მძიმე შთაბეჭდილებით გა-
მოვედი პოეტის ბინიდან და ჭავ-
ჭავაძის ქუჩაზე დავეშვი.

თბილისში შემოდგომა უკვე
იწყებოდა და რუსთაველის პრო-
სპექტის ჭადრებზე დაღლილი
ფოთლები შრიალებდნენ. თურმე
ეს ტიციან ტაბიძის სიცოცხლის
უკანასკნელი შემოღვომა იყო”.

მაშინ ტიციანი 42 წლის იყო.
შემოდგომის ერთ მოწყენილ სა-
ღამოს მოაკითხა დემონმა და გა-
უყენა სიკვდილის გზას. მაგონდე-
ბა მისივე სიტყვები „ტოლსტოის
დღეებში“ რომ შერდა: „უკანასკ-
ნელი სურვილი. რომელიც აწვა-
ლებდა ლევ ტოლსტოის იმ საბე-
დისშერო ღამეს, როცა მან დას-
ტოვა იასნაია პოლიანა და წავიდა
სიკვდილის შესახვედრად, ის
იყო, როგორმე კავკასიამდე მიე-
ღწია: ეტყობოდა სიკვდილი თან
ახლდა იმ ღამეს და ტოლსტოი-
საც უნდოდა მომკვდარიყო კავ-
კასიაში“.

ლევ ტოლსტოის ამ სურვილს
ტიციანი კ. პამსუნის წიგნის
(„მოგზაურობა ზღაპრულ ქვეყა-

ნაში“) მიხედვით ხსნის. მასში
აღწერილია რუსეთსა და კავკა-
სიაში მოგზაურობა. ერთი პარადემონი
სული ჩვეულება პქონდათ, —
თავიანთ საუკეთესო პოეტებს
სასჯელის მოსახლელად კავკასია-
ში აგზავნიდნენ, მაგრამ კავკასია
ამ პოეტებისათვის შთაგონების
წყაროდ ხდებოდათ. და მართ-
ლაც შეუძლებელია კავკასიის გა-
რეშე წარმოვიდგინოთ ლიტერა-
ტურული მემკვიდრეობა ისეთი
შერლებისა, როგორიც არიან
პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოე-
დოვი, ტოლსტოი და სხვები.

შემოქმედების მიწურულშიც
ტოლსტოი კავკასიაზე ფიქრობდა.

ჩეკენ გვაძვს საიმედო წიგნი
პოეტის უკანასკნელი სურვილის
ამოცნობისა, ესაა უმშვენიერესი
პოეზია, რომლის ავტორია ტიცი-
ან ტაბიძე.

უკანასკნელი სურვილი, რომე-
ლიც აწვალებდა ტიციან ტაბი-
ძეს იმ საბედისშერო ღამეს, რო-
ცა მან დატოვა თავისი ოჯახი,
იყო დასრულებული ენახა დიდი
წიგნი, რომელსაც „სამშობლო“
უწოდა. ტიციანი სამშობლოზე
შეუვარებული კაცი იყო, მისი
პირველი და უკანასკნელი სურვი-
ლი — სამშობლოს ბედნიერება.

ნარკვევში „ტოლსტოის დღეე-
ბი“ ტიციანს მოტანილი აქვს „პა-
ჭი-მურატის“ დასასრული: „რო-
ცა დაჩეხილი და ტყვიებით დაც-
ხრილული პაჭი-მურატი კვდება
ტყეში, ყორნები კი არ ჩხავიან,
მხოლოდ სროლის ღროს დამფრ-

თხალი ბულბულები სტვენენ. ალბათ იმის ნიშად, რომ სიცოცხლე არ თავდება“.

ტიციანი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს იმის მიუხედავად, რომ რიგი წლების ჩატჩოებში მის ლექსებს აყრილი ქონდა მოქალაქეობის უფლება.

პოეტები ორჯერ იბადებიან. მეორედ მაშინ, როცა ცათმდე აღავლენენ სალფო ჰანგებს. საოცარი ბედი ეწია ტიციანს. იგი ზომ სამჯერ დაიბადა.

„დავიბადე 1895 წელს, 2 აპრილს, დასავლეთ საქართველოში, სოფელ შეამთაში — ორპირის მახლობლად. ორპირი საჩინოს თემში შედიოდა. ჩემი ბავშვობის წლებში უკვე აღარავის სჯეროდა, რომ საჩინო საქართველოს ბელლად ითვლებოდა, იმდენად დაცარიელდა ეს ოდესაც მდიდარი მხარე, რომელსაც იხსენიებონ ძველი ბერძენი გეოგრაფები და ჩვენი მემატიანები“. — იგონებს პოეტი.

ეს იყო მისი პირველი დაბადება.

„ლექსის წერა ძალიან ადრე დავწყე, ბეჭდვა კი მეექცე კლასიდან. თავდაპირველად ქუთაისის გაზეობში ვბეჭდავდი, შემდეგ თბილისშიც. ორიგინალური ლექსების გარდა, მაშინ მთელი რიგი თარგმანებიც დავბეჭდე: ა. ბლოკისა, ვ. ბრიუსოვისა, ო. სოლოგუბისა, ი. ანტონისა და ფრანგი პოეტებისა, აგრეთვე თ.

ღოსტოესკის „ლეგანდა ინკვიზიტორზე“. — ეს იქნა ეტის მეორედ დაბადება. უკრავულებელი მეორედ დაბადების მესამედული უკანასკნელია.

ტიციან ტაბიძე მესამედული დაბადა, როცა მისმა პოეზიამ დაიბრუნა განუკითხაობის უამს აყრილი მოქალაქეობის უფლება. ტიციანს უყვარდა გრიგოლ ორბელიანის სტრიქონის განმეორება: — „სიკვდილით ბადებს სიცოცხლეს“. სამჯერ დაბადებული პოეტი განუყრელი დარჩა სიცოცხლესთან. ეს რომ ასე იქნებოდა, მასაც სჯეროდა — „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განურელი!..“

სიცოცხლესთან სიკვდილმა ჩამოიარა. ჩამოიარა და სამუდამოდ შერცხვენილი დარჩა, რაღაც სამჯერ დაბადებულს ერთმა სიკვდილმა ვერაფერი დაკლო. 1926 წლით არის დათარილებული უმშვენიერესი ლექსი:

სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა;
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა;
შეხედეთ ოქროს მზეამზეს,
მოები რომ მთებზე ეყარა;
ყოველდღე ამას ხედავდეს, —
რა მოკლავ ასეთ ქვეყანას.
მოვა სიკვდილი, შეხედავს
და შერცხვენილი გაიარს,
როცა ცა სისხლით შელებავს
თურაშაულის განთიადს.

ტიციან ტაბიძის სიცოცხლესთან განუყრელობის საბუთი იყო მოსკოვში ა. ფადეევის სახელობის მწერალთა სასახლეში 1976 წლის 29 ოქტომბერს გამართუ-

ლი მისი პოეზიის საღამო. ალბათ ამ სასახლეს და მოსკოვის ქუჩებს ახსოვთ ჭაბუკი ტიციანის ნათელი სახე და გიგანტური ნაბიჯები. „1913 წელს — იგონებს პოეტი თავის „ავტობიოგრაფიიდან“ — მოსკოვის უნივერსიტეტში შევედი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ დროს უნივერსიტეტის ავტონომია საბოლოოდ გააუქმა განათლების მინისტრმა — ბნელეთის მოციქულმა კასომ. მოწინავე ლიბერალურმა პროფესიონერებმა დასტოვეს ჩვენი უნივერსიტეტი... მე უსმენდი ნიკო მარს... ჩვენი პროფესიონერებიდან განსაკუთრებული სიყვარულით ვიგონებ აკადემიკოს მ. ნ. როზანოვს... მწყინდა, რომ მიწყდა ტიუტჩევის უკანასკნელი სიყვარულით გამობარი ვ. ო. კლიუჩევსკის სიტყვები, რომლებიც ვერაფრით ვერ შეცვალა რეაქციონერმა რექტორმა მ. ლიუბავსკიმ — კასოს დანიშნულმა ცალთვალა ციკლოპარამა...“

ტიციანი იგონებს ანდრეი ბელის ცხარე კამათს გოეთეზე, მარინეტისა და ემილ ვერპარნის ჩამოსვლას მოსკოვში, ვალერი ბრიუსლოვის გამოსვლას „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების“ სხდომაზე, აკმეისტების შეტევას სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობას ბალმონტთან, გატაცებას ბლოკითა და ანენსკით, მოსკოვის თეატრებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიკოვსკის.

ახლა კი, 1976 წლის 29 ოქტომბერს, მოსკოვის ლიტერატურუ-

ლი საზოგადოება ტაშს უკრავდა ოთხმოცი წლის პოეტს. ამ უკრავდავებელი იყო კონსტანტინებრძელი ნიკოლოზ ტიციანის უკრავდავლების, ირაკლი ანდრონიკოვის, ირაკლი აბაშიძის, ბელა ახმადულინას, ლევ ოზეროვის, გრიგოლ აბაშიძის, რასულ გამზათოვის, ვლადიმერ ორლოვის, რევაზ მარგიანის და სხვათა გამოსვლები.

ისინი გატაცებით კითხულობენ. ტიციანის ლექსებს რუსულ და ქართულ ენებზე და იგონებენ მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს.

1915 წელი. უკვე დაწერილია გალაქტიონის „მე და ლამე“, „გურიის მთები“, „უსიყვარულოდ“, „მესაფლავე“, „ლურჯი ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ელეგია“ და მრავალი სხვა. ამ დროს ტიციანი „ქართული პოეზიის მეფის“ წოდების მოსაპოვებლად წერს ლექსს „ცხენი ანგელოზით“. ეს წოდება უკვე გაღაყითონს აქვს დასაკუთრებული. თუმცა ტიციანის ავტორიტეტი საკმაოდ დიდია.

ტიციან ტაბიძის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი: ახლა, როცა გალაკტიონს ძინავს „მეფური ძილით“ მამადავითზე, როცა ღლესავით ნათელია მისი პოეზიის მთავარი კორდინატები, ღლევანდელი ჩვენი პოეზიის მოწინავე ძალებიც კი ვერ განთავისუფლებულია მისი გადოსნური ზეგავლენისაგან, ტიციანი კი გა-

ლაპტიონის გვერდით მოღვაწეობდა და ყველაფერში თავისი სტილი და ხელწერა ქონდა. პირიქით, ტიციანისეულ სახეებს და ინტონაციებს ახლაც ვხვდებით თანამედროვე ლაურეატი პოეტების ლექსებში. ტიციანის პოეზიის მთავარი წყარო შინაგანი მგზნებარება იყო. ამ მხრივ იგი ვლადიმერ მაიკლოვსკის მაგონებს. მაიკლოვსკი და ტიციანი, თუმცა არათანაბარი ძალით, მაგრამ ერთობინი პათოსით გრძნობენ დროის მაჯისცემას. განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ. გავიხსენთ მაიკლოვსკი:

Поэзия — та же добыча радия.
В грамм добыча, в год труды.
Изводишь единого слова ради
Тысячи тонн словестной руды.

ახლა მოვალეობით ტიციანს:
მე მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი,
უძილო ღამეს ხელში ეკავა;
მოსკედა წვიმა თქვეშით და ქაფით
და მოვარდება ლექსი წელავად.

თუ შეიძლება საერთოდ მარ-
დი და ლონიერი ვუწოდოთ
ლექსს, მაშინ ტიციანის ლექსი
ზვავივით მარდი და ლონიერია.
ლონიერია მისი სიტყვა, ფრაზა,
ტაეპი. უსაზღვრო სიმბაფრე და
დაუდევრობა, ლტოლვა და თავ-
გამეტება გრიგალივით იგრაგნება
მის სტრიქონებში და უსაზღვრო
სამყაროებს იტევს. უსაზღვროა
მისი დრამატიზმიც. ასე მონია
ლექსებში გაბნეული მიხაები სი-
სხლისაგან იცლება. მისგან შორს
არის ხელოვნური ნაჭედობა და
თეატრალური არტისტიზმი. მისი
ლირიკული პერსონაჟი სიკვდილს

კი არ თამაშობს რუსთაველის თე-
ატრის სცენაზე, იგი ნამდვილად
კვდება ნარიყალასთან, მეტადიდებულია
კი არ ლოცულობს სამშობლოსა-
თვის — ხმალშემართული იბრძ-
ვის მისი უკეთესი მერმისისათ-
ვის. ეს თვისება პოეტიში და პოე-
ზიაში ბედნიერი გამონაკლისია.
„დავბადებულვარ, რომ ვიყო მო-
ნა და საქართველოს მედგას უღე-
ლი“, — ეს ორი ტაეპი იმდენ
გრძნობას და შინაარსს, იმდენ
ენერგიას და თავგამეტებას იტევს,
რასაც ბევრი სქელტანიანი კრე-
ბული ვერ გადაწონის.

მხოლოდ ტიციანს ქონდა უფ-
ლება, ეთქვა — „ლექსებს ვიტყე-
ვი, ცის ქუხილი რა არი?! საიათ-
ნოვას შიგ საფლავში გავუტეხო-
ფიცარი“.

პოეტი თავისი შემოქმედების
გარიურავზე თუ კი რგავდა ბესი-
კის ბალში ბოდლერის ბოროტე-
ყვავილებს, შემდეგ ირმების შუ-
რდულს დაადევნა მუხრანის ვე-
ლზე სათქმელი ლექსი. ტიციანის
პოეზიაში ვხვდება მეტაფორუ-
ლი აზროვნების ისეთი ნიმუშები,
რომლის იქით ყველა ფერი ფერ-
მკრთალდება:

გამოვა წუთით გომბორზე მოვარე
და გორგასლანი ხმალით გადაწევს.

„აქ რომ მლეროდა რუსთაველი,
ვინ გააჩუმა, აქ რომ იბრძოდა
საყადე, ვინ გააკავა?“ — ციდან
რეკვესავით ჩამოგვესმის პოეტის
ხმა, რომელსაც წუთით ჩვენი ის-
ტორიის „ბნელ ხვეულებში“ შე-
ვყავართ:

ბებური ქვლები ირაკლიმაც
ქლიფს გიტანა,
სული დამარხა ნარიყალას
გამსკდარ ბასტიონს.

თავისებური და მძლავრია ტი-
ციან ტაბიძის სიყვარულის პოე-
ზიაც. შეიძლება ითქვას, იგი არ
მიყვება პოეზიაში სიყვარულის
კლასიკურ ხაზს და შორს დგას
„ათასერთი ღამის“ რომანებისა-
გან. პოეზიაში „გადავარდნილი“
პოეტი, რომლის ლერწამი ტუჩ-
მიუდებლად იკოცნება, პოეტი,
რომელსაც „ასე თუთქავს ცეცხ-
ლის ღადარი“, საოცრად ნატიფი
და მორცხვის სიყვარულში. რაო-
დენი კდემამოსილება, სითბო და
სინაზეა პოეტის სიტყვებში —
„გაღებულია სამოთხის კარი და
მე მრცხვენია რომ ვარ უშენოდ“. ხომ შეიძლება სამოთხის ლია კა-
რთან სატრფოს ამბორი ენატრა, ხომ შეიძლებოდა ეთქვა — გა-
ღებულია სამოთხის კარი და შე-
ნი ერთი კოცნა მწყურიაო. არა,
მსგავს სახეს პოეტის ვერცერთ
ლექსში ვერ შეხვდებით. ესეც
ტიციან ტაბიძის პოეზიის თავის-
თავიადობის ნიშანია. იქ სადაც
გიორგი ლეონიძე ამბობს „ძუძუ-
ები ოქროს კალმახებიაო“, ტიცი-
ანი იტყვის — „სჯობს გაიხარინ
სხვა გოგოებმა, მოიბან შენი ირ-
მის ფეხები“.

წერილში „ნინო ჭავჭავაძე“
ტიციანი წერს: „ნინო ჭავჭავაძეს
ლექსები არ უწერია და მხოლოდ
ერთხელ, უბედური სიყვარულით
შთაგონებულმა, დაწერა უკვდავი

Знѣмъ таꙗю сіе ѿѣхъ съ. 
и дрѹзіе саѹлѡвіе єзыкъ
и пѣтии ю.
Ум и дела твои бессмертны
В памяти русской,
Но зачем пережила тебя
Любовь моя.

და შემდეგ მთელი მისი სიცოცხლე ერთ თავგანწირულ პოემად იქცა მარადი სიყვარულისა“.

ମାରତାଳିଆ, ନୀଳମ ମାୟାଶ୍ଵିଲ୍ସ ଏକ ଡାଉଢ଼ିରିଆ ଆସନ୍ତି ସ୍ତ୍ରୀହିଙ୍କରେ ଦେଖିବାରେ କମରିଲି ଶାତାଳାଙ୍ଗିଲି ମେହିଁ, ମାଗରାମ ତାଙ୍କିଲି ଲାଭାଶି ଦାଶିବାରୁଣୀରେ ପ୍ରେସରେ ଦେଇଲାମାରିବାକୁ ପାଇଁ କମରିଲି ଶାତାଳାଙ୍ଗିଲି ମେହିଁ, ମାଗରାମ ତାଙ୍କିଲି ଲାଭାଶି ଦାଶିବାରୁଣୀରେ ପ୍ରେସରେ ଦେଇଲାମାରିବାକୁ ପାଇଁ

დაუმთავრებელ წერილში „ძვი-
რფასი სახელები“ გალაკტიონი-
წერს: „ბოდლერს აქვს ერთი შე-
სანიშნავი ლექსი, რომელსაც სა-
ხელად ჰქვია „ლოცვა-კურთხე-
ვა“. მაგრამ აქ არავითარი კურთ-
ხევა არ არის. აქ არის წყევლა-
და მხოლოდ წყევლა... ლექსი გა-
მოხატავს მგოსნის ამ ქვეყნად
მოსვლას, დაბადებას. ღვიძლო-
დედოსათვის მგოსანი არის საგა-
ნი მხოლოდ გაკვირვების და ზი-
ზღისა — დედას რცხვენია საკუ-
თარი შვილის ყოლა; მგოსანი
იტანს დაცინვას სულელებისაგან,
იტანს შურქსა და სარკაზმს. მგო-
სანი ხანდახან მსხვერპლი ხდება.
რომელიმე სისხლისმსმელი და-
ლილასი, რომელიც თავისუფლე-
ბას მისცემს იმას მას შემდეგ-
რაც ამოსწოვა მასში უკანასკნე-
ლი სისხლი. მგოსანი, რომელმაც

გამოიარა მთელი რიგი შეურაცხ-
ყოფათა და ტანგვათა, უკნასკნე-
ლად მიღის, ამ ტანგვათაგან გან-
წმენდილი, სამარადისო დიდებას-
თან, მიღის იმ გვირგვინით, რო-
მელიც გამზადებულია წამებულ-
თავის, მათვის, რომელთაც
ყველაფერი გადაიტანეს სილამა-
ზისა და სიმართლის სამსხვერპ-
ლოდ.

აღლიან სამწუხაროა, რომ ეს
ლექსი ქართულად არ დაიწერა,
მაგრამ აკაკის ნაწერებში ბლომა-
და გაბნეული ამის მსგავსივე
ფიქრები. იგი ისე ახლოა ქართ-
ველის სულთან, მის საუკეთესო
და თაყვანისსაცემ შვილთა მდგო-
მარეობასთან“.

საგულისხმოა, რომ ტიციან
ტაბიისის პოეზიაშიც უხვადაა გა-
ბნეული ამის მსგავსივე ფიქრები.
იგი ისევე ახლოა მის სულთან.
საინტერესოა ლექსები „ვლადი-
მერ მაიაკოვსკის დედა და დები“,
„სერგეი ესენინს“ და „ბალდადის
ზეცა“.

ვიცი, დადგება ბალდათის ბალში
ყრმა მაიაკოვსკი — ბრინჯაოს ბავშვი;
მე ეს ვუთხარი მწუხარე დედას
და ყველას ერთად მოგვეშვა სევდა.

ახლა კი მოვისმინოთ 
„სერგეი ესენინს“: უძრავი ცდები
ჩოფურშვილთან ვიყავით წუნებს,
შენზე ლრიალით გასკდა არღანი,
საეუთარ ძმასც ვეღარ გავუმხელ
რაც ჩაირულა გულში ბალდამი.
სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზონ ბაჭო, სერგეი ესენინ,
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი..
ამხანაგებო, თუ ლრმა ლელეში
ჩვენი თავებიც საღმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ
ორდენს...“

„ტოლსტოის დღეების“ დასას-
რულში ტიციან ტაბიი იგონებს:
„მეც მემსმოდა ტოლსტოის საფ-
ლავიდან თითქო ფიზიკურად გა-
უცივებელი მისი გულის ფეოქვა
და ვიცოდი, რომ ამ გულის ფე-
ოქვას წინათაც და ახლაც ყურს
უგდებდა რუსეთიცა და მსოფ-
ლიოც“.

მეც მომესმის ტიციანის ლექ-
სებიდან თითქო ფიზიკურად გაუ-
ცივებელი მისი გულის ფეოქვა
და ვიცი, რომ ამ გულის ფეოქვას
წინათაც და ახლაც უსმენდა და
უსმენს საქართველოც და რუ-
სეთიც.



სოსოციალური

„კავკაზის გაუმარჯოს, მოღი!“

დავეჩვიეთ უკვე, როცა მამულის სიყვარულის თემაზე ჩამოვარდება საუბარი, ხშირ შემთხვევაში უფროსი თაობის პოეტთა სტრიქონები გვახსენდება ხოლმე. გულს ცეცხლად გვედება და გვაურეოლებს მათი საოცრად გულწრფელი ჰანგი. გვმოძლვრავს და კიდეც შეუმჩნევლად მოგვმართავს სამშობლოს სამანებში ფხზლად დგომისათვის, ვაუკაცობისათვის, კაი ყმობისათვის.

ალბათ იტყვის მავანი: არც დღევანდელობის მესიტყველის აკლიათო გული ქვეყნის სამსხვერპლოზე მისატანი. იტყვის და შეც მანდა ვარ. დიახ, ახლაც ბევრი იწერება ჯვარსა თუ ვაზზე, ხერთვისსა თუ სვეტიცხოველზე, არმაზსა თუ ხიხანზე. საქებს რა გამოულევს საქართველოს ისტორიას — ვისთვის ეგზოტიკას და ჩვენთვის ღია იარას, მაგრამ ამ ღეჭვებს მაინც არა აქვთ ძველებურის ზემოქმედების უნარი და

გვიკვირს: ნუთუ ახალთაობის პოეტებს მოფერება და ალერსი ალარ ძალუბთ? ნუთუ ქვეყნად იქმნა პოეტი უცეცხლო, გულის ბუხარჩამქრალი და ჩანავლული?

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია არსებობდეს შუალედური პოზა. დგას ერთიანი კონკრეტული კითხვა და პასუხი, რაგინდ მძიმე იყოს იგი, გარკვევით უნდა ითქვას. და ბედნიერია ის კაცი, ვინც ამას მოახერხებს.

აი, სწორედ ასეთ პოეტზე და მოქალაქეზე მინდა მოგითხროთ, გიამბოთ მის წიგნზე, რომელსაც „სინაზე“ ჰქვია (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1977 წ.), სადაც ბევრი ახალი ხატი და მზის სხივი, გრძნობათა სიმართლე და რჩეული ტრფიალის შუქი ანათებს.

„შემოვუნახე შენს სიმცირეს სიმცირე ერთი“, ასე ჰქვია წიგნში პირველივე ლექსს, რომელშიც, თუ შეიძლება ასე ითქვას,

ახსნილია ციცაბოზე მავალი კაცის ფილოსოფია. აქ ახლებურალა დანახული მომენტი საუკუნის, ეპოქის პირმშოს თვალით, პოეტის გუმანით, დახვეწილი გემოვნებით გადაწყვეტილია ბევრისთვის საჩოთირო საკითხი: ვისაც რა უნდა ისა თქვას, ოლონდ შენ აუცილებლად უნდა გაჰყვე გულს — წრფელსა და უღალატოს. და არ უნდა დაუშალო მას ხმამაღლი სიმღერა (ბულბულის გალობას გაარჩევს მყითხველი ქარხნის ხმაურისაგან), არც მოფერება, თუკი აქვს ამის უნარი, საკმარისიწრფელე და პატიოსნება.

ეს ლექსი რთულია ქვეტექსტებით, ახლებური გადაწყვეტით, ხედვის საინტერესო რაკურსით.

მე ვერ ვიომე, მე ვერ მოვკვდი
წარსულში შენთვის
და სხვა სიკვდილი არ შემიძლია!

გამიგია, ვიღაცს დაწერა: მე დღეს სიცილის ხსიათზე არა ვარ, ან არ მსურს უსიყვარულოდ წუთისოფლის ბილიკებზე წოწიალი, ან კიდევ სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირს სატრფოს დამკარგავსო, მაგრამ იმის თქმას, რომ „სიკვდილი არ შემიძლია“, ვაჟკაცობა უნდა, მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი ჩვენს ნებაზე არ არის დამკიდებული, არამედ იმიტომ, რომ პოეტი რომელ სიკვდილსაც ითხოვს, დიდი სწინათ თავად მოკვდა. დავაკვირდეთ და ნათლად ვნახავთ სად მიგვიყვანს ზურაბ გორგილაძის სტრიქონი: ჩვენ არ ვკრებია წარსულის შავბნელ

დღეებში დასაცავად შამქორი და მარაბდა, ხიხანი და კრწანის, ჩვენ სხვათ — იმ ეპოქის უძველესი ველთა მსგავსად ვერ დავეცით მამულის გადასარჩენად და დასარჩენად, ვალი მათებრ ლირსეულად ვერ მოვიხადეთ. ეს სტევა პოეტს კონკრეტულ შემთხვევაში და ამიტომ ითხოვს შეუძლებელს, ნატრულობს შეუსრულებელს: ის წინაპრული სიკვდილი სურს — ძველი და რა ჰქნას თუ სხვაგვარად დამთავრება სიცოცხლისა, სხვაგვარად გამოჩენა არ შეუძლია.

ანდა მეორე ლექსი ავიღოთ. აქ ორიგინალურ გადაწყვეტასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ რეგისტრი, სტრიქონებში აზრის ხმოვანებისა, საკმაოდ მაღალია. აქაც ავტორს წარსულის ტკივილი არ ასვენენებს, სიზმრად აკვიატებული მეციხოვნე ეცხადება მუდამქამს და ერთი კითხვით აწიოკებს: ნუთუ გადარჩით ქართველები, ნუთუ თქვენი მტერი გაესრულა უკვე. ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი ხელოვანის საოცარ რეაქციის იწვევს:

და როდესაც დავაპირებ პასუხს,
შეეხტები... და მეღვიძება სულ.

დანარჩენი მყითხველმა უნდა წარმოიდგინოს, თუ რა მოხდა, საიდან დარჩა შეშფოთება ამხელა, როცა გეშინია პასუხის გაცემისა, რაღაც სიზმარშიაც კი ეჭვიანი ხარ და არ გჯრა საოცარი ბეღნიერება მამულის აყვავებისა.

ამ ლექსს გარკვეული კონტექსტით თითქოს აგრძელებს „საქა-

რთველომ ქროლვისაო“... სადაც
პოეტი ჩამოთვლის:

კაციშვილი ვერ დაგწამებს
ზარია თუ ნაღარაო,
საქართველო მომვარდა და
დამამხო და დამყარაო,
საქართველომ ამჩენა და
ამჟაფა და ამსხებაო,
საქართველომ გამჭურდა და
გაზიდა და გამცალაო,
საქართველომ დამათრო და
გამბორეა და გამყიდაო.

ამგვარი დაუინებული განმეო-
რება ლექსს ანიჭებს მეტ ექსპრე-
სიას, რის გამოც მას სულგანაბუ-
ლი მივყვებით ბოლო აკორდამ-
დე, რომელიც ასევე ლამაზი და
შთამბეჭდავია.

შენ კი... ლამის რაინდულმა
მოომინებამ აგატიროს,
კაცო, რამდენს აპატიე... და
რამდენს უნდა აპატიო.

საქმე იმაშია, რომ აქ პატიება
პირობითი ცნებაა. ტველი დროი-

მთავარი კი, მთავარი კი წაგრილა,
როგორ მსურდა შენოვის
მაინც... ეჭვის თვალით

როგორ მსურდა, როგორ კიდევ, ოშეის მაღალ
კოშკებიდან

შენი მზე გადმომდგარიყო, ზარებით და დროშებითა...

მართლაც ვერაფერს იტყვი, —
პოეტი მკითხველის სენტიმენტებ-
ზე არ თამაშობს, მაგრამ ჩაგაფი-
ქრებს, გასურვილებს და ბარე
დიღხანსაც. შეიძლება ხმამაღლაც
გათქმევინოს ნატვრა.

ამავე ლექსში არის ერთი საი-
ნტერესო გამოთქმა — „და ყვე-
ლა მზის ძლიერება“. შეიძლება
იგი სინონიმია შეკრული ისრების

სათვის იგი სადღაც სისტემებაც
ნიშნავდა. ერთია ის, რომ ჩვენი-
მამულისათვის მართლაც არ იყენებულ
დამახასიათებელი მდაბალი ხასია-
თის ისტორია, რომ მისი ვაჟკაც-
ობა არასდროს დახურდავებულა-
შეორე კიდევ ის არის, რომ სხვე-
ბის ურჯუკ ქმედებას ჩვენ მხოლ-
ოდ თავდაცვის ვუპირისპირებ-
დით, რამეთუ აუარება მტრების
სისინში პასუხის თხოვნისა და
ზღვევინებისათვის იშვიათად გვე-
ცალა.

ამ ლექსებისაგან შინაარსობ-
რივად და შინაგანი ემოციით სა-
ვსებით განსხვავებულია „როგორ
მსურდა“, სადაც პოეტი ყველა-
ქართველის ნაფიქრალს გაღმოვგ-
ცემს და გვჯერა მისი, რადგან ზე-
მოქმედების ძალა სტრიქონებისა-
იშვიათია:

წაგრილა და წარეცხილა,
მაინც... ეჭვის თვალით
არ ეცძირათ.

როგორ მსურდა, როგორ კიდევ, ოშეის მაღალ
კოშკებიდან

შენი მზე გადმომდგარიყო, ზარებით და დროშებითა...

მდგრადობისა ანუ ერთიანობის-
ძალისა. მთავარი ამ შემთხვევაში
სხვაა, — ამგვარი მიმართება სა-
გნისაღმი იშვიათად მინახავს. ეს-
ის ხატია, რომლის შიგნით ვულ-
კანს ღვიძავს. აქ მზე ვაზია, მზე
ჭიგოა, მზე ციხის კედელია, მზე
გუთნისდედაა, მზე ფარ-შიმშე-
რია, — ერთი სიტყვით, საქართ-

ველოში ბევრი, ძალზე ბევრი მზე
ყოფილა ყოველთვის და ყოველ

დროში, ოლონდ მას ზოგზოგება/
ვერ ხედავენ, რამეთუ:



შეილთა სხვა მირონით ნათლავს და ეუფლება
შენი ხატია თუ გრილო,
რამდენი შენს ტახტზე ასვლას და მეუფებას
შენი დავიწყებით ცდილობს.

ლექსი „ორი რუსთაველი“ ში-
ნაარსობრივად თითქოს აკონკრე-
ტებს ამ აზრს. აქ ისტორიული ექ-
სკურსი ფონია დღევანდელობის
წარმოსაჩენად. პოეტი სიზმარში
ორ უპირველეს მგლისანს იხილავს
და ეს სრულიალ საქმარისია, რა-
თა სურათს განზოგადების სახე
მიეცეს, განივრცოს და ფართო
პლანში წარმოაჩინოს ზოგიერთის
„იწრო ბუნება“.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ
ლექსი ვერ ტოვებს ძლიერის
შთაბეჭდილებას, არც აზრის მდი-
ნარება აღიქმება ერთიანობაში.
ამას ემატება ისიც, რომ ზურაბ
გორგოლაძის ტონი გაბრაზებული
კაცის მოძახილს უფრო ჰგავს,
ვიდრე მოძღვრისას და, აღბათ,
ამიტომაც დასკვნა სადღაც ალო-
გიკური გამოდის:

იგი მეორე შოთა რუსთაველი
პირველს ძიძგნიდა და თხრიდა.

ერთგან ტახტს მითმობდა ბრძენი რსტევანი,
ერთგან ტახტის გამო მღრღნიდა
და
ერთგან ფეხს კოცნიდა შმაგი ტარიელი,
ერთგან მიღენიდა ვირებს.

ნათლად ჩანს, რომ პოეტი ტკი-
ვილამდე განიცდის ჩვენი ხასია-
თის მანკიერ გამოვლინებებს და
გვიყიუინებს კიდეც წარსულზე,
სადაც „უთავო პაიკებივით“ ვი-

იმდენად უცნაური ნათქვამია, -
რომ ყურსა სჭრის. რუსთაველი
ჰუმანურობის აღიარებული ეტა-
ლონია და მისი საპირისპირო
სპექტრში დანახვა (თუნდაც სიზ-
მარეულ ხილვაში) არაა სასურვე-
ლი. ესეც არ იყოს, აბსურდია
ერს ორი რუსთაველი ჰყავდეს,
რაგან განმეორება ერთი აღამი-
ანისა, თუგინდ გენიოსისა, თავი-
სთავად გამორიცხავს მიმდევრის-
სიღიადეს (ეს აქსიომაა, რამეთუ
ის პირობითი „მეორე“ დუბლა-
კატია მხოლოდ), სხვა მხრივ კი
არაფერი დაშავდება თუ ხალხს
რუსთაველისტოლა მეორე პოეტი
ეყოლება. აქვე იმასაც ვიტყვით,
რომ იგი არ იქნება თავისი თანა-
ოლიმპიელის განუსჯელად მომთხ-
რელი.

ამავე ლექსში არის სხვა საპი-
რისპირო პარალელებიც:

დექით სიჩუმის ფარდასთან და
დროისა და დახლის ცბიერი მე-
ფენი პატრონობდნენ ჩვენს გონი-
ერებას თუ პატიოსნებას. მართა-
ლია, აქ ვერ ვხედავ, კონკრეტუ-

ლად ვინმეზე გამწყრალ ავტორა
ცოდვა აეკიდოს ერისათვის, მაგ-
რამ მუქი სალებავი თვალშესავ-
ლებია და იგი ზედმეტად მეჩვე-
ნება, რადგან შური, ძმათაკვლა,
გაუტანლობა, „უჩემოთ ვინ იმ-
ღერეთა“ ყველა ქვეყანაში ყო-
ფილა.

ალბათ იდავებს მავანი: ჩვენ-
თან უფრო მასობრივი იყო ხა-
სიათთა ასეთი ხლართები და მარ-
თალიც იქნება სადღაც. საბუთებ-
საც მოძებნის და ჩაგასუმებს. ეს
ფაქტია, მაგრამ იმას რა ვუყოთ
— ჩვენთან სიყვარულიც მეტი
იყო, ერთგულებაც, „ფიცერც-
ლიც“.

არ ვიცი, როგორ დასრულდება
ასეთი კამათი, თუ კი იგი ოდეს-
მე წამოიწყება. მე კი მეჩვენება,
რომ ერის უზომო ენერგია საღ-

ლაც უნდა დახარჯულდეს...
ისტორიის „ბრალია“, რომ შეი-
რად უმიზნობ იფლანჯურშისთვის.

მე აქ ისტორია ვახსენ და უ-
ნდა ცოტა რამ ვთქვა ზურაპ გო-
რგილაძის მიმართებაზე გარდა-
სულ დღეთა მიმართ. კარგია,
რომ წინაპართა საქმესთან მუტლ-
მოდრეკილი მიღის, როგორც შეი-
ლი ლირსეული, რომელსაც მამა-
თა ავი და კარგი, გზის დასაწყისა
და გასაგრძისი ზედმიწევნით ვაე-
გება. ამის საილუსტრაციოდ გა-
მოდგება ლექსი „მნათი წინაპრუ-
ლი“, რომელსაც ავტორი მამა
ვარშანიძეს — პატრიოტსა და
პატიოსან კაცს უძღვნის. ამ უეს-
ტით თითქოს შენარჩუნებულია
საქვეყნო საქმეზე შეყვარებულ
თაობათა თავისებური ესთაფეტა.
აი, ისიც:

ერეკლე ჭვარს აცვა საშობლოს მწუხარებამ
იმდენ ლოდინში და ცდაში,
და მაშინც ივერია ქუხდა და მჭუხარებდა
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

ან

თამარი ოპიზარის საჭრეთლით დიალობდა,
ვარძიას ცონებობდა ქვაში,
იჯდა თეთრონზე და სივრცეებს მიაპობდა,
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

ამ სტრიქონების შემდეგ მკით-
ზელმა შეიძლება იფიქროს, რომ
წარსულის იდეალიზაციასთან
გვაქვს საქმე, მაგრამ ასე არ არის
საბედნიეროდ. პოეტი სწორ პო-
ზიციას ირჩევს. ხედავს ძველთა.
„საქმეთა საგმირონს“ და მომავ-
ლისაკენ ისე იხედება. აქვე, კი-

დევ ერთხელ გაატარებს მათრახ-
ქვეშ იმათ, ვისაც ურწმუნო თო-
მას აზრებით უვლიათ წუთისოფ-
ლის შარაზე.

კმარა! —

ბოგინაა ბრმათა და უგნურთა,
შენ რომ გახევებს და გზარავს,
როგორც გვგუნებდი, ისე იგუმინებ
მარად! მარად და მარად!

ეს დაუინებული „მარად“ სხვა არაფერია, თუ არა მამულის ბედნიერი დღეების დღეგანდელობაში განივთება და ერთ ხატად წარმოდგენა, ე. ი. მომავლის ნათელი პერსპექტივის განცვრეტა, ხილვა იმისა, რომ ხვალ უფრო დიდი მზე ამოვა, უფრო ამაღლდება შოთას მიწა-წყალი, ჭიგოს უფრო მაგრად აეხვევა ვაჩი, დაიზრდებიან ქალნი და ვაჟნი მტერთან და მოყვრებთან მართალნი, გულადნი და სულით მდიდარნი.

აი, აქ ჩანს პოეტის ისტორიზმის დიდი გრძნობა. იგი არ ჰყოფს დროს ნაწილებად. მისთვის ისტორია ერთიანი გზაა საქართველოსი პირველი აკვის დარწევიდან ვიდრე უსაზღვრო სინათლისაკენ ამ გაგებით პოეტისათვის გარდა სულ ეპოქაში მოგზაურობა გულისხმობს მომავლის სარკმლებში გადახედვას.

ამიტომაც, ზურაბ გორგილაძე მრავალ მომენტს, რომელიც წარსულთან არის დაკავშირებული, თავისებურად აღიქვამს, ხედვის თავისებურ პრიზმაში ატარებს. მაგალითად, ავილოთ თურქეთის სამასწლიანი ბატონობა აქარაში, რომელმაც შთამომავლობას ორად ვაყილი გული, განახევრებული ცრემლი და საფლავი დაუტოვა. ის წუხილი, რაც ხიხანისათვის მებრძოლთა დედებისა და საცოლეების უბეებს ეკიდა, აბლაც დადის ჩვენში და მრავლის მუზა აკრთობს, სიმღერებს მწარე ჰანგზე.

აღმართ მრავალჯერ სამასი

სტრიქონი დაიწერა აერასახსენებული ბელ წლებზე. დღეს აჭარაში მეგულება მწერალი, რომელიც არ ამოვევნესოს ის სადაც აღმუშებულია არ, ის ვარსკვლავთცვენა.

მაგრამ, როგორც ყველა მე-დალს, ამ ლექსებსაც აღმოჩნდათ მეორე მხარე, და საკმაოდ საცნაურიც: ერთულოვნებისაკენ გადახრა, ერთი მოტივის ვარირება. სხვა თემებს პარალელურად ვეღარ მივაჭციეთ ყურადღება და...

ბევრგან გამიგია უცნაური გამოთქმა — „აჭარული მწერლობა“ ან „აჭარელი მწერალი“, რაშიც აღმართ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენი კუთხის სიტყვისოსტატებსაც მიუძღვით გარეული „წვლილი“. მეტასტეტი ხაზგასმა აჭარის ისტორიის შავბედობისა, ქუშისა და კვნესისა, იმდენად მასობრივი და დამახასიათებელი აღმოჩნდა, რომ ბევრის წარმოდგენით იგი თვისობრივ ფენომენს გაუტოლდა და რეაქციაც: არასასურველი გამოთქმის ჩამოყალიბებით დასრულდა.

ეს ერთი შეხედვით დაუკვრებელ ამბავსა ჰგავს, მაგრამ, მგონი, მაინც ასეა. ლიტერატურას დაფიზიკას აქვთ ერთი სერთო მომენტი. მათი შეხების წერტილი ნიუტონის მესამე — ქმედებულქმედების კანონია. სიტყვა-საც შეუძლია, თუკი მასზე განსაზღვრული ძალით იმოქმედებ, პაპირისპირ წინააღმდეგობა დაგახვედროს. აღრე, გერმანელ დამპყრობთა მისამართით; — „მიხაკისფერი ჭირი“ მოვიდაო, თქვა-

რომელიღაც მწერალმა. შემდგომში ისე ამოიჩემეს და იმდენი ატრიალეს ეს გამონათქვამი, რამდენი მისი განმეორება ჰქუათ-მყოფელ ადამიანს აზრადაც არ მოუვა. ასევე არავის სურს შეადაროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „თეორ ტაძარს“, რამეთუ ეს ხატიც დიდხანს აჯანრეს და აწვალეს.

და განა მარტო ეს. შეიძლება კონკრეტული თემაც მომაბეზრებელი გახდეს, ჩამოიქნას სტერეოტიპად და, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სრულიად მოულოდნელი შედეგი მოიტანოს, თუკი მას სხვადასხვა კუთხით, ასპექტით, შინაარსით ან ფორმით არ გაღმოვცემთ.

ზურაბ გორგილაძემ ალბათ უგრძნო ეს საფრთხე. მას სხვაზე არანაკლებ სტკივა თავისი კუთხის ნაკვენესარი. არაერთი ლექსი მიუძღვნა კიდევ სამშობლოსა და მის მცველებს — მომხდურის ვაზილით ჩაკაფულებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ზომიერებას არ უდალატა და შტამპებს არ გაპყვა. ამის ნიმუშებია აღრინ-

ჭელი თუ ახალი ლექსიგა „სხალთის ტაძარი“, „ლომია“, „გაფრთხილილება“, „ისევ შეტყოფულენობრია“ მიხარია“ და სხვა, საღაც ჰოტელი ქვეტექსტებით თუ მიგვანიშნებს თავის წარსულისმიერ განცდებზე და იმ ფიქრებზე, რომლებიც ჩასში დატოვეს დანგრეული გოდოლის ისტორიებმა. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი მომავლის საფეხულსა და პროტოლემებს უფრო უკავშირდება, ერთო ათასგზის განჩხრეკილი მომენტის გახსენებას.

აი, სწორედ ასეთი მიღვიმებით წარმოიქმნა თემის მრავალფეროვნება სარეცენზიონ წიგნში, სადაც ერთად ბობოქრობენ სიყვარულისა თუ სიძულვილის სისხლსაგესე გრძნობები, მომხიბლავი პეიზაზის ხატები, მედგაცრულებისა და უქმარისობის მომენტები. ცხოვრების ყოფითი სურათები, ზოგად ვიწრო-კამერული შოტივებიც. და ყველაფერს ამას ზემოქმედების საოცარი უნარი გააჩნია.

ავილოთ მაგალითად:

არაფერია ნამწვი. არც ნერვიული ბოლთა და ხაორით უნდა დაწვე ზოგჯერ საკუთარ ცოლთან მე კი...

ტრემლებით ვკოცნე იძულებითი წლები, ასე მგონია, ზოგჯერ ჩემსავ სხეულთან ვწვები.

ალბათ, იშვიათად მოგისმენიათ უფრო უაუკაცური „აღსარება“. და განა იმიტომ, რომ სხვას არ შეუძლია ამგვარი განცდა, არამედ

იშიტომ, რომ რაღაცის გვერიდუბა მუდმი. საკუთარი სულის სილაბისეულ მოძრაობას ვერ ვამჟელთ ხალხში და იჭვნარევი თუ

შევლანასვამი ვამბიმებთ მიწის
ზურგს, რომელზედაც დაგიარე-
ბით.

წიგნის წაკითხვის შემდეგ მო-
მეჩვენა, რომ ამოვხსენი ზურაბ
კორგილაძის, როგორც პოეტის,
მრწამისი. მისი სტრიქონი, ჩემი
შარმიმღვენით, ასე გმიანობს:
„ადამიანებო! იყავით გულწრფე-
ლნი, თვით უაღრესი შეჭირების
ფასიაც კი გამოფინეთ მზეზე
დარმშასავით მართალი და კეთა-
ლი სული. გწამდეთ, რომ მხო-
ლოდ ეს უშველის კაცობრიობას,
ესაც ერიდება ადამიანურობის
გამხელისა“. ასეთია ჩემთვის ლე-
ქსი „ბოშური სიმღერა“, სადაც
გულის გრდემლივით ცემა და-

ომ, შებილწული სიყვარულის პატივსაცემად
ზიზღი შენს სახელს.... მარადი ზიზღი.

იმავე ბაგემ ამოიცდინა ეს
უტრიქონები, რომელმაც ერთ-
ხელ „სიკვდილივით ჟკვდავი კო-
ცნა“ ინატრა და დედამიწა შეი-
ცოდა „სამყაროში მიმავალი მა-
რტო“, კარგი შედარებაც მონახა
და მთვარე მიჯნურად დაუსახა.

ამ ორი მომენტის შედარება
სხვაზეც მიგვანიშნებს, — არსე-
ბითზე და უმთავრესზე. ხელოვა-
ნი თურმე ქვაბსა ჰგავს, სადაც
ჭოჭოხეთური მხურვალებისა და
გულცივობის ნარევი ეტევა, იგი-
ცე ხელოვანი კომპლექსია მრავა-
ლგვარი წახნაგისა და ბოლოს ხე-
ლოვანი ათას სიმზე აწყობილი
ინსტრუმენტია და იმ ჰანგზე აფ-
ლერდება, რომელზეც შეახებს
ხელს ცხოვრება.

შუბრებულ გამაშიც ისე ისმის,
თოთქოს მღინარე მოარღვევდეს
გებირს.

მიდის ასე ჰარიბარად. გრძელობით
მიდის ჩემი გაზაფხული, მიდის...
გროველ ჭვამაც გაიხარა,
გოობელ უშმაც აუკანყდა სინდის.
აოარ დადგა ჩემი ხვალუ,
ვერ მესროლეს ის გრძელელი გუნდა,
ომერთო! ვიღაც შემაყვარე,
ვიღაც ღმერთო, მაწანწალა თუნდაც.

ეს ლექსი ნათლად გვიჩვენებს
პოეტის ოვისებას, — როცა იგი
სულში დავინებულ ვნებებსა და
სურვილებზე წერს. მაშინ მისი
სტრიქონი ძალზე ემოციურია.
რამეთუ იგი ანარეკლია შინაგანი
წინააღმდეგობებისა და ნააზრევი
შთამბეჭდილავი გამოდის.

აქვთ უნდა ითქვას, რომ ამ ლე-
ქსში ავტორმა ენობრივი „შეც-
დომა“ დაუშვა. სიტყვა „ჭურღუ-
ლებს“ ისე მოქმედებს კაცზე,
თითქოს ფეხშიშველა ცხელ ქვი-
შაზე დადიოდეს. საერთოდ ზუ-
რაბ გორგოლაძე ამ მხრივ მეტის-
მეტად თამამად იქცევა. ლექსიგ-
ში „ლელვზე ვაშლის ყვავილი,
ვამლზე ლელვის კობერი“, „ამ-
უცხვე და ამშალე“, „წერილი
მთიდან“, „ჩემო ციცავ, კარგო
ციცავ“, „ბუხართან“ ისეთი სიტ-
ყვები დომინირებს, რომ აჭარის
ფარგლებს გარეთ მცხოვრები
მციონეველი ვერ აღიძვამ.

ჭერ ერთი, კუთხის კოლორიტის გადამსაცემად სულაც არ არის საჭირო ამდენი კუთხური

სიტყვების მოხმობა, მეორეც, თუკი პოეტი ფიქრობს ამ სიტყვების ენაში დამკვიდრებას, ტყუილად გაირჩება, ეს სიტყვები თვისობრივად ვერ დაუკავშირდება თვით ავტორის სტილსა და ენობრივ სამყაროს, პირიქით, სადღაც დაუპირისპირდება კიდეც, ლოდს დაემსგავსება, განუსჯელად რომ ჩაგდეს საძირკველში.

ყოველივე ამას, ცხადია, სიყვარული მალაპარაკებს. ვერც იმაზე გამოვიდებ თავს, რომ თითქოს ჩემი აზრი ბოლომდე მართალი იყოს. უბრალოდ, ავტორს გავახსენებ ელიოტის ორ გამონათქვამს: დიდი ინგლისელი მწერლები ბოროტად იყენებენ ენას, ამკვიდრებენ საკუთარ იდიომებს და გამოთქმებს, „იმდენად სპეციალურს და თვით ექსცენტრიულს, რომ იგი აღარაფერში გამოადგებათ მომდევნო თაობის პოეტებს“, და აქვე: „თუ მწერალს არ გააჩნია ენა, რომლითაც იგი გადმოსცემს ემოციებს, ე. ი. მას არ გააჩნია ემოციები“.

აქ შემოქმედი ზომიერების გრძნობაზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ თვისობრივ ფენომენზე, ეს როგორი საკითხია. ზუსტად ამგვარმა მიმართებამ წარმოშვა ერთი შეხედვით ორი დაპირისპირებული (ერთი აღმიანის მიერ) აზრი, რომლისგანაც გამოდის, რომ საჭიროა არა მექანიკურად სიტყვის შემოტანა, არამედ იმ ერთადერთი და განუმეორებელი სიტყვის მოძებნა, რომელიც კონკრეტულ ემოციას მოელი სას-

რულით და სისავსით გადმოგვცემს.

ენობრივი ხარვეზები უნიკალური სხვა სახის, ზურაბის სტილურულურ ბშიც შეიმჩნევა. „მნათი წინაპრული ისევ დაგვლრიალებს“... ამ სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა ამოვარდნილია ლექსის საერთო განწყობიდან, შინაარსობლივი ქსოვილიდან და ემოციას კი არ აღლიერებს, როგორც ამას აღმატათ ავტორი ელოდა, ასუტებს კიდეც.

ცუდი ალიტერაციებია: „ძონძალა ძაღლებს ძაგრავს ძერის გადაძახილი“ და „დარდიან დარდანელში დრაკონების მთქნარება“, იმიტომ რომ არც ერთი და არც მეორე აზრობრივად არ არის დაყურსული, მათი ბგერწერაც სუსტია და არ გვაძლევს გამოკვეთილ ხატს.

როგორც ზემოთ ვთქვი, ეს შენიშვნები ჩემია და ვითარ წესაა, მას ალიარებენ ან კიდევ ყურსაც არ მიაჰყობენ. შეიძლება ცოტა მკაცრიც კია, მაგრამ ვფიქრობ, ზურაბ გორგილაძისთანა პოეტს „შეღავათი“ არ სჭირდება. იგი მკითხველთა აზრით თავისი თაობის ავტორთა შორის ერთ-ერთი ნიჭიერი და პოპულარულია. სწორედ მისი საეთი ტვირთი მავალებს მეც „უგულო“ ვიყო, მით უმეტეს მაშინ, როცა ვხედავ, პოეტს აქვს თვითმყოფადი სტილი, სადაც მცირე შეუსაბამობაც კი ლაქასვით ჩანს.

სარეცენზიონ წიგნი ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც იპყრობს

ყურადღებას. წერის თავისებური
მანერა ბევრგან მულავნდება და,
რაც ჩემთვის სასიამოვნო მოუ-
ლოდნელობას წარმოადგენდა, წი-
გნში ვნახე ვერლიბრის კარგი ნი-
მუშები...

დაბოლოს იმის თქმა მინდა,
რომ ზურაბ გორგილაძის პოეზია
მოითხოვს დაწვრილებით განხი-
ლვას და ანალიზს. იგი უცდის
პროფესიონალ კრიტიკოსს, რო-
მელიც ახსნის თუ რად არის პო-
ეტის ზოგიერთი ლექსი ბუნდო-
ვანი, როგორ ახერხებს ავტორი
სამოქალაქო მოტივების მძლავრი
„ნაღმით“ დატვირთვას, საიდან

მოდის ასეთი მდიდარი ინტონა-
ციები და როგორ იზარდა წელო-
განში სიყვარული ადამიანის გა-
რომლის ექო შესანიშნავ სტრი-
ქონებად გამოიძერწა:

მზეო! — ვიღაც იხვეწება მწარედ,
მზეო! — ხარხარებს და მღერის,
მე კი ვდგავარ სასწაულის გარეთ
სამყაროსკენ გაშვერილი ხელით.
ეს მზე ჩავა, დაღამდება, მძმე
აძურველით მოიროვება მიწა,
მე არ ვარგავ, ო, არ ვკარგავ იმედს,
ვიცი, სადღაც ადამიანს ღვიძევს.
ყველას მისი დაშვენდება პალმა,
მისი დაფნა და იელის ტოტი,
მზეო! შენაც აღიარებ ალბათ,
აღამიანს გაუმარჯოს, მოდი!



მოსებ გეპირიშვილი

მ ე რ ი ლ ე კ ა შ ი

აჭარის ფლორა უძველესი დროიდან არის ცნობილი. აქ მცენარეებს განვითარების მეტად ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. აქაურობას ადვილად ეგუებოდა შემოტანილი კულტურული მცენარეებიც. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო ხეხილი, რასაც ტოპონიმებიც მოწმობს. აქ მრავალნაირია ვაშლი და მსხალი, ქლიავი და ტყემალი, ბალი და სხვა. არც გასაკვირია, რადგან კავკასია, კერძოდ კოლხიდა, ითვლება კულტურული ხეხილის წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრად. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, ხეხილის მყნობა ბალკანეთის ქვეყნებში საქართველოდან გავრცელდა. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ რომაელებს ბალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გაუტანიათ.

ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ საქართველო ძველთა-

იდენტება განხილვის წესით.


განვე გამოირჩეოდა ველური ხეხილის სიმრავლით. ახლაც ბევრია ჩვენში გარეული ანუ პანტავაშლი, ლელვი, მსხალი, კოწახური და სხვა. ეს საშუალებას იძლეოდა შეერჩიათ საუკეთესონი და გამოეყვანათ გაუმჯობესებული ჯიშები. „აჭარლები ხომ ერთერთი ძლიერი შტოა ბეველ მესხურ-ტაო-კლარჯული კულტურისა. ეს მემკვიდრეობა დაუყოვნებლივ უნდა აღინუსხოს, ხვალ შეიძლება გვიან იყოს ო“, წერს აკადემიკოსი ნ. კეცხოველი. აჭარას ვენახ-ხილიან ზოლად მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილი.

გეოგრაფიის მამა სტრაბონი, რომლის დედა ჭანი იყო, მიუთითებდა, რომ კოლხეთში მაღალ-განვითარებულია მეხილეობა-მებაღეობა. სტრაბონი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ცხოვრობდა, მაშასადამე, ივი მანამდელ პერიოდს აღწერს.

ასევე საყურადღებოა მეექვსე საუკუნის ისტორიკოსის პროკო-

ფი კესარიელის ცნობა. მან აჭარა საკუთარი თვალით იხილა და ამ-დენად რასაც წერს, უტყუარია. მესხეთი, მასში კი აჭარაც შედი-ოდა, მთაგორიანია, მაგრამ მოსახლეობა ისე დახელოვნებულია მიწათმოქმედებაში, რომ ხეხილითა და ვენახებით დაუმშვენებიათ მიწა და მათი ნაყოფიც ბლო-მად აქვთო.

ასე იყო საუკუნეების შემდე-გაც, ცხადია, თამარ მეფის დრო-საც. აჭარის ერისთავთ-ერისთავი, მწერალი, ფილოსოფოსი, ასტრო-ნომი, ისტორიკოსი და ენათმეც-ნიერი აბუსერიძე ტბელი 1233 წელს შეთხხულ ისტორიულ-მხა-ტვრულ ნაწილში მონაცემი „ბოლოკ ბასილის ეკლესის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე“ აგრონო-მიულ ცოდნასაც ამჟღავნებს. ერ-თმა მოღვაწემ, თავაღმა მშენებ-ლებს თვით აუშვა „ადგილსა ზე-და მწყურნებსა და მიწისა ზედა ლბილსა ხელყოფა ამის ამღე-ნებლისაი“, ასე დიდ სიღრმეზე რბილი და სველი მიწა იყო და ამიტომაც შენობის ასაგებად არ ვარგოდაო, მიუთითებს ივ. ჯავა-ხიშვილი. იგი ასკვნის, რომ, რო-გორც ჩანს, ქართველებს მაშინაც ცოდნიათ ნიაღავის შერჩევა ამა-თუ იმ კულტურული მცენარის გასაშენებლადო. მეხილეობის გა-ნვითარებას გვიდასტურებს ამა-ვე პერიოდის „მაჭახლის სულთა მატიანე“, რომელიც ერთ-ერთი უნიკალური ქართული ხელნაწე-რია და ლენინგრადში ინახება.

აჭარისშეყლის ხეობაში რომ  ხილეობა მეურნეობის უადრესულები განვითარებულ დარგს  დგენდა, ამას ნათელყოფს გამო-ჩენილი ფრანგი მოგზაური და დიპლომატი ჟან შარდენი, რომე-ლმაც 1672 წლის შემოღვიმაზე მოიარა ჩვენი კუთხე. იგი მას „უც ქვეყანას“ უწოდებს, ხალხს „მშვენიერი ელფერი აქვს და ლა-მაზებიც ბევრია მათშიო“.

შარდენი აქებს აჭარის მკეიდ-რთა შრომისმოყვარეობასა და სულვრტელობას. „ჩვენ უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხს; ღვინო, პური და ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მო-სახლეს თავის წილად დიდი დო-კით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონ-და. ჩემგან ფულს არ იღებდნენ“. და აქვე: „აქაურები ბევრად უკე-თესად ცხოვრობენ, ვიდრე კავკა-სიის სხვა ხალხები. ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. ეპ-რობის არცერთ ადგილს არ მო-დის უფრო გემრიელი შსხალი და ვაშლი“.

ვახუშტის ცნობით, მე-17 და მე-18 საუკუნეების მიჯნაზე აჭა-რა კვლავ „ნაყოფიერების ქვეყ-ნად“ იწოდებოდა. იგი გამოიჩი-ეოდა ხარისხოვან ხილთა სიმრავ-ლით.

აჭარაში მეხილეობის განვითა-რებაზე მეტყველებს ამ დარგთან დაკავშირებული უამრავი ტობო-ნიმი. ისინი ზღვისპირა, მაღალ-მთიან, განაპირა თუ შუა აჭარის ყველა სოფელშია მიმობნეული.

ეს, აგრეთვე ზეპირსიტყვიერებაში დაცული მასალები, ხალხური ტერმინოლოგია და სხვა გვარწმუნებს, რომ მიწათმოქმედება აჭარაში უძველესი ღროიდან მოდის, მისი შემაღენელი დარგი მეტილეობა კი ყოველთვის მაღალ დონეზე იყო.

ვინ არ იცის, რომ ჩვენში საკმაოდ დიდ სოფლებს სხალთა, ვაშლოვანი, თხილვანა, ლეღვა, წაბლანა ჰქვია. იშვიათია სოფელი, რომლის უბანს ხეხილის სახელი-საგან წარმოქმნილი სახელწოდება არ ჰქონდეს. ისინი გამოხატავენ ჯიშებს, მოსავლიანობას, ნარგავების რაოდენობას, გაშენების ადგილსა და სხვა.

დავიწყოთ მსხალთან დაკავშირებული სახელწოდებებით: სხალძირა — დიდაჭარასა და ცხმორისში, სამსხლიძირი — მეძიბნაში, სამსხალი — ვაიოში, სხალყანა — მილისში, სხალთიპირი — პაპოშვილებში, სხლობანილელებზუბუში, სხალთაფლიძირი — წყლისაყარში, სასელაძირი — ქედაში, ლომანაურში, მახალავიძებში, სხალთავაკე — ღურტაში, ძირკვაძებში, სხლოვანი — აქუცაში, სხლების ღუბე — ჯაბნიძეებში, სხალმერე — კორომენეთში, სხალთიმერე — ფურტიოში, ჭერში, სხალმერეთა — აჭყვისთავში, სხალბერექეთა (ანუ უხვი) — გუნდაურში, სხლიანი — დიოკნისში, სხალისაყანე — ბობიყვათში, კოხში, სხალვაკე — ქაქუთში, ხეჭეჭურაძირი — ბუღაურში და სხვა.

ვაშლიძირა — საციხურში, შლათხევი — ზვარეში, ქვდლებში, ვაშლები — ლომანაურში ჭყაფისა პოვილებში, ვაშლათი (გ) — ვარჯანისში, შუბანში, ვაშნარი — ჭერში, ვაშლანა — სინდივეში, ვაშლიქედი — ვარჯანაურში, ჩილავაშლა — ნამონასტრევში (ქედის რაიონი) და სხვა.

ტყემლიანი — სკურდიდში, ტყემლიძირი — დანდალოში, მარადიდში, ტყემლათი — ზვარეში, ჭალაში, ჯაბნიძეებში, ტყემლიქედი — მერისში, სილიბაურში, ტყემალთა — ნამლისეცში, ტყემლები — აჭყვაში, ტყემალკარა — წაბლანაში და სხვა.

ბალაური — თაგოში, ღლვანში, ბალნარი — მირვეთში, პაქსაძეებში, ბალგვერდი — კიბეში, ბერაძეებში (აჭარისწყლის ს/საბჭო), ბლიბახია — ტომაშეთში, ბალიქედი — ზედა მახინჯაურში, ხალაში, ბლიძირი — ვაშლოვანში, ლომანაურში, კოკოტაურში, მერისში, ზენდიდში, აბუქეთში, განთიადში, ძირკვაძეებსა და სხვა.

ლეღვათი — კოლოტაურში, ლეღვიძირა — გობრონეთში, ყორლისთავში, ლეღვათაღელე — გეგელძეებში, ლეღვისწყალი — ზენითში, ქლიავნარი — მაჭახელში, ქლიავებიძირი — წონარისში, ორმოსავალაი — ცხმორისში და სხვა.

ჩვენი წინაპრები ხილის ნაყოფსა და ფურცლებს დავაღებათა სამკურნალოდაც იყენებდნენ. დღევანდელი ქედის რაიონის ს. აგარაში ცნობილი განმანათლებ-

ლისა და პატრიოტის აბდულ მიქელაძის მიერ მიკვლეული „მცირე კარაბაღინის“ მიხედვით ყურის ტკივილის მოსარჩენ სხვა წამლებს გარდა იყენებდნენ ატმის გულის ზეთს. მას გამოხდისთავე ყურში აწვეთებდნენ ავადმყოფს. ატმის გული კი სიყრუვესა და ყურიდან სითხის დინებას ჰკურნავდა.

მუცლის აშლილობისა და პირდებინების საჭყრნალო წამლებში შედიოდა ნედლი და გამხმარივაში, რომელსაც ხარშავდნენ, ნაყავდნენ და წვენს ალევინებდნენ, ხოლო სიყვითლის მოსარჩენად ხმარობდნენ კოწახურისა და ვაშლის ცილით დაყენებულ წვენს, რომელსაც ღვინოსთან ერთად ალევინებდნენ და ტანსაც უზილავდნენ.

მსხლის ჯიშებიდან შემოგვრჩა გონივრა, სხალქოთანა, პაპა სხალი ანუ ძველი, სხალთეთრა, სხალბატონა, ბათომურა, ჭანივრა, თქლაფა, ოდიკისერა, ცხენითავა, ყურწყაპა, მარიობა, ლაბაშტა, სხალქვა, ხორგასხალი, აჭარული სხალი, ჩხიჯა, პურა სხალი, აკიდოსხალი და სხვა, სულ 36 სახეობისა, რომლებიც ნ. კახიძის გამოკვლევით მაჭახლის ხეობის სოფლებში დღესაცაა ცნობილი.

ვაშლის ჯიშებიდან ამ ხეობაში შემონახულია 15 დასახელებისა: აჭავლა, წითელი, თეთრი ვაშლი, ღემირა, მურღულა, ქეღეჭურა, ყორვალა, ფევილა, ჭალის, ჭვაბითავა, ბერა, ხოტორა, კვინჭილა, ოფე ვაშლი და სხვა. ნ. კახიძე

გვაცნობს ბალის, ქლიავის, ტუქჩილის, ლელვის, ატმისა და სხვათა ჯიშებსაც, მეხილეობასთა კურტკული ვშირებულ ტოპონიმებს, აგრეთვი იმას, თუ როგორ ამზაღებდნენ კოწახურს (ყორაოს), წოწორაქის ანუ ტყემლის საწებელს, ხოლო ხეხილის მერქნისაგან — ძვირფას ავეჯს.

პროფესორ შ. ნიუარაძის ცნობით, შუახევის რაიონის მხოლოდ ერთ სოფელ ნიგაზეულში ხარობს ვაშლის შემდეგი ჯიშები: გონივრა, ბოტა, ღემირა, წიაბლიკა, შაქარვაშლა, მახარავაშლა, კოჩივაშლი, პანტა ანუ ბუშავაშლი, წვრილ და გამძლე ვაშლს ამ რაიონში ლიტრიას უწოდებენ; ცნობილია აგრეთვე — ქლიავის ჯიშები ოტური და ჭიანჭური. მოხუც ნ. ლომინაძის ოქმით, მსხლის ნაწილს ძველად ბათუმში ეზიდებოდნენ, მეტწილად კაბეთმეზს ანუ მურაბას, ტყბილსამელს ლეჩერსა და სხვა საკვებს ამზაღებდნენ, ხოლო ნაწილს ახმობდნენ. ლეჩერის მისალებად ხილს ჭრიდნენ და აღუღებდნენ მანამ, ვიდრე შესქელდებოდა. შემდეგ ცოტა ხას (გოგრას) ან ჩირს ურევლნენ და ისევ მოაღუღებდნენ. აჭარლებს ყვარებით ხილის ჩირად შენახვა და ზამთარში შშრალად ან კომპოტის სახით გამოტანა სუფრაზე, — ვკათხულობთ კავკასიის არმიის შტაბის უფროსის ვ. ლოსოვესკის წიგნში. ამასეუ მიუთითებს ზაქარია ჭიჭინაძეც — აკეთებდნენ აგრეთვე ტყლაშს და ინახავდნენ საჩა-

მთროდ, მაგრამ შინაური თუ ველური ხილი მაინც დიდი რაოდენობით ხეებზე რჩება და იყარგება.

ვნახოთ როგორ ინახავდნენ მსხლის, კერძოდ, ხეჭეჭურისა და სართულას ნაყოფს ხულაში. მას ქვევიდან დაუფენდნენ რაიმეს, მოაწყობდნენ სიმინდის ქუნჩილს ან თივას, ზევიდან ქსოვილს გადაახურავდნენ და ხილს გაზაფხულამდე ინარჩუნებდნენ. ინახავდნენ ჭურშიც, მაგრამ მხოლოდ ხეჭეჭურს. საჭირო იყო ჭურისთვის რაიმეთი შელესვა, ვთქვათ, ტალახით, მიწის წაყრა, რომ პაერი არ შესულიყო. ასე მსხალი შავდებოდა და თან მწიფდებოდა.

საკრეფად იყენებდნენ გიდელს, თოქს, გოდორს, ორხაპოსა და ოჯას. გიდელს კავით ჰკიდებდნენ ხის ტანზე, ძირს კი თოკით უშვებდნენ. ნერგს ჩქოლასაც უწოდებენ. დამყნილ ჩქოლაზე გამოცანაც კი მოუგონებიათ — „თავ-შეცეცლი მაღლა გარბისო“.

ხილის ჯიშებს, მაგრამ მომავალს სხვა მკვლევარები და მოგზაურებიც შეეხენენ. მაღალმოანარ აქარაშიც ხილი უხვად არის, განსაკუთრებით ვაშლი და მსხალი. მათი, აგრეთვე წაბლის უზარმაზარი ხეები ტყეშიც უამრავია, გასდევენ გზებსა და ხეობებს. ღიდავიარა ბალებშია ჩაფლული, ყვავილობისას ძლიერ შეამჩნევთ სახლებს. ჯალაბაშვილებში სელმან ბაირამიშვილის ერთი ძირი მსხალი ყოველწლიუ-

რად 200 ფუთს ისხამს. ხილი აქვთ ოზურგეთში, ახალციხეში არდაგანსა და ალექსანდრეს და გურჯაათვა (ლენინავინი), წერს გ. ყაზბეგი.

დ. ბაქრაძის ცნობა ზღვისპირა აჭარას ეხება. ხილი ყველა სოფელშია. განსაკუთრებით კინტრიშის ხეობაში. იგი ხარისხით უკეთესია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. გემრიელი, ღიძრონია და კარგა ხანს ინახება. ზემო ხინოსა და ღიძრებაკეში გვამე ღიძმარცვლებიანი გემრიელი ალუბალი, რომელიც შემოდის მაშინ, როცა სხვაგან მოლეულია. ომამდე (1877-1878 წ.) ბათუმში, ფოთში, ოდესასა და სხვაგან გაქვერცვათ 200 ათასი ფუთი ვაშლი და ასე ათასი ფუთი მსხალიო. ოდესაში, ყირიმში და სხვაგან რომ გატექნდათ ხილი ბათუმიდან, ამაზე მიუთითებენ ფრანგი მოგზაურები მურიე და ლიონშინი.

მოგვყავს ჩვენი კუთხის კარგი მცოდნის თ. სახოკის ცნობებიც ღორგომში მეცხოველეობის შემდეგ მეცუტკრება და მებაღეობაა განვითარებული. აქაური მსხალი განთქმულია. ხეხილი ყველა ოჯასს აქვს. ფურტიო სავსეა ხილით. საზამთროდ იმარავებენ მსხლის ჩირს და კომპოტსაც აკეთებენ. ქლიავიც საყოფად აქვთ. ფურტიოში აღამიანს აოცებს მთელი ტყე ხეხილისა, რომელშიც ჩაფლულია აქაურთა სახლები. განსაკუთრებით აუარებელია მსხალი. ამდენი კარგი ჯიშის ხილს აქარაში იშვიათად საღმე შეხვდებით.

აჭარის შესახებ სამართლიანდ
ითქმის, მთლიანი ბალია. ხილი,
განსაკუთრებით მსხალი, ზველ-
განაა. ხეს გადაჭრიან, გაპობენ
და ზედ კარგი ჯიშის ხეხილის
ყლორტს დამყნობენ. თოვლი
ტოტებს ხშირად არ არჩენს მათ.
ხილი მეწლეურია ანუ „სირით
მოდისო“. მსხალი მეტად ნაქებია,
გააქვთ ბათუმში ფუთი 30-80 კა-
პიკათ, ხოლო ფუთი ვაშლი 40
კაპიკიდან მანეთამდე ფასობს. მი-
აქვთ არტანუჯელებსაც. 1894
წელს ხულოში 5065 ფუთი ვაშ-
ლი მოუკრეფიათ, მსხალი 2000
ფუთიო.

შემდეგ ჩამოთვლის ვაშლის სა-
ხელებს: ბოტია, წითელი, ყარა-
ფილა, შაქარვაშლა, ბიავაშლა,
სობავაშლა, წითელვაშლა, მწვა-
ნია, გონიერა, ჩალავაშლა, დემი-
რა ანუ რკინავაშლა, წიბლიკა
(წვიტა), კაჩა და ყირმიზა ანუ
წითელა. მსხლის სახელებიდან:
ხეჭეჭური (ცურში ინახვენ და
აქედან წარმოსდგება), ბელალე-
თურა, ბეტურა, საღომა (ლომსა-
ვით იჭმება, ჩბილია) კვირისთავა,
სხალძარა, თავანა, ჯიხარაჭული,
ხეხელა (ადრეული), ბარაქა, ბა-
რაქის ბუში, სხალგზა (საზამთ-
რო), წყაროსპირა, სანთელა, ჭი-
ლობა, სამწიფარა, ვარდანულა,
ნუნუა, უწყვეტა, სართულა, მა-
გარა, ბუნძელა, უჩხითური, (სო-
ფელია ქედის ჩ-ში), შავსხალი,
სხალთაფულა, თავრიზულა, კაცის-
თავა, ბოჭუა, ნანეზირა ყაბაღარ
მუთი, წარე ბოქშუა (ძალზე დი-
დია, ერთი კაცი ძლივს ერევა),

პაქსურა, მიხრივი, ყვითელა, ხე
ტურა, მილახური, გვერდშითელა,
თეთრულა.

თ. სახოვია ქლიავის სახელებ-
საც ჩამოთვლის: ოტური, ვარვა-
ლა, ჭანჭური, ლორქლიავა და
ქლიავი. მსხლის სიმრავლეს, აგ-
რეთვე მისგან წვენებისა და არ-
ყის გამოხდას მნიშვნელოვანი
რაოდენობით აღასტურებს მისი-
ვე ცნობა. რსმალების ბატონობის
ფროს (1878 წლის აგვისტომდე)
ხილიდან არყის გამოხდაზე სპე-
ციალური გადასახადი ჭვევირებ
არსებულა.

უფრო აღრინდელ პერიოდს ეხ-
ება ს. მესხი. „ბევრი ხილი, „ქა-
უსთავა, მსხალი“ და უშველე-
ბელი ვაშლები, ოყა ანუ 3 გირვა-
ნე შაურად ფასობსო. ჩაქვის ხი-
ლი მთელს რსმალოს საქართვე-
ლოშია განთქმული. ხუსეინ ბე-
კანიძის მამულებში მოჰყავთ ჩი-
ნებული ხილი“. ხოლო გ. წერეთ-
ლის ცნობით, ჩერქეზებს, იმერ-
ლებს, მეგრელებსა და სხვებს რს-
მალოს დროინდელ ბათუმიდან
გაპერნდათ არა მარტო ცოცხალი
და შებოლვილი თევზი, ლიმონი
და ფორთოხალი, არამედ გმხმა-
რი ხილიც. 1878 წელს ბევრგან
მსხლის, ვაშლის, ქლიავის, ვაზი-
სა და კავლის ნარგავები ომის გა-
მო მნიშვნელოვნად გაჩანაგდა.

მაგრამ მთელი მოსავალი, ცხა-
დია, ვერ გაპერნდათ. ამიტომაც
მეტად იაფი იყო. ამ საუკუნის და-
საწყისში კარგი ხარისხის ფუთი
ვაშლი 80 კაბიგი ღირდა, წერს
ე. ლიოზენი. მისივე ცნობით, ლე-

ლეიდან არაყს ხდიდნენ. სპირტი-ანი სასმელების დასამზადებლად იყენებდნენ აგრეთვე თუთას, ვა-შლა და ველურ ხურმას.

მეხილეობაზე საინტერესო მა-სალები და მოსაზრებანი დაგვი-ტოვა ისტორიკოსმა ი. კანევსკიმ. მან 1885 წელს იხილა ჩვენებური თეთრი ბალი, ატამი, ვაშლი, ბრო-შეული და მსხალი. საგანგებოდ შეჩერდა მსხლის ერთ ჭიშხე, რომელიც ვაშლს წააგავდა, გამო-ირჩეოდა ზეთის მსგავსი ტკბილი წვენით, იშვიათი არომატითა და სიმწიფით. იგი ყუნწურან მსხვილი იყო, ბოლოში კი პირიქით. მისა-ვე ცნობით, ხეხილის მყნობელე-ბი ყველგან იყვნენ, ამიტომაც არავის არ აკლდა ხილი. დამყნი-ლი მცენარე 2-3 წელიწადში იძ-ლეოდა ნაყოფს. ხილი ბევრი და მრავალფეროვანია, ამბობს ი. კა-ნევსკი, ამიტომაც საკონსერვო მრეწველობა უნდა განვითარდე-სო. ამავე საკითხზე გაამახვილა ყურადღება ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ა. წულაძემ, 1916 წელს იგი ბათუმიდან საქართველოს სა-ქველმოქმედო საზოგადოებას სწრედა: „აჭარაში უპირატესობა უნდა მიეცეს ხეხილის სამრეწვე-ლო ბალების გაშენებას, აჭარლე-ბის შემოსავლის უმთავრეს წყა-როდ მომავალში ეს დარგი უნდა იქცეს, ღრმად ღარშმუნებული ვარ, რომ აქ მოწეული ხილი თა-ვისი ღირსებით, სურნელებითა და გამძლეობით შესძლებს მეტო-ქება გაუწიოს ქართლის ნაქებ ხილს“, მაგრამ აჭარაში საბჭოთა

ხელისუფლების დამყარებამდე ემ საკითხზე სერიოზულად აგავის უფიქრია. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, აჭარელთა ერთი ნაწილის ისმალეთში გადახვეწამ, კაბიტალისტური წყობილებისათ-ვის დამახასიათებელმა კრიზისუ-ლმა მოვლენებმა, საკონსერვო მრეწველობის უქონლობამ, ხილის სიაფემ და 1914 წლიდან მოყო-ლებულმა ომებმა და უცხოელთა ინტერვენციამ მეხილეობას დიდი ზიანი მიაყენა. 1884 წლის კავკა-სიის კალენდრის მონაცემებით ბა-თუმის ოლქში აღრიცხული იყო 2.675 ლელვის ხე, 18.566 ვაშლის, 1.860 კომშის, 17.042 მსხლის, 1.265 ქლიავის, 660 ბლის, 440 თუთის, 600 აღგიღობრივი ანუ პონტური ხურმის ხე და 110.211 ძირი ვაზი. მაგრამ ზემოთ აღნიშ-ნული გარემოებების გამო აჭარა-ში საბჭოთა ხელისუფლების დამ-ყარებამდე მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, იქლო ამ დარგის მოყვარულებმა, მყნო-ბელ-ენთუზიასტებმაც. ამიტომ იყო, რომ მშობლიური კუთხის განვითარებით დაინტერესებული ხ. ბეჟანიძე, ხ. თხილაიშვილი, რ. ნიუარაძე და სხვები ზ. ჭიჭინაძეს, ა. წულაძეს, ხ. მესხს თხოვდნენ დახმარებას მებალეობის სკოლის დაარსებაში. 1894 წელს ცნობილ-მა პატრიოტმა გ. კაიკაციშვილმა სასოფლო-სამეურნეო სკოლის ასაგებად საკუთარი მიწაც კი შესწირა. შესდგომიან ფულის შეგროვებასაც.

მეხილეობის მნიშვნელობას მოსახლეობის ცხოვრების პიროვნების გაუმჯობესების საქმეში კარგად ხედავდა აჭარის ახალი მთავრობა — სახეომსაბჭო. მისი თხოვნით კილოგრამი ვაშლის ფასი 50 კაპიკიდან 2 მან. 50 კაპიკამდე გაიზარდა, რაღვან გლეხი ორი ფუთი ვაშლის ღირებულებით ერთ არშინ ჩითსაც კი ვერ იძენდა თურმე. 1923 წელს ქედაში შეიქმნა სანერგე. ამ დარგის აღმავლობა განაპირობა აგრეთვე გზების გაყავანამ, ერთგვარმა შეღაერებმა და დახმარებამ, რასაც საბჭოთა სახელმწიფო უწევდა მოსახლეობას.

1923 წელს აჭარის საბჭოების მეოთხე ყრილობაზე ითქვა, რომ სოფლის მეურნეობის მთავარ დარგებიდ უნდა იქცეს მეჩაიერება, მეციტრუსეობა, მესაქონლეობა და მეხილეობა. მომდევნო წელს ქედის პუნქტმა 3 ათასი ნერგი გააწევილა, ქობულეთისამ — 15 ათასი, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ იყო; კრედიტად კი მხოლოდ 5 ათასი მანეთი გაიცა. შემდეგ ზოგიერთი ვაიხელმძღვანელის გაშო მეხილეობის განვითარება შეფერხდა. 1929 წელს, მაგალითად, მოსახლეობამ მხოლოდ 6.900 ნერგი მიიღო, ხოლო ფართობი 1930 წლისათვის 900 ჰექტარს შეაღენდა. ამის მიზეზს ნათლად გვერგებთ, თუ გავეცნობით აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოხსენებას აჭარის საბჭოების მერვე ყრილობაზე 1929 წელს. — მეხილეობა ნაკ-

ლებად რენტაბელურია, მცხაოვაში საექსპორტო ღირსებისა არ არის, გლეხებიც ხალხურავის უკურნებელია არ ეკიდებიან და განვითარებაც თითქმის შეჩერებულია. ცხადია, ასეთმა გაუმართლებელმა მიღომამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა აც დარგს. შედეგიც არასახარბიერო იყო. 1931 წელს აჭარაში მხოლოდ 450 ტონა ხილი დაუმზადებიათ.

1932 წელს ქობულეთის რიონში ხეხილს (სუბტროპიკული არ შედის) 423 ჰექტარი ეკავა, 1940 წელს 738, შესაბამისად ბათუმისაში — 408, 947, ქედისაში — 950, 1.267 და ხულოს რაიონში (შუახევის რ-ნი მაშინ არ იყო) 830, 1036 ჰექტარი. 1939 წელს ხელის დამზადება 125 ჰაროცენტოორ გაზრდილა.

ცხადია, სამამულო ომის დროს მეხილეობასაც მოაკლდა ზრუნვა, მოუცვლელობის გამო ბევრი ნარგავი გახმა, იყლო მოსავალმა. 1945 წელს ხეხილის ნარგავთა რაოდენობამ 676 ათასს ოდნავ გადააჭარბა. აქედან ნაყოფს მხოლოდ 447 ათასი ძირი იძლეოდა.

1952 წელს 928 ათასი სუბტროპიკული ხურმის, კაკლის, თხილის, ლელვის, ქლიავის, ატმის, ბლის, ტყემლის, კომშის, ბროწეულის, ალუბლის, მუშმალისა და სხევთა ნარგავი აღირიცხა, მათ შორის 572 ათასი მოსავლიანი.

ათი წლის შემდეგ, 1962 წლის აღწერამ ცხადყო, რომ რესპუბლიკას აკლდა 1230 მეტი ჰექტა-

რი ხეხილი. აქედან ხულოს რაომნს — 324,71, შუახევისას — 311,88, ბათუმის — 231,31, ქედის — 203,73 და ქობულეთის რაომნს 149,57 ჰექტარი.

ამიტომ იყო, რომ 1963 წლის 17 აპრილს აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მევენახეობა-მეხილეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ორი წლის შემდეგ, 1965 წლის 27 აპრილს კი პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ხეხილის ნარგავთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ. ამ მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა ხელი შეუწყვეს მეხილეობის აღმავლობას. აღდგენილი იქნა ბალები, მოეწყო სანერგები, უპრორატესობა მიეცა უხემოსავლიან ჯიშებსა და სხვა. სულ უნდა აღდგინათ 2745 ჰექტარი. მაგრამ ამჯერადაც ნაწილობრივ უხარისხოდ, შეიძლება ფიქტიურადაც შეისრულებ სამუშაოები, რის გამო მოსავლიანობაში გარდატეხა არ მომხდარა. 1966 წელს, მაგალითად, მეხილეობაზე მოდიოდა შუახევის რაიონის მთელი შემოსავლის თოთქმის სამი პროცენტი, ხულოს რაიონში კი მხოლოდ 0,18 პროცენტი.

1970 წლის აღწერით ყველა ასაკის ხილკენჭროვან ნარგავთა ფართობმა ყველა კატეგორიის მეურენეობებში 5926,13 ჰექტარი შეადგინა. აქედან თესლოვანზე მოდიოდა 3268,55 ჰექტარი.

ვაშლის ხეების რაოდენობაში 125,588 მიაღწია. მეტიცილად გაეშენებინათ რკინი ვაშლერუბაზე რა, შამპანური რენერი, ვაოლული სინაპი, კანადური რენეტი, პარკურის ჰეპინი (ნაცარი) და სხვა.

კურკვევანი ხილის ჯიშების ნარგავთა ფართობი ყველა კატეგორიის მეურენეობებში იმავე წლის აღწერით 765,42 ჰექტარი იყო.

აჭარის საზოგადოებრივმა მეურენეობებში 1965 წელს დამზადეს 2365 ტონა ნაყოფი, 1970 წელს 6832 და 1975 წელს 14136 ტონა.

1977 წლის 29 იანვარს გამართულ აქარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მეკაციური თექვა იმის გამო, რომ ხელისხალი აღწერით 3197,6 ნაცვლად ხეხილის ფართობი მხოლოდ 2610,5 ჰექტარს შეადგენდა, ე. ი. გვაკლდა 587,1 ჰექტარი. ქობულეთის რაიონში სიმეჩხერე 31,7 პროცენტს აღწევდა, ხელვაჩაურში — 23,6, შუახევში — 20,6 ხულოში — 20,2 და ქვედის რაიონში — 12,8 პროცენტს.

ამიტომაც პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და კომკავშირული ორგანოები საგანგებო ზომებს ატარებენ, რათა მეხილეობაშიც 2-3 წელიწადში სავსებით აღიკვეთოს სიმეჩხერე, გაუმჯობესდეს მოვლა-პატრონობა, გაიზარდოს საპექტარო მოსავლიანობა.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ 1977 წლის 5 ივნისტოს მიიღო დადგენილება „საკოლმეურნეობათაშორისო კო-

ოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნა კომისიები, რათა შეემუშავებინათ ჩევნი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი დირექტორები 1980 წლისათვის და საორიენტაციო მიმართულებანი შორეული პერიოდისათვის ანუ 1985-1990 წლებისათვის.

1979 წელს აჭარაში ხილი უნდა გაშენდეს 90 ჰექტარზე (ქედის რ-ში 50 და ხელვაჩაურის რ-ში 40), მომდევნო წელს კი 70 ჰექტარზე (ქობულეთის რ-ში 40 და შუახევისაში 30).

1980 წელს ყველა კატეგორიას მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდვით 16.500 ტონა ხილს, 1985 წელს 17.820 და 1990 წელს 19.000 ტონას. ცხადია, წარმოებული იქნება ბევრად მეტი.

არ შეიძლება გვერდი ივუაროთ ხეხილის ახალი ჯიშების შემოტანასა და უსისტემო გაშენებას. კერ კიდევ 1906 წელს პროფესორი ს. ტიმოფეევი შენიშვნავდა აჭარაში სოკონებივით მომრავლდათ ფრანგული მსხალი „დიუშეს დანგულენი“ (აქედან დამიხინვებული ქართული ღუშეში). შემოუტანიათ უნგრული ქლიავიც, აგრეთვე კომში, რომელთა აღვილობრივი ჯიშები 1867 წელს უნახავს ქედაში ინგლისელ მოგზაურ ჭ.

პალგრევს. ხილის ახალი სახეები, განსაკუთრებით მსხლის, ჩვენს დროში უფრო მასოფლავი განვითარებათა გაუთვალისწინებლად, რამაც ნაწილობრივ უარყოფითი გავლენა იქონია მეხილეობაზე. მკვლევარმა ჭ. ნოღაიდელმა გამოთქვა შესფოთება ამის გამო. მის წერილში „ნურც ძველ ჭოშებს დავივიწყებთ“ ნათქვამია: წინათ ბლომად იყო ხილი, ახლა კი აქა-იქ შევხვდებით და ისიც თითო-ოროლა ძირს. მივეტანეთ „მარკოვას“ და „მიკალოს“ მსხლის ჯიშებს, მაგრამ რითაა დასაწენი „დედოფალი“, „სასელა“ და სხვა მსხალი, რომლებიც ადრე, ივნისში მწიფდება, გემოც და ორმატიც არ იყლიათ. ან ტებილი „სხალთაფლა“ ივლისის დასაწყისში რომ შემოდის. შედარებით გვიან მწიფდება „სხალშაქარა“ და „კაცისთავა“, მაგრამ სამაგიროდ მათი ნაყოფი დიღრონი და გემრიელია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ხეჭეჭურა“, რომელიც ყველაზე გვიან შემოდის და ნაყოფი გაზაფხულამდე შეინახება“. ღვაწლმოსილი მეცნიერის წერილი მთავრდება სიტყვებით: „უნდა ჩავუფიქრდეთ ამ საკითხს“.

საჭიროა სანერგეებში გამოვიყვანოთ უხვმოსავლიანი, ყინვა-გამძლე ნერგები, პირად საკარმი-დამო ნაკვეთებზე შეწყდეს ერთი-დამიმავა ჯიშისა თუ სახეობის ხეხილის გაშენება, მსხალი. ვაშლი, ბალი, ტყემალი, ქლიავი და სხვა.

დაგროვთ საცხოვრებელ სახლებთან თავისუფალ ადგილებშიც, ახალგაზრდებმა უნდა ითავონ ხეხილის ხეივნების მოწყობა. ე. წ. სახლის დამცველი ტყეები შევცვალოთ ხეხილის ნარგავებით, საზოგადოებრივ მეურნეობებში შევქმნათ სპეციალური ბრიგადები და რგოლები, შემოვილოთ ნარგავთა მკურნალობა და შემოვლობოთ. ხულოს რაიონის დიოკნისის კოლმეურნეობაში ასეთი ბრიგადის შექმნამ დასაბამი მისცა ამ დარგის განვითარებას. 1976 წელს 71.455 კილოგრამი ხილი დამზადეს, გეგმაზე ბევრად მეტი. მაგრამ შუახევის რაიონის ტბეთის კოლმეურნეობაში 230-250 ტონის ნაცვლად კრეფენ მნიშვნელოვნად ნავლებს, რის გამო 1977 წლის იანვარში გამართულ საანგარიშო კრებაზე სოფლის თავკაცებს ამ მხრივ გაწეული მუშაობა არ მოუწონეს. ტბეთის კოლმეურნეობაში 133 კომკავშირელია. ნუთუ მათი ლირსების, ძიების სასაქმე არაა მეხილეობის შეფობა, ამ დარგშიც დამკვრელური შრომის დამკვიდრება?

ეს საქმე საშვილიშვილოა იმიტომაც, რომ უზრუნველვყოფთ ნიადაგის დაცვას ჩამორცევისაგან. დადგენილია, მაღალმთიან აჭარაში წყლებს საშუალო ჰექტარიდან ჩამოაქვთ 100-110 ტონა მიწა. ამიტომაც სპეციალისტები, კერძოდ, ლ. სალვარიძე, მოითხოვენ ეროზირებული ადგილების აღნუსსებას, მათ ტერასირებას და ხეხილის გაშენებას. დაბ-

ლობი ზონისათვის იგრძელდება „როზმარინ თეთრს“ მარეტრენტის ხოლო „შამპანური რუსულისტრენტი“, „ბელფორა-ჩინური“, აგრეთვე ტყემალი „სამაისო“, „გულდედავა“ და „ხვავიანი“ უნდა დავრგოთ 500-1000 მეტრის სიმაღლის ზონაში, „კანადური რენეტი“ კი უფრო მაღალ ადგილებში. ამიტომაც ქედის, ოქტომბრის, დანდალოს, ჭვანის, ზამლეთის, ტბეთის, დიოკნისის, ხულოსა და სხვა კოლმეურნეობებში უნდა შევქმნათ სანიმუშო სანერგები. აღბათ, გამოვიყანთ საკონსერვო მნიშვნელობის ხილის იმ ადგილობრივი ჯიშის ნერგებსაც, რომლებიც საქართველოს კუების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მუშაკაცებმა ხალხური სელექციის გზით გამოავლინეს; მათ შორის ტყემლის — 9, წყავის — 4, მსხლის — 3, ლელვის — 3, კომშის — 2, ხურმის — 2, ვაშლის — 1.

ამ მხრივ საინტერესოა დ. ღამბაშიძის წერილი, რომელიც გვაცნობს აჭარაში გავრცელებული ქლიავის საუკეთესო ჯიშებს. აქ როგორც მაღლობ, ისე დაბლობ ზონაში დიდი რაოდენობით გვხდება ქლიავის ადგილობრივი ჯიშები, წერს იგი. მათში შაქრიანბის პროცენტი დაქვეითებული არ არის, რაც მოწმობს, რომ აქაური პირობები ხელსაყრელია ხარისხოვანი ხილის მოსაყვანად.

ხულოს რაიონში შესწავლილი „დედოფალა ქლიავი“ 16-17 წელს

ცოცხლობს. დაბალტანიანია, განტოტვა არათანაბარი აქეს, ახასიათებს მონაყარი, ნაყოფი ოდნავ მოგრძო, მსხვილი, მომწვანო ფერისაა, ტკბილი და წვნიანია; ყინვაგამძლეა, ადვილად არ ზინდება, ყოველწლიურად უხვად მსხმიარობს, მრავლდება ამონა-ყრითაც და მყნობითაც. გავრცელებულია მთელს აჭარაში.

სევე პერსპექტიულია ს. ქობულეთში მოშენებული ქლიავი „სამურაბე“. ეს ჯიში დაავადებათა მიმართ გამძლეა, უხვად ისხამს თანაბარი სიღიდის ნაყოფს, გვხვდება აჭარის სხვა რაიონებშიც.

მარაშია ქლიავი აღწერილია ს. დაგვაში. იგი გაფანტულად და ყოველწლიურად ისხამს ნაყოფს. გვძლეა გარემო პირობების მიმართ. მოსავალს იძლევა მეექვსე წლიდან, გამოიყენება კომპოტის დასამზადებლად. გავრცელებულია სხვა სოფლებშიც.

სკეციალისტთა მოწონება ხვდა აგრეთვე ტყუპქლიავასა და მანქქლიავს ჯიშებს. ტყუპქლიავაზედა კვირიკეში მსხვილნაყოფიანია, კურკა რბილობს, ადგილად სკილდება, ისხამს ჯგუფურად და რეგულარულად, მასობრივად იძლევა ტყუპ ნაყოფსა და მისი სახელწოდება აქედან მომდინარეობს. გამოიყენება სამურაბელ, საყომპოტელ და პოვიდლოს დასამზადებლადაც. მანქქლიავა ანგისაში ივლისის დამლევს შემოლის, მსხმიარობს 2-3-წლიან ტოტებზე, სასიამოვნო გემოიანია. ორი-

ვე ჯიში მოსახლეობას გაშენებული აქვს საკარმილიძო ნაკვეფლებზე.

უნდა ვამრავლოთ გამოყენებული ანუ ველურად მზარდი ხილიც. წაბლი, მაგალითად, მდიდარია სახამებლით, ცხიმით, სახაროზათი და გლუკოზით. მაშასადამე, იგი არ უნდა შეფასდეს, როგორც სამერქნე ხე. მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ ზღმარტლს, მოცვს და სხვ.

ყურადსაღებ წინაღადებებს გვთავაზობს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გივი ჩელებაძე. იგი წერს: „ამჟამად მაღალ-მთიანი ზონის კოლმეურნეობების დასამუშავებელი მიწის მთლიანი ფართობის შვიდი-რვა პროცენტი ხეხილს უკავია, მაგრამ მეხილეობის ფულადი შემოსავალი მთლიანი შემოსავლის ორ-სამ პროცენტს არ აღემატება. მასთან ეს დარგი თითქოს რენტაბელურია ქედის რაიონში. მაგალითად, 1970-1976 წლებში მეხილეობის რენტაბელობის დონე შეაღგენდა 99-101 პროცენტს. მაგრამ თუ საქმეს ორმალ ჩავწედებით, დავრწმუნდებით, რომ მეხილეობის წმინდა შემოსავალი მეტად მცირება და ხელოვნურად შელამაზებული. წმინდა შემოსავალს იღებენ იმიტომ, რომ სრულად არ ახორციელებენ აგროტექნიკურ-ლონისძიებებს, საჭირო რაოდენობით არ შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკებები. ერთი ჰექტარი ბალის დამუშავებაზე გათვალისწინებული

700-800 მანეთის ნაცვლად ქედის რაიონში ჰექტარზე დაიხარვა 99 მანეთი, შუახევის რაიონში კი 118 მანეთი. აი ამის გამო მცირეა ბალების მოსავლიანობაც. 1976 წელს, მაგალითად, ქედის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 4,3 ცენტნერი ხილი, ხოლო შუახევის რაიონში — 7,8 ცენტნერი.

წლების განმავლობაში ხეხილის ახალი ბალები შენდებოდა გაფანტულ წესით, ამასთან მექანიკურად, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად და სათანადო ეკონომიკურ-ტექნიკური პროექტების შეუდგენლად.

მეხილეობისა და მევენახეობის ეფექტიანობის ამაღლება და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანა მოითხოვს ქედის რაიონში სამეურნეობათაშორისო კოოპერირების გზით მოწყოს მეხილეობა-მევენახეობის ავროსამრეწველო გაერთიანება, რომელსაც უნდა გადაეცეს ქედის ყურძნის გადასამუშავებელი და ბუკნარის ხილკენკროვანი წვენების საამჭროები, კომპლექსმა სოფელ ქედის, პირველი მაისის, მახუნცეთის კოლმეურნეობების მახლობლად 280-300 ჰექტარზე უნდა გააშენოს ახალი ხეხილის ბალები და ვენახი. საამსოდ 12-დან 35 გრადუსამდე დაქანებული ფერდობები უნდა ავითვისოთ ეკონომიკურ-ტექნიკურად შედგენ ნიღილი პროექტებით. ასეთივე გაერთიანებები შეიძლება მოვაწყოთ სხვა მაღალმთან რაიონებშიც.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ სახილის ბალების უსისტემოდ გაფანტული წესით გაშენებული უნდა მართლა. ამით თვითდინებამ და უპასუხისმგებლობამ უფრო იმატა. თავი იჩინა მიწერებმაც. პრაქტიკამ ისიც ცხადყო, რომ ერთწლიანი ნერგები არ იძლევა სასურველ შედეგს, საჭიროა 2-3 წლიანის გამორგვა-გაშენება ისე, როგორც ამას მეციტრუსები აკეთებენ. მაგრამ უპირატესობა კურკვეან ხილს უნდა მივცეთ.

ხეხილი უნდა გავაშენოთ მხოლოდ ტერასებზე. მართალია, ეს მეტ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ ამით ხომ ნიადაგს დავიცავთ ჩამორეცხვისაგან, იმატებს მოსავლიანობა, რიგთაშორისებში მრანალწლიან ბალახებსაც დავთესავთ და ანაზღაურებაც მეტი გვეწნება, არ გავახრიოკებთ სავარგულებს.

ტერასული მიწათმოქმედების საკითხებზე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჩიგავაძე, მას ეკუთვნის მონოგრაფიები, „სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში“ და „ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში“, ნ. ჩიგავაძე ამბობს, რომ „აჭარასა და გურიაში გამოვლინდა მიწათმოქმედების უძველესი ფორმები, რომლებიც „თოხის კულტურას“ უკავშირდება. ამას კი სულ ცოტა ბრინჯაოს ხანამდე

მივყევართ, დასავლეთ ქართული მასალა უნიკალურია. (სხვათა შორის ეს ბარტო ჩემი მოსაზრება არ გახლავთ). აღსანიშნავია ისიც, რომ ქარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული აღმოჩნდა ტერასის სახეობათა აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინები: „კალინი“, „ოროკი“ და სხვა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდება“. ასე რომ, ტერასირებაში ტრადიციაც გვაქვს და მეცნიერ-სპეციალისტებიც გვყას.

მეხელეობას უპირატესობას ანიჭებენ სხვებიც. ისინი გვირჩევან, გადაისინჯოს კულტურათა და დარგთა განლაგებისა და დაგემვის სისწორე არა მარტო ზონებისა და რაიონების, არამედ თოთოეული კოლმეურნეობის მოხელვით. ამით აღმოვფხვრით კულტურათა და დარგთა ხელოვნურ დაქასესულობას, სწორ მიმართულებას მივცემთ რაიონს თუ ცალკეულ მეურნეობას.

წარმოების სწორად დაგეგმვის უზრუნველსაყოფად უნდა შევისწავლოთ რაიონების, მეურნეობების თავისებურებანი, ნიაღავობრივ-კლიმატური პირობები. უნდა გაუმჯობესდეს აგროქიმიური სამსახური, ყველგან დაინტერგოს კარტოგრამები. მოკლე ვალაში შედგეს მთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერულად დამუშავებული გეგმები, მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ ლრმა ეკონომიკური ანალიზისა და ინფორ-

მაციისადმი. შემუშავდეს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების ღონისძიებანაშარების ქარდეს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა და სხვა.

ესდის რაიონულ ცენტრში არის ხილკენკორვანი წვენების სამქრო. საჭიროა მის ნაცვლად აიგოს თანამედროვე ქარხანა, რომელიც კონსერვებსაც დაამზადებს. ეს საკითხი 1977 წელს გაზითმა „სოცეტსკაია აღუარისაც“ დააყენა. ამით გადაწყვდება ჭარბი მუშახელის დასაქმების საკითხი, შემცირდება სატრანსპორტო ხარჯები, ქვედის უხეში საკვების გაღასამუშავებელი საამქრო მიიღებს ნაჩენებს.

მაღალმთიან აჭარაში მეხილეობას უპირატესობას ანიჭებს ა. თავართქმილაქც. მას ნაკლებად ზრმატევადა და მაღალეფეჭრიან დარგად მიიჩნევს. მეხილეობის მნიშვნელობა უფრო დიდია ნიაღავების ეროზის, თოვლის, ზვავისა და სხვა უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. „აჭარის მთიანი რაიონების ეკონომიკის განმტკიცების, ეროზიული და ზვავური მოვლენების აღკვეთის ინტერესები მოითხოვს, რომ მეხილეობა-მევენახეობა გახდეს ამ რაიონების სასოფლო-სამუშარნეო წარმოების მაპროფილებელი დარგები“.¹

აქედან გამომდინარე იგი საჭიროდ მიიჩნევს 14 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ნაკვეთებში

1 ურნალი „ეკონომისტი“, 1978, № 5, გვ. 72.

არ დაითესოს და არც დაირგოს სათონენი კულტურები. მისი გამო- ანგარიშებით სახნავ-სათესად გა- მოსადეგი მიწების სრულყოფი- ლად გამოყენების შემთხვევაში ხულოს რაიონში ხეხილის ფარ- თობი შეიძლება გადიდდეს 850 ჰექტარამდე, საჭერტარო მოსავ- ლიანობა კი ერთი-ოთხად გაიზა- რდოს და ამ გზით 564 ათასი მა- ნეთი ანუ რაიონის სოფლის მეუ- რნეობის საერთო პროდუქციის 10,8 პროცენტი მივიღოთ. ოლონდ საჭიროა ამორტიზებული ნარგა- ვების ჩამოწერა და სელექციური სამრეწველო ჯიშების ნერგების გაშენებათ.

მეხილეობაში შედის ასევე ძვე- ლად მოშენებული კაკალი. თუმ- ცა მას ბერძნულს უწოდებენ, მაგრამ ისე როგორც მსხალი, ალ- უბალი, წაბლი, ნუში და სხვა ხე- ხილოვანი მცენარე, ასევე ფინ- დიკ-ფუნდუკი, უფრო სწორედ კი ბონტური თხილი, აგრეთვე კაკა- ლი ახლანდელი ანატოლიის ტყე- ებიდან გავრცელდა სხვაგან. ვ. კურილიოვის ცნობით, აქ ახ- ლაც კაკლისა და თხილის ბალებს ველურად მზარდი კორომების გა- წმენდის ბაზაზე ქმნიან. კაკალს მუსულმანურ ქვეყნებში, კერძოდ, თურქეთში არაბული სახელი „ჯე- ვიზი“ ქვია. ესეც მოწმობს, რომ იგი ბერძნული კულტურა არაა. ამ დარგის მკვლევარები ფ. შეპო- ტიევი, ი. ლოუდენი, ა. დიაჩენ- კო, ა. ვეხოვი, ნ. კიჩუნოვი, ნ. გომილევსკი და სხვები კაკლის სამშობლოდ ირანს თვლიან. აქ

მართლაც ჯერ კიდევ მეტაც/ურო- სის დროს მსოფლიოში დარღვეულად დაარსეს მეხილეობის კულტურული ა- ნერგეთი, სადაც მრავალ მუშა- ჟყავდათ კაკალიც. სწორედ აქ- დან გავრცელდა იგი კავკასიაში, ჩინეთსა და მცირე აზიაში. ახალი წელთაღრცევის პირველ საუკუ- ნეში კი ბერძნებმა და რომაელე- ბმაც გაიტანეს. ამას მოჰყვა კაკ- ლის გავრცელება ესპანეთში, სა- ფრანგეთში, გერმანიასა და ინგ- ლისში, მოგვიანებით კი ამერიკა- ში.

ამ ბოლო დროს მეცნიერთა ერთი ჯგუფი კაკლის სამშობლოდ აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ სა- ქართველოს მიიჩნევს, სხვები შუა აზიას, მესამენი კი ბალკა- ნეთს. ალაზნისპირა ტყეებში, მა- რთლაც აღმოჩნდა კაკლის ბუნებ- რივი ტყე. გარდა ამისა, ნიადაგის- ფენების ანალიზმა დაადასტურა, რომ რვა ათასი წლის წინათ ივ- რის ხეობაში კაკალი მრავლად ხარობდა.

მაშასადამე, ისე როგორც მე- ზობელ ანატოლია-პონტოში, რო- მლებიც საქართველოს ძეველ პრო- ვინციებს (შავშეთი, ფოცხოვი, ჭანეთ-ლაზეთი, არტანუჯი, კოლა, არტაანი, ტაო-კლარჯეთი) მოიცა- ვენ, ჩევნშიც ძეველადვე გაყულ- ტურეს კაკალი და თხილი.

ბუნების დიდმა გარდამშენელმა ივანე მიჩურინმა ამ ძვირფას მცე- ნარეს „ხე-კომბინაციი“ უწოდა. ნ. კეცხოველი კი ამბობს, კაკალს იმდენი სიკეთე აქვს დათესილი, რომ წმინდა ხედ უნდა გამოგვეც-

ხადებინა, ერთი ძირი ერთ კარგ ძროხსას უდრისო.

ჩვენს ქვეყანაში კაკალი ხარბს უზბეკეთში, ყაზახეთში, მოლდავეთსა და კავკასიაში. ყირგიზეთში სპეციალური საბჭოთა მეურნეობებიც კი არის. მისი მერქანი საუკეთესო საავტონ და მოსაპირკეთებელი მასალაა. ამას გარდა ყოველი ძირი საშუალოდ იძლევა 60-150 კილოგრამ ნაყოფს, რომელიც შეიცავს 70 პროცენტამდე ცხიმს, 18 პროცენტ ცილას. ერთი კილოგრამი ნიგოზი კალორიით აღემატება სამ კილოგრამ პურს, ოთხ კილოგრამ ხორცს, შვიდ კილოგრამ კარტოფილსა და 15 კილოგრამ რძეს.

კაკალი სწრაფად იზრდება და ფესვთა მძლავრ სისტემას იკეთებს. ამიტომაც მას ფართოდ იყენებენ გამზვანებასა და ქარსაცავ ზოლებში. ამას განაპირობებს ისიც, რომ ადვილად ეგუება სხვადასხვა კლიმატურ პირობებს; გამოიჩინევა ყინვაგამძლეობით — მოზრდილი ნარგავი თავისუფლად იტანს 25 გრადუსამდე ყინვას.

მსხმოიარობას რვა-ათი წლიდან იწყებს და სამას წლამდე იძლევა ნაყოფს. ვერც ერთი სხვა ხეხილი ვერ ცოცხლობს ასე დიღხანს. ერთი კაკლის ხე მნიშვნელოვნად მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მის აღგილას გაშენებული რომელიმე სხვა კულტურა;

ამ ძვირფასი მცენარის სიკეთეს უხსოვარი დროიდან კარგად

იცნობენ საქართველოში. მხრივ განსაკუთრებით გამოიტანება იმ მდგრადი აქარა, სადაც ყველა მიმდევა ლში ხარობდა ეს სასარგებლო მცენარე. წინათ კაკალი ფართოდ იყო გავრცელებული საკარმიდამო ნაკვეთებში, ეზოებში, ტყისა და გზების პირას, მათ გასწვრივ.

სოფელში არ შედიოდა არც ერთი გზა, არ იყო სახლი, რომელთა გაყოლებით ტანაყრილი კაკლის ხევნები არ შრიალებდა, — წერს ი. კანევსკი. აჭარლები ზამთარში მეტწილად ერბოთი, თაფლითა და კაკლით მომზადებული კერძებით იკვებებიან.

უფრო ადრე, კერძოდ, 1867-1872 წლებში ჩვენს მხარეს ეწვია ინგლისელი დიპლომატი ჭ. პალგრევი. იგი მოიხიბლა ქედური ხილით. საგანგებოდ შეჩერდა კაკალზე. ნაყოფი ბლომად გააქვთ ბათუმში და სხვაგან, ხოლო მერქანი — ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთშით.

ამასვე იუწყება ისტორიკოსი ალ. ფრენკელი, რომელიც 1878: წლის აგვისტოში რუსეთის განმათავისუფლებელ ჯარს შემოჰყვა აჭარაში, აგრეთვე ჭარმოშობით ბათუმელი აქადემიკოსი ნ. დერუავინი.

საინტერესოა გ. ყაზბეგის, დაქარაძის, ჭ. ჭიჭინაძის, პროფესორ ა. კრასნოვისა და ე. ლიოზენის ცნობებიც. აჭარაში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, მრავლად იყო დიდი ხნის წინათ გაშენებული კაკლის ხეები. ვაჭრებმა მოახერხეს მათი აჩენვა და

შერქნის დიდი რაოდენობით ახალციხეში, ქუთაისა და სხვაგან გაზიდვა, ამბობს ჭ. ჭიჭინაძე. იგი იმასაც იუწყება, რომ მაჭახლის სოფლებში კაკლით საესე ყოფილა ტყეებიც. პროფ. ა. კრასნოვი ჩაქვში ჩაის გაშენებასთან დაკავშირებით ახლოს გაეცნო მ უბნის მცენარეულობას. არათუ საკარმილამ ნაკვეთებში, ტყეშიც კი მრავლად ნახა კაკლი. მის ნაყოფს ჭამდნენ როგორც ხილს, იყენებდნენ აგრეთვე ეროვნული კერძების შესაქმაზად, ზოგჯერ კარაჭის ნაცვლადაც, წერს იგი. ასევე საყურადღებოა დ. ბაქრაძის ცნობები. მის ნარკვეში „კინტრიშის უბანი“, რომელიც 1879 წელს დაწერა, ნათქვამია: აქ ყოველწლიურად ამზადებდნენ 30 ათას ფუთ კაკლს, რომლის ნაწილს სხვაგან ეზიდებიან.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სერგეი მესხი წერდა: „ბათუმში ყოველწლიურად მოდიან ინგლისელები და ფრანგები. მათ ბზისა და კაკლის ხის უდიდესი მარაგი გააქვთ.

კაკლის უზარმაზარი ხეები მრავლადაა გზების გასწვრივ, ხეობებში, ტყეშიც, გვაუწყებს ფრანგი მოვზაური უან მურიე, აგრეთვე გიორგი ყაზბეგი. სოფელ ჩაოში, სხალთასა და სხვაგან მან კაკლის ჭალაც კი ნახა. ნაწილი გორელ ვაჭრებს მოეთხარათ, მერქანი ახალციხეშიაც გაპერნდათ. 1878 წელს ახლადგანთავისულებულ აჭარის ზღვისპირებში ასწლოვანი კაკლები, ბევრიც გა-

მხმარ-გაჩეხილი უნახავს ვიოოდა წერეთელს. კავკასიის კალინოვის მიხედვით 1884 წელს პათაურის აღმდეგ 6736 კაკლის ხე ხარობდა. მაგრამ ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს.

ბათუმში კაკლის ხეებით ვაჭრობაზე გვაუწყებენ გაზეთები „ივერია“ და „სახალხო ფურცელი“, რომელთა მიხედვით 1885-1912 წლებში ბათუმ-ფოთის ნავსადგურიდან გაუტანიათ 4 მილიონ ასი ათასი ფუთი კაკლის მორი. ისიც ცნობილია, რომ ამერიკის მსუბუქი ავტომობილების ქარხნების მფლობელი ფორდი ასეთ რეკლამას უკეთებდა თავის მანქანებს: გაფორმებულია კავკასიის კაკლის ხითო. ვ. გომილევსკის ცნობით, ბათუმი მართლაც წარმოადგენდა კაკლის ხის გატანის ცენტრს. ფუთი 1 მან. 20 კაპ. 1 მან და 50 კაპიკად ფასობდა, ამასთან ყოველ ფუთში 10 კაპიკ ბაჟს ოქროთი იხდიდნენ.

ჭ. ჭიჭინაძე გულისტკივილით ამბობდა, რომ ერთ ხეს 5-6 მანეთად ყილიან, მაგრამ უკაკლოდ რომ დარჩებიან და საყიდელი გაუსხდებათ, ამაზე არ ფიქრობენო. რა თქმა უნდა, ზოგი ამას ოჯახის გამოკვების მიზნით აკეთებდა.

აჭარაში ამ დარგის განვითარებაზე მეტყველებს ისიც, რომ კაკალმა თავისებური ასახვა პპოვა ტოპონიმებსა და გვარსახელებში. ჩვენმა წინაპრებმა მასზე გამოცანები შექმნეს, აღამიანთა სამკურნალოდაც გამოიყენეს. მკვლევარი ნ. კახიძე, ეყრდნობა რა

კავლის ხესთან და მისი ნაკო-
ფის სახელთან ღავავშირებული
ტოპონიმები მრავლადაა მიმობნე-
ული აჭარის ყველა კუთხეში. შე-
ახევის რაიონის ერთ-ერთ დიდ
სოფელს დღესაც ნიგაზეული (ად-
რე ნიგაზეული) ეწოდება. ად-
გილის სახელი ნიგვზნარი შემო-
რჩენილია კაპნისთავში, ცხემლი-
სში, ახალდაბაში, წაბლანაში,
კოკოტაურში, ლომანაურსა და
სხვაგან; ნიგვზნარ-ნიგვზნარი —
ჯუმუშაურში, სახალვაშოში, ბო-
ბოყვათში, კვატიაში, ვერჩებში,
მწვანე კონცხზე, წაბლანაში; ნიგ-
ვზიეთი — საციხეურში, ბულლე-
თში, სინდიეთში; კავლიძირი —
ახოში, დანდალოში, ხელვაჩაურ-
ში, კარაპეტში, კოლოტაურში;
ნიგვზიძირი — ბრილში, გუნდაუ-
რში; კავლები — გალაბაშვილებ-
ში; კაკლური — ინაშარიძეებში;
კაკლიანი — მექიბნასა და სხვა-
გან. არის ადგილი ხეჭეპა, რაც კა-
კლის გარეკანსა ჰქვია, გულს —

ნახევარს — ლებაზე
გამოფიტულს — ჭრუ, წენგაზ /
მოშორებას — გაკურჭვლაშორებულ
ჩვენი კუთხის მოსახლეობა შა-
რდის შესავავებლად იყენებდა ზე-
თით, თხილის ხის ნახშირითა და
დამწვარი ღომით შეზავებულ წა-
მალს, რომელსაც წყლით ალევი-
ნებდნენ ავადმყოფს. სასქესო
ორგანოების მკურნალობისას მა-
მაკაცებს ურჩევდნენ ნიგზი ან
თხილი არ ეჭამათ. ცალკეულ სა-
მკურნალო მცენარეებს კი ნიგზი-
საი და ქვეშნიგზისაი შეარქვეს.
გამოცანებიდან ცნობილია: ცი-
დან მოვალ, ქული მრჩება, ძირს
ჩამოვალ, ქუდს მოვიხდი და სხვა.
ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ აჭარაში
კაკლის წენგოთი მდინარეებში
თვევზს იქრდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარა
არამარტო ნიგზის წარმოების
რაოდენობით გამოიჩინდა, არა-
მედ კალის ჯიშებითაც. ბათუმში
მომუშავე ბოტანიკოსი, შემდეგში
პროფესორი სერგეი ანისიმოვი
ამბობდა: ბათუმის ბაზარში ად-
გილობრივი ნიგოზი ყოველთვის
გამოიჩინდა, ყველა მას ეტანე-
ბოდა და „ბათუმურს“ უწოდებ-
დათ. ცნობილი ჯიშებია: წვიტა,
დიდქანა, თხელხეჭვილიანი, კერ-
კეტა, ნააღრევი, ბათომურა. თუ
გავითვალისწინებთ იმას, რომ აჭ-
არის მთიან სოფლებში ეს მცენა-
რე უფრო ლაღად ხარობს, მაშინ
ნათელი გახდება, თუ როგორ ეს-
ათუთებოდა გლეხი მას ძველად.
უცხოელთა თარეშმა, მენშევი-
კთა ბატონობამ, ტყის მტაცებლუ-

რმა ექსპლოატაციაში განადგურებამდე მიიყვანა კაკალი. ამას განაპირობებდა დაბალი შესასყიდი ფასებიც. ამიტომ აჭარის სახეომ-საბჭოს გადაწყვეტილებით 1923 წელს ერთ კილოგრამ ნიგოზში გლეხებს 2 მანეთის ნაცვლად 4 უნდიღნენ, თხილში კი 3 ნაცვლად 5 მანეთსა და 30 კაპიკს. ამან ერთგვარად წინ წასწია ეს დარგი. 1934 წლისათვის კაკალს უკვე 789 ჰექტარი ეკავა. 1952 წელს 88500 ძირი კაკალი და 72.200 ძირი თხილი ხარობდა. კაკლისადმი გამაპაპური სიყვარული განსაკუთრებით იგრძნობა ხულოს რაიონის სოფელ ბელლეთში, ასევე დიოკნისში, სხალთაში, ნიგაზეულში, ორცვაში, ძენწმანში, მერისში, დოლოგანში, ჩაქვისთავსა და მაჭახლის ხეობაში;

სამწუხაროდ, სხვაგან ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამიტომაა, რომ მყნობელიც საძებარი გახდა. 1970 წლის აღწერით კაკლოვანი ჭიშების ნარგავთა ფართობმა ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1013,79 ჰექტარი შეადგინა. აქედან 371,32 მოდიოდა ქედის რაიონზე, 206,57 — შუახევისა და 197,52 ქობულეთის რაიონზე.

1976 წელს ჩვენს რესპუბლიკში გეგმით გათვალისწინებული ათის ნაცვლად 12 ჰექტარზე გა-

შენდა კაკალი. საამისოდ ბუნებრივი დაცვის საზოგადოების აჭარის საბჭომ თხილნარში სანერგენის მომდევნობაში წლებშიც გააშენეს კაკალი. საამისოდ შუახევის რაიონის ოლადაურის კოლმეურნეობაშიც მოაწყვეს სანერგერგე. აქ რვა ათას ნერგს გამოიყვანენ წლიურად. ორჯერ მეტის წარმოება ითავეს თხილნარისა და მეჭინისწყლის სანერგეების კოლექტივებმა.

სასიხარულოა, რომ კაკლის კულტურის აღორძინებას ხელი მოჰკიდეს ახალგაზრდებმაც. კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის 35-ე კონფერენციაზე გადაწყდა, რომ მაღალმთიან რაიონებში 1976-1978 წლებში ახალგაზრდები გააშენებდნენ 25 ათას ძირ კაკალს. ამ თაოსნობას ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაუჭირეს მხარი. ახალგაზრდებმა 1976 წელს უკვე დარგეს 5.702 ნერგი, აქედან 2.390 — შუახევის რაიონის კომკავშირელებმა. კაკალი გააშენეს ქედების, მახლის, ერგეს, აჭარისწყლის, ხელვაჩაურის, კვირიკეს, ზედა ულიანოვკისა და ციხისძირის კოლმეურნე ახალგაზრდებმა. მთავარი მაინც ისაა, როგორ

მოვუკლით ნარგავებს, რამდენს
გავახარებო, ეს არა მარტო განა-
მტკიცებს მეურნეობებისა და კო-
ლმეურნეთა ოჯახების ეკონომი-
კის, არამედ კლიმატის გაჯანსაღე-
ბასა და ნიადაგის სტრუქტურის
გაუმჯობესებაზეც დადგებითად
იმოქმედეს.

კარგი იქნება მომავალში მეხი-
ლეობის განვითარების საერთო
გეგმებიდან ცალკე გამოვყოთ ეს
დარგი და განსაკუთრებულ კონ-
ტროლზე ავიყვანოთ. ზოგიერთ
სპეციალისტს შესაძლებლად მია-
ჩნია კომლზე გავაპიროვნოთ 5-6
კაკლის ხე. ეს დამატებით მოგვ-
ცემ 1646 ტრიანა ნიგოზს.

სპეციალისტების აზრით, კაკ-
ლის კულტურის აღორძინების
პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ
ნამყენი ნერგების გაშენებით. ის-
ინი ადრე იძლევინ ნაყოფს, აქვთ
თხელი ნაჭუჭი, მაღალი ხარისხის
საგვე გული. სამყნობ მასალად
ჩვეულებრივ იყენებენ მხოლოდ
საუკეთესო ჯიშის ხის კალამს ან
კვირტს. მყნობა იწყება ადგილე-
ბზე თესლის შერჩევით, ხარისხი-
ანი საძირეს ზრდითა და სადე-
დების საკალმედ შერჩევა-მომ-
ზადებით. მყნობა მოითხოვს გან-
საკუთრებულ სიფაქიზეს და ჩვე-
ვას, ხოლო ოკულანტების მოვლა
— დიდ სიფრთხილესა და ყურა-
დებას. მოლდაველი მებაღები
კაკალს ორანჟერეებში ამყნობენ,

რაც გადმონერებეს მარწეულის
არაონის წითელი ხიდისასწრები
მეურნეობის მუშაკებმა. ეს გამო-
ცდილება ჩვენშიც უნდა დაინე-
როს.

კერჯერობით საჭირო რაოდე-
ნობის ნამყენი კაკლის ნერგების
გამოყვანა ფერხდება, რაღაც
შერ კიდევ მთლიანად არა გამო-
ვლენილი მისი ძვირფასი ფორმე-
ბი, რომლებიც თავიანთი ღირსე-
ბებით არ ჩამოუვარდებიან ცნო-
ბილ ფრანგულ კულტურულ ჯი-
გებს. ძვირფასნაყოფიანი კაკლი
სა და საუკეთესო მყნობელების
გამოვლინების მიზნით კარგი იქ-
ნება მოვაწყოთ კონკურსი.

კაკლის გაშენება შეიძლება
ყველგან, გარდა ჭარბტენიანი ნი-
ადაგებისა. ისიც უნდა გვახსოვ-
დეს, რომ ამ მცენარეს აავადებს
ოცდაათამდე სახეობის მავნებე-
ლი, განსაკუთრებით ვაშლის ნა-
ყოფჭამია. უნდა შემოვილოთ კა-
კლის წამლობა შეამჭიმიკატებით.

ხეხილის მოჭრა, აჩეხვა ძველა-
დაც დანაშაულად ითვლებოდა და
ძველ ქართულ კანონმდებლობა-
შიაც ჰქოვა ასახვა („სამართალი
აღბუღასი“, „სამართალი მეფე
ვახტანგისა“ და სხვა). ახლა კი
უფრო მძიმე დანაშაულად უნდა
მივიჩნიოთ და მთელი სიმკაცრით
გებრძოლოთ მას.

მეხილეობის აღორძინება საშ-

ვილიშვილო საქმეა. ესაა ჩვენი
ჯანსაღი შთამომავლობა, აყვავე-
ბული მთა-ბარი, დამატებითი
შემოსავალი, წინაპართა საქმისა
და ხელობის გაგრძელება-შენახ-
ვა. ამასთან ამ დარგის განვითა-
რებასთან მჭიდროდ დაკავშირე-
ბულია მეფუტკრეობის აღმავლო-
ბა.

„ამასთან ერთად უმთავრესად

დასავლეთ საქართველოს რაიონები-
ბში და ყველგან, საღაცის უდიდესი მუნიციპალიტეტების
ლებელია, უნდა გავაფართოვოთ
კურკოვანი ხილის ნარგავების
ფართობი და ნაწილობრივ თეს-
ლოვანი ხილისა, რომელიც აქ
ოდიოთვანვე მოჰყავთ“. საქართვე-
ლოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის მეცხრე პლენურის ეს
მოთხოვნა საქმედ უნდა ვაჭციოთ...



დაცით ხახუჭაიშვილი

საყურადღებო წიგნი ჩვენი ქვეყნის ჭაღარა წარსულზე

კიციბრიობის სამეცნიერო განვითარების ორა ძირითადი საფეხური — შეგროვებითი მეურნეობის ხანა და მწარმებლური მეურნეობის ხანა — ურთობით თუმცა რამდენიმე მილიონ წელს მიითვლიან, მაგრამ აქედან მწარმებლურ მეურნეობაზე, როგორც უკანასკნელმა გამოკლევებმა ცხადყო, მხოლოდ 10.000 წელი მოღის.

სწორედ უკანასკნელ 10.000 წელში განვლონ ადამიანთა განვითარების მძიმე, მაგრამ შემოქმედებათად საცურად მდგრადი გზა ქვის თოხის, კაფის ნამჭლისა და მშეილდისრის ეპოქიდან ბირთვული ფიზიკის, ლაზერული ელექტრონიკისა და ორბიტალური კოსმოსური სიამგრების საუკუნემდე.

ადამიანთა საზოგადოების ისტორია ფაქტოურად მწარმოებლური მეურნეობის შექმნისა და განვითარების ისტორია, რომლის აღდგენა, გაცოცხლება, მისი სახალხო კუთვნილებად ქცევა

მეცნიერთა და შესაბამის დაწესებულებათა უაღრესად საპატიო ამოცანაა.

შემცროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასცლის პროცესების ბუნების გარკვევა, უპირატესად, ე. წ. ნეოლითური ანუ ახალი ქეის ხანის ცივილიზაციის, ამ კულტურის შესწავლას უკავშირდება. ნეოლიტური ცივილიზაციის ბუნების გარკვევა თანამედროვე არქეოლოგიის ერთ-ერთ კარისინალურ პრობლემათა ჩიგს განკუთვნება.

ნეოლითური კულტურის, ნეოლითური ცივილიზაციის საფუძვლიან შესწავლაზე ღიღალად დამკაიდებული ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქება, როგორიცაა მწარმოებლური მეურნეობის მთავარი დარგების — მიწამოქმედებისა და მსაქონლეობის — წარმოქმნა და განვითარება, ბინადარ მეურნეობაზე გადასცლა და ა. შ. ამ პროცესთა ხასიათის გარკვევა და ძირითადი მომენტების დადგენა, რაც, როგორც უკვე ღიღნიშნეთ, თავისთვალ ნეოლითური ცივილიზაციის (ზოგჯერ მას სპეციალურ ლიტერატურაში „ნეოლითურ რევოლუ-

ს. გოგიტიძე — „სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზე სპირეთის ნეოლითური ძულტურა“, თბილისი, 1978.

ცისასაც” უწოდებენ) კვლევას უკავშირ-დება, განსაჯუთობით საინტერესოა ქავეასის რეგიონისათვის, სადაც ჯერ-ჯერბით ამ ძირდელი ადამიანური ცივილიზაციის ერთეული ძეგლებია გამოვლენილი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, მცილევართა ერთი ნაწილი მიჩნევდა, რომ კავეასის, მათ შორის საქართველოსაც, ნეოლითური პერიოდი არ გაუვლია. და ეს მაშინ, როცა კავეასია და კერძოდ საქართველო პალეობილობთა გამოკვლევებით, ხორბლეული შეცნარეულობისა და სასარგებლო ცხოველების დომესტიკაციის ერთ-ერთ პირველად და უძველეს კერას წარმოადგენდა.

წორედ პირბლემის აქტუალობამ განსაზღვრა, რომ დღეს ნეოლითური ხანა ანუ მწარმოებლური მეურნეობის წარმოქმნის ეპოქა ინტენსიურად ისწავლება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამ მიმრთულებით გარეული მუშაობა გასწია საქართველოს მცნობელიათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომლის სამოქმედო რეგიონში მისმა არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა გამოვლინა ნეოლითური ნამოსახლარების მნიშვნელოვანი ჯგუფი და მათ შესწავლაშიც გარკვეულ წარმატებას მიაღწია.

კავეასის ნეოლითი ძირითადად შესწავლილა ამიტერკავეასის, კერძოდ, ქართული ძეგლების საფუძველზე, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოშია გამოვლენილი. ამის მიუხედავად, ბოლო ღრმობელ თვით შეიძლება სირეთის ნეოლითური ძეგლები არქეოლოგიურ ლიტერატურაში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი. ამდენად, გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ნეოლითური ხანის შესწავლისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი სამეცნიერო ნაშრომი იწევეს.

წორედ ასეთ ნაშრომთა რიგს განკუთვნება ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანაგრძოლება. ს. ი. გოგიტიძის მიერ ახლახან გამოცემული მონოგრაფია,

რომელიც კავეასის არქეოლოგიის მეტად აქტუალური საკითხების გაშემჩვენება ეძღვნება. მონოგრაფიისადმი ინტერესული ძლიერების ის გარემოება და მათ დამატებით განხილული ძეგლების უმრავლესობა სრულიად ახალ, აქამდე უცნობ სადგომებს მიეკუთხნება, რომელთა აღმოჩენისა და შესწავლის შედეგებიც პირველად წორედ სარეცენზიონ გამოკვლევაშია თავმოყრილი.

სარეცენზიონ წიგნი შედგება მოკლე წინასიტყვაობის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან; მას თან ერთვის კარგად შესრულებული გრაფიკული და ფოტო-ილუსტრაციები (60 ერთეული).

წიგნის წინასიტყვაობაში განსაზღვრულია ნაშრომის მიზანდასახულება — შეძლებისამებრ მონოგრაფიულად აღწეროს და შეისწავლოს აქარის რეგიონის ნეოლითურ ძეგლებზე მოპოვებული მასალა, სისტემაში მოიყვანოს და განსაზღვროს აღნიშნულ ძეგლთა აღილი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ნეოლითურ ნამოსახლარებს შორის. შესავალი სამი პარაგრაფიისაგან შედგება. I პარაგრაფში მოკლედა გადმოცემული კავეასის ნეოლითური ხანის ძეგლების აღმოჩენა-შესწავლის ისტორია (გვ. 4-9). აღნიშნულია ის დიდი წვლილი, რაც ამ საქმეში შეიტანეს ა. ფირმოზოვა, ა. სტოლიარმა, ალ. კალანდაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, გ. ვრიგვლიამ, ნ. ნებიერიძემ, თ. ჯაფარიძემ, ლ. სოლოვიოვმა, ა. ლუკინმა, ნ. ხოშტარიამ. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, დამური პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რ. მ. მუჩქევის ვრცელი განმაზოგადებელი მონოგრაფია „კავეასია ბრინჯაოს ხანის გარიყერაზე“, სადაც ფართოდა განხილული კავეასის აღრესამიწოდებელ კულტურები (ნეოლითი, ენეოლითი, ადრებრინჯაო). სამწუხაოდ, ამიერკური მიზეზების გამო, წიგნში ასახვა ვერ ჰპოვა ნეოლითური ცივილიზაციის ისეთმა საყურადღებო ძეგლებმა, როგორიცაა ხორშის, ლუმურიშის, ჩხორთოლის, მახვილაურის, ქო-

შულეთის, ხუცუბნის, ბეშუმის და სხვა
ნამოსახლარები.

შესავლის III პარაგრაფში (გვ. 10-15)
შედარებით ვრცლადა განხილული სა-
მხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის
ტერიტორიაზე ამ ბოლო 15 წლის მან-
ძილზე არქეოლოგიური გათხრებისა თუ
სადაცვერვო სამშენებლის (ხელმძღვა-
ნელი ისტორიის მეცნიერებათა კანდი-
დატი ა. ინაშვილი) შედეგად მიკვლე-
ული და შესწავლილი ქვის ხანის ნამო-
სახლარები და სადგომები (ხუცუბანი,
ქობულეთი, კვირიე, კოხი, ჭიათუ-
რი, ჩოლოქი, სახალვაშო, ჩაისუბანი,
თიკანურთავი, დანისაბაული, ბეშუმი).

შესავლის III პარაგრაფში (გვ. 15-
22) აეტორი იძლევა სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგ-
რაფიული გარემოს მოკლე დასასათე-
ბას. ამ ნაწილში ყურადღება გამიახვი-
ლებულია ზღვის სანაბირი ზოლში და
მდინარეთა აუზებში ტერასების ჩამოა-
ლიბება-გაფორმებაზე და მათ ხასიათზე.
აეტორი ხაზს უსამს ნეოლითის ხანის
მოსახლეობის განსახლებას ტერასებში
და წითელმიწა ნიადაგებიან გორაკ-ბორ-
ცვებშე, რომლებიც უმთაგრესად მდი-
ნარეთა ხეობებშია განლაგებული. სათა-
ნალო ლიტერატურის მოშევლებით
ვრცლად არის დახასიათებული საკლუ-
ვი ტერიტორიის რელიეფი, გარემო პი-
რიბები, კლიმატი, პირორგრაფიული
ქსელი, ფლორა და ფაუნა. ამ პარაგრა-
ფის დასკვნით ნაწილში ავტორი სამხ-
რეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის
გეომორფოლოგიური, პალეობორი-
კური და პალეოზოოლოგიური მონაცე-
მების საფუძველზე აღინიშნას, რომ მი-
თითებულ ტერიტორიაზე მესამეული
გეოლოგიური ეპოქის მიწურულიდან
დაგილი არ ჰქონია პალეოგარემოს რამ-
დენადმე მნიშვნელოვან ცვლილებებს.
ამ ეპოქის ხელსაყრელმა კლიმატურ-
ლანდშაფტურმა და ბუნებრივმა პირო-
ბებმა სერად განსაზღვრა და ხელი
შეუწყის აღმამანს მეზოლითსა თუ ნეო-
ლითში ფართოდ გამოყენებისა ბუნე-
ბების ეს მონაცემები — სითბო და ზომი-

ერი კლიმატი, ნაყოფის მომცემი მცენა-
რეულობა (მუხა, წაბლი, თხილი, ლა-
ლვი, მოცვი, ხურმა, ყურძნები, წყავი ჭურვები
სხვ.) და თევზით მდიდარი წყალტყი და მდინარები.
ამგარი მონაცემების სა-
ფუძველზე აეტორი აღასტურებს, რომ
აღრეულ ნეოლითურ ეპოქაში სამხრეთ-
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მდი-
ნარეთა აუზები საკმაოდ მჭიდროდ იყო
განსახლებული აღამანის მიერ, რამე-
ც საცხოვრისად იყენებდა ზღვისპი-
რა ზოლის გორაკ-ბორცვებს და მდინა-
რეულ ტერასებს.

ნაშრომის I თავში (გვ. 23-68) ფარ-
თოდაა განხილული მეზოლითურიდნ
ნეოლითურზე გარდამავალი პერიოდის
ძეგლების (ჯიხანჯური, ჩოლოქი, კვირი-
კი, ხუცუბანი, ქობულეთი, კოხი, ჩაისუ-
ბანი, სახალვაშო, ბეშუმი) განლაგების
მიკრორეგიონების დახასიათება, ძეგლე-
ბის სტრატიგიური მო-
ნაცემის დეტალური აღწერა.

ცალკეულ ნამოსახლარების დახასია-
თებისას გამოყენებულია ერთიანი პრი-
ნციპი, კერძოდ, მოპოვებული მასალე-
ბი ღაგულებული სახეების მიხედვით
(ნეკლები, ანატრიქევი, ანატეკეცი, ლა-
მელა, საჭრისი, საფხეცი, სახერეტი, ხე-
რისებური იარალი, ისრისებური იარა-
ლი). იარალთა ცალკეულ სახეებში მოყ-
ვანილობისა და სამუშაო პირის ფორ-
მის, აგრეთვე, გამოყენებული ნელლებ-
ის მონაცემთა მიხედვით გამოყოფი-
ლია ქვეჯგუფები. აეტორი შედარებით
ფართოდ და ღარებილებით გადმოგვ-
ცემს ხუცუბნისა და ქობულეთის ნამო-
სახლარების მასალებს. დღეს ცნობილ
აღრეულ ძეგლებს შორის მასალის ოდ-
ენილისა და მნიშვნელობის მიხედვით
სწორედ ეს ორი ნამოსახლარი გამოიჩ-
ჩევა. ამასთან აეტორი შენიშნავს, რომ
ქობულეთის ნამოსახლარი ერთ-ერთი
უმნიშვნელოვანესი ძეგლია ამიერკავკა-
სის აღრენეოლითური პერიოდის ნა-
მოსახლარებს შორის. სოფელ ქობუ-
ლეთის ნამოსახლარი განსაკუთრებულ
ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ იგი
ერთადერთი ძეგლია, სადაც ნაწილობრივ

გადარჩენილია ხელუხლებელი კულტურული ფენა. ის გარემოება, რომ ყველა აღრეული ნამოსახლარის (ბეჭუმის ნამოსახლარის გამოკლებით) ძირითადად ხასიათდება ერთგვაროვნებით (გამოყენებული წედლეული, იარაღთა ტიპები, მათი მიკროლითური ხასიათი, იარაღთა დასამზადებელი წედლეულის მიღების ტექნიკა, იარაღთა დამზადებისას გამოყენებული მეთოდები და ხერხები) და განსხვავება უმთავრესად ცალკეულ ძეგლებზე მოპოვებული ინვენტარის ოდენბით გამოიხატება, ავტორს საშუალებას აძლევს მათი ანალიზი ერთიანად წარმოგვიდგინოს.

ბეჭუმის ნამოსახლარის მასალების განხილვისას ავტორი მიუთითებს გამოყენებული კაუის დაბალ ხარისხზე და შენიშვნას, რომ აღრე გამოთქმული მოსაზრება ზღვის სანაპირო ზოლში ბეჭუმის გამოსავლების გამოყენების შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება.

ნაშრომის II თავი (გვ. 69-89 მთლიანად დათმობილია სამხრეთ-აღმოსავლეო შეგიზღვისაბირეოს განვითარებული წეოლითური ნამოსახლარის — მახვილაურის სადგომის შესწავლისადმი. ნამოსახლარის შესახებ მსჯელობის დახარისხის შეივე ხაზებსამულია, რომ იგი შეავალუენოვანი ძეგლიდა სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის (წეოლითი, ბრინჯაო, გვაინელინისტური და ფეოდალური ხანი) მასალები, რომელიც მიითვლის საყურადღებო წეოლითურ ინვენტარს, სადაც გამოყოფილია კაუისა და ობსიდიანისაგან დამზადებული ნაწარმის ჯუფი, რიყისა და ბაზალტის ქვისაგან დამზადებული ინვენტარი, თანმხლები კერამიკული წაწარმით. ცალკეა გამოყოფილი ანგობირებულ კერამიკის მცირე ჯუფი, რომელიც რამდენადმე მოვაინონ პერიოდისას უნდა იყოს და რომელსაც ჯერგერობით სამეცნიერო ლიტერატურის პარალელი არ მოექცევა. ამვე ფართოდ გამოგვიდგინება.

ბორცვზე წარმოებული ღრმა გაულიას უკავის, ციტრუსოვანთა ნარგავისა და შენებისა და მისი ინტენსუატურული შევების შედეგად ნეოლითური ინვენტარის ძირითადად დარღვეულია — მხოლოდ რამდენიმე კვადრატმეტრში შეიმჩნევა შედარებით უძრავი მასალა (50-75 მმ სიმაღლეზე), ძირითადად, კაუისა და ობსიდიანისაგან დამზადებული ნაწარმი. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ მახვილაურის წეოლითური სამოსახლარის ტერიტორია მოვაინებით, ბრინჯაოს სანისაფეის, სამაროვანადაც ყოფილი გამოყენებული. ნამოსახლარზე შვაურილიანი 17 სამარხია შესწავლილი. სამარხები ჩაჭრილი იყო მიწის ზედაპირიდან 1,5-2 მეტრ სიღრმეზე. აქედან წეოლითური მასალა მხოლოდ 50-75 მმ სიღრმემდევ კრიტიკული დონდა. სამწუხაორდ, აღნიშნული სამაროვანის მასალები დღემდე არ არის შესწავლილი. ამვე შეენიშნავთ, რომ აუცილებელია მახვილაურის ნამოსახლარის შემდგომი შესწავლა და ამ დიდშივნებულოვანი ძეგლის მონიცარებული გამოვეყენება.

ირკვევა, რომ კეი და ობსიდიანი წეოლითელი დამითანის სამეურნეო საქმიანობაში ღილანს ინარჩუნებდა წმინდა როლს. ობსიდიანის იარაღების შემცირება, ს. გოგიტიძის აზრით, მეურნეობის ხასიათის შეცვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული; კერძოდ, მითვისებით მეურნეობის ფორმიდან მწარმოებლური მეურნეობის ფორმაზე გადასცვლასთან. განვითარებული წეოლითის ხანში აღმიანი უკვე შედარებით მკვიდრ ბინადარ ცხოვრებაზე გადადის და სამეურნეო საქმიანობაში წინა პლანზე მოწარმებულება დგება. ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს, რომ ობსიდიანის როლის დაკინება რიყის ქვისა და ბაზალტის ქანების ათვისებასთან, აგრეთვე, კერამიკის გაჩენასთანც უნდა იყოს დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ობსიდიანის საბაღოები მახლობლად არ მოიპოვებოდა და იგი შემოტანის საგანი იყო. კაუისა-

და ობილიანს იმ იარაღებში, რომე-
ლიც ჩევით რევოლუციას ძეგლებშია გამო-
ლენილი, უმისიშვერელოვანესი ადგილი
გეოპეტრიტულ მიკროლიტებს უკუთა.
გამოიყოფა ცალგვერდ, ორგვერდ და
სამგებერდ დამჯუშავებული ტრაქეციები,
სეგმენტები, აგრძელებ მაღალი, ზურგა-
თლილი სწორკუთხედები.

ბაზალტიდან დამზადებული იარაღების შესწავლისას აეტორი სპეციალურად ჩერდება უსლებსე, სათლებებსე, სატექნიკურო, სოლებზე, სატექ-სათლებებზე, „პიკისებურ“ მაგროლითებზე, თონისებურ და წირაქვისებურ იარაღებსე, სასრესესსა და სანაყებზე, ხელსაფეავებზე და განვრცელ ჰეჭპე; იარაღის ფორმებსა და სამუშაო პრის მოყვანილობის მიხედვით ნემრომში გამოყოფილია ცალკე ჩემული. აეტორი ღიღ ყურადღება უთმობს მახვილყრის ნამოსახლორზე მომოვებულ შეტაცულისა და საწაცი ჰეჭპების განხილვას. საწაცი ჰეჭპეზი თრიპი გაერთიანებულია საწაცი, რომლებიც ჩემს რევოლუციურ ფრანგულ არის გარეულებული. მათ, სიბრტყის ორივე ჯერდზე, შეა ნაწილში ავთ ამოღარება (12 საწაცი). ასეთი ნაწილში ცნობილია ცხისიძირის, ისპანის, გონიოს, ბათუმის ცხისი, ფიქერარის, ურეკისა და სხვ. ძეგლების მასალებში. ისინი, აეტორის ახრით, შეძლება გამოყენებით არმატრო ბადის ჩასიძირად, არამედ სართავ დაზარე ქსელის დასკიმადც. ლინიშეულ ნაწარში, რომელიც ას მცირე რაოდნენითთავ წარმოდგენილი ნამოსახლორზე, აეტორი ნეოლითურ მასალებს ას უკავშირებს და მათ მოვალეო ხანით ათასილებს. მეორე ტრიპის მრავალრიცხვონი საწაციები (463 ცალი), რომლებიც ასევე რიყის ქვესგნაა დამზადებული, გამოიჩინიან რიგი თვისებურებით; კერძოდ, მათ ცალ გვერდზე მხოლოდ თითო ამოღარება ახსიათებთ და გამოიჩინიან ფრამის, ზომისა და წონის მრავალსახეობით (თო ქვეტიპი). აეტორი სწორედ ამ ტრიპის საწაციებს უკავშირებს ნეო-

დაითურ კულტურას, თუმცა ისინი ჟე-
რჯერობით სრულიად უცნობია სხვა
ნეოლითური ძეგლებიდან. ამავე თავში
ავტორი განსაკუთრებით ჩერქეზების კულ-
ტურის ნამოსახლორზე კერამიკული
ვილაურის ნამოსახლორზე კერამიკული
წარმოების გაჩენის საკითხზე. მართა-
ლია, აქური კერამიკის შესწავლა გაძ-
ნელებულია იმის გამო, რომ ცურპლე-
ბის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შე-
მორჩენილი, მაგრამ ეს გარემოება სრუ-
ლიადაც ვერ ამტკრებს მათ დღი მნიშ-
ვნელობას. მახვილაურის ნეოლითური
ნამოსახლორის კერამიკში ჭურჭლების
ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა, რო-
მელთაგან თვითოვალში ორ-ორი ძვე-
ჯგუფი შეინიშნება.

ნაშრომის III თაში (გვ. 90-110) დართ ადგილი ეომიბა აღტული ნეოლითური ნამოსახლარებისა და მახვილაურის განვითარებული ნეოლითური ნამოსახლარის დახასიათებას და გრევულია მათი ქრონოლოგია. აღტული ძეგლები ერთგვარონებისა და მსგავსების გამო ნეზრობში ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ძეგლების ჯგუფშია გაერთიანებული და მოცემულია მათი სიერთობასთან. იმის გამო, რომ სამჩხველომოსაც შავილებისპირებში რა კვეჭებს მკაფიოდ დადგენილ სტრატიგრაფიის მქონე ნეოლითური ძეგლები, ქრონოლოგიის საკითხის გასარკვევიდ ავტორი მიმართავს ისეთ ნაცად საშუალებას, როგორიცაა ცალკეულ ძეგლთა კომპლექსების იარაღ-ხელაშვილებისა და კერამიკის ტიპოლოგიური ანალიზი, აგრეთვე, გამორიცხვის მეთოდს. ქრონოლოგიის საკითხის გარკვევისას ფართოდა მოშველიებული ამიერკავკასიის მეზოლითური და ნეოლითური ძეგლების მასალები. შედარებულია წინა აზიის, ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმისა და უკრაინის, კასპიისპირეთასა და შუა აზიის ჩეგონების სინქრონული ძეგლების მასალებთან; შესწავლილ ძეგლები ქრონოლოგიურად ორ ჯგუფადაა გაყოფილი: I ჯგუფში გაერთიანებულია ჯიხანჭურის, ჩოლოქის, კვირიკეს, ხუცუბნის, სოფელ

ქობულეთისა და ბეჭუმის ქეგლები, მე-ორეში კი მხოლოდ მახვილაურის ნამო-სახლარი. I ჯუფის ქეგლების ურთი-ერთმსგანების გამო, ავტორი მიზანშე-წონილად არ მიიჩნევს თითოეული მა-თვანის ცალკე განხილვას და იძლევა-საერთო ანალიზს. აქვე აღნიშნულია, რომ ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ქეგ-ლები ყველაზე მეტ მსგავსებას ნეოლი-თურ ნამოსახლარ ანასეულ 1-თან (მა-ხარაძის ჩაითნი) იჩენს. ეს მსგავსება უპირატესად გამოიხატება იარაღის და-საზადებლად გამოყენებული მასალის, იარაღთა სახეებისა და დამუშავების ტექნიკის ერთვაროვნებაში. ამასთან, არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც; კე-რძოდ, კინტრიშისა და ჩილოქის აუზის ნამოსახლარებისათვის სრულიად უცნო-ბია რიყისა და ბაზალტის ქვისაგან და-მზადებული გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და გეომეტრიული მიკროლი-თები (კაფისა და ობსიდიანის ტრაპეცი-ები, სეგმენტები, სამკუთხედები და სხვა ჩასართი იარაღები).

ნაშრომში მითითებულია, რომ თუ ადრე ეს განსხვავება ახსნილი იყო კინ-ტრიშის ნამოსახლართა კომპლექსის მა-სალების ანასეულ 1-ის მასალებთან შეფარდებით, სმტკირო, ამჟამად მდგომარეობა აშკარად შეიცვალა; მარ-ტო ქობულეთის ნამოსახლარზე მოპო-ვიბული ინვენტრი 8.200 ერთეულზე მეტს მითვლის და ანასეულისას (4.020 ერთეული) ორჯერ აღემატება; ამავე დროს ხუცუბნის ნამოსახლარის კოლე-ქციაც 2.000 ერთეულად დე გაიზარდა; თუ ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ქეგლე-ბისათვის სრულიად უცნობია კერამიკა, სამაგიროდ, იგი დამახასიათებელია დასკვლეთ ამიერკავკასიის განვითარე-ბული ნეოლითური ნამოსახლარებისათ-ვის. ასეთ ვითარებაში ქობულეთ-ხუც-უბნის ტიპის ქეგლების დასათარიღებ-ლად ავტორი სმარტლიანად ემყარება ლამელების (ფირფიტების) ატკეცვისა და იარაღების დამუშავების ტექნიკური ხერხების ხასიათს, კერძოდ, წევითი რეტუშის განვითარებას, იარაღთა უმ-

რავლესობის ლამელებზე ქართულებე-ბის ფაქტს, თვით იარაღთა უსურეკუმბრებს, აგრეთვე მეზოლითური უსურეკუმბრების ფორმისა და დამუშავების ტექნი-კის გადმონაშობების არსებობას. დათა-რიღებისა ვეტორი უპირატეს მნიშვ-ნეობას ანჭებს ქეგლთა ერთიანი კომპლექსის ძირითადი და წამყვანი ია-რაღების მონაცემებს. ქობულეთ-ხუც-უბნის ტიპის ქეგლებში ასეთ ძირითად წამყვან იარაღებად მიჩნეულია საჭრი-სები, საფეხური, გვერდდაუშესვებე-ლი და გვერდდამუშევრული ლამელები.

ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ქეგლთა ინვენტრის ტიპოლოგიურ-შედარებით შესწავლასა და გამორჩეულის მეთოდის გამოყენების საფუძველზე ნათელი ხდე-ბა მისი მსგავსება-განსხვავების სურათი ანასეულ 1-ის ტიპის ქეგლებთან.

ქობულეთ-ხუცუბნის ჯუფის ნეო-ლითურ ნამოსახლართა მასალების დე-ტალურ შესწავლა, მისი შედარება ანა-სეულ 1-თან, ამ ქეგლების მსგავსება-განსხვავების მასასითებელთა გათვალი-სწინება ავტორი საშუალებას აძლევს გვიჩენოს, რომ ანასეულ 1-ში წარმო-დგენილი ნეოლითური კულტურის გა-ნეითარების უფრო მაღალი საფეხური, ხოლ ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ნა-მოსახლარები ამ კულტურის ძრეულ ეტაპს, მისი წარმოქმნა-ჩამოყალიბების ხანას მიეკუთხნებან.

ამიერკავკასიის მეზოლითური და ნე-ოლითური ნამოსახლარების გათხრები-სას მინებული კომპლექსების შესწავ-ლისა და ანალიზის საფუძველზე ავტო-რი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქობუ-ლეთის, ხუცუბნის, კვირიკეს, გიხანჯუ-რის და ჩილოქის ნამოსახლარები ქრო-ნოლოგიურად წინ უსწრებენ ანასეულ I-ს და მეზოლითურიდან ნეოლითურზე გარდამავალი საფეხურით უნდა იქნან დათარიღებული.

სარეცენიო წიგნის III თავის მეო-რე პარაგრაფი მოლინად მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარის ქრონოლო-გიის გარევებას ეთმობა. მახვილაურის ნამოსახლარი ახლო მსგავსებას იჩენს

დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და შესწავლილ განვითარებულ ნეოლითურ ნამოსახლარებთან (ანასეული II, ოდიში, კისტრიკი, ნიურაია შილოვკა, ხორში, ჩხორთოლი, ღუმურიში და სხვ.).

ავტორი მიუთითებს იმ დიდ განსხვავებაზე, რაც შეინიშნება ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ძეგლებსა და მახვილაურს შორის, იგი ამ ფაქტს სამართლიანად ხსნის იმ გარემოებით, რომ ეს ძეგლები ქრონოლოგიურად განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოვიდგენენ.

მახვილაურის ნამოსახლარს, ავტორის მტკიცებით, გააჩნია განვითარებული ნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა კომპონენტი (მრავალფეროვანი ნედლეულის გამოყენება, განხევა-გაპრიალების ტექნიკის აოვისება, მდიდარი ასორტიმენტის იარაღ-ხელსაწყოები, მათ შორის გეომეტრიული მიკროლითების სიცხვე (ტრაპეციები, საჭუთხედები, სეგმენტები, ზურგათლილი სწორუკობები) კრამიკული წილმოვების აოვისება და ა. შ.).

ავტორი მახვილაურის ნეოლითურ მასალებს ოდიშის ტიპის ძეგლებთან აკავშირებს, მაგრამ კვლევისას, ბუნებრივად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქციებს მახვილაურის ნამოსახლარისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ნაშრომში მახვილაურის ნეოლითური კერამიკა შედარებულია ოდიშისა და ანასეულ II კერამიკასთან. მასთან, მითითებულია, რომ კერამიკული ჭურჭლები ბრტყელი ძირებით, ძირითადი რომაა მახვილაურისათვის, გავრცელებულია ფართო გეოგრაფიულ არეალზე და ამდენად ანალოგიათა წრეც დიდია. მახვილაურის ნამოსახლარზე ბრტყელძირიანი კილისებური ჭურჭლების არსებობა ავტორს კიდევ ერთ დამატებით არგვენტად მიაჩნია იმის საჩერებლად. რომ უძველესი ბრტყელძირია ჭურჭლების გაჩენა ბინადარ სამიწამოქმედო ცხოვრებაზე გადასცლას უკავშირდება.

მახვილაურის ინვენტარის შესწავლაში შედარება დასავლეთ ამიერკავკასიასა და სხვა ჩეგონების სინქრონულურებისა მასალებთან ავტორს უფლება უზრუნველყოფის ნეოლითური მახვილაური განვითარებულ ახალ ქვის ხანას მიაკუთვნოს და ოდიშის ნამოსახლარზე უფრო აღრეულ ძეგლად მიიჩნიოს.

წიგნის IV თავში ავტორი ახლად აღმოჩენილი და შესწავლილი ძეგლების მონაცემების მიხედვით აკეთებს საერთო დასკვნებს და გაღმოსცემს კვლევის ძირითად შედეგებს. ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ძეგლებისა და მახვილაურის ნამოსახლარის მასალების შესწავლა ავტორს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი მეზოლითისა და ნეოლითში ინტენსიურად ყოფილა ათვისებული და დასახლებული. შესწავლილი ძეგლები ქრონოლოგიურად მოიცავს გრძელ პერიოდს — ნეოლითური კულტურის ჩასახვიდან ამ კულტურის განვითარებულ საფეხურამდე. მოპოვებული მასალების შესწავლას ავტორი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ მეზოლითის შეცვლა ნეოლითით ხდებოდა ნელა და თანდათანობით. ამასთან, იმის გამო, რომ ამ ორი ისტორიული ეპოქის ხანგრძლივობა საქამაოდ მოიწრე იყო, მათ ვერ დაგვიტოვებს ისე მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალარიზმით, ვთქათ, წინმორბედმა ან მომდევნო ეპოქებმა. თუ ნაშრომის მეორე და მესამე თავში გაღმოცემულია არქეოლოგიური მასალების დეტალური შესწავლის შედეგები, აქ, მეოთხე თავში, ყურადღება უფრო მეტად ნამოსახლართა იმ თავისებურებებზე გამახვილებული, როთაც ისინი განსხვავდებიან წინა აზიის, ჩრდილო კავკასიის, ყირიმის, უკრაინისა და შუა აზიის ადრენეოლითური და განვითარებული ნეოლითური კულტურებისაგან. ნაშრომის ღისებაა იმის ჩვენება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელი არის განვითარების დამოუკიდებელი გზა.

ქობულეთის ნეოლითური ნამოსახლა-
რის მასალები საქმიანდ დამაჯერებლად
შეიტოვებს იმაზე, რომ აქ, ერთსა და
იგვე ადგილას, ცხოვრება ლიდი ხნის
განმავლობაში მიმდინარეობდა და მოსა-
ხლეობაში უკვე აღარ არსებობდა საც-
ხოვრებელი ადგილის სწრაფმონაცლე-
ობის ტენდეციები. თანაც, ჩამოყალი-
ბებული ჩანს დასახლების მხოლოდ ერ-
თი ტიპი. სხვადასხვა ძეგლებზე მოპო-
ვებული მასალების ერთგვაროვნება და
მსგავსება, როგორც ფორმებით, ისე
დამზადების ტენდეცია, სრულიად ბუ-
ნებრივია, გვაციქრებინებს, რომ სამხ-
რეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის
ტენდეცია ძეგლებზე (ჩინანჭური, ჩოლ-
ოქი, ხუცუბანი, ქობულეთი, კვირიე და
სხვ.) უკვე საფუძველი ჩაეყარა ტომიძ-
რივ ცხოვრებას, შექმნა ტომების წარ-
მოქმნა-განვითარების სტაბილური პირო-
ბები. ნამოსახლართა სისტირე (დაშორება
2-10 კმ), იარაღთა დამუშვებების ტენ-
დიკის, გამოყენებული ნედლეულის და
დასახლების ხასიათის ერთგვაროვნება
მეტყველებს ერთგვაროვანი კულტურის
არსებობაზე, რომელსაც უსათურო ლო-
კალური თავისებურებები უნდა ჰქო-
ნდა. ნაშრომში, ამასთან, სამართლია-
ნადა მითიობული, რომ ქობულეთ-
ხუცუბნის ნამოსახლართა ჯგუფს ჰქო-
ნიდევ მნიშვნელოვნად მოსდევს მეზო-
ლიოტური კულტურის ტრადიციები, რა-
ზედაც მიანიშნებს საჭრისებისა და საფ-
ხევების აბსოლუტური სიჭარე, ზურგ-
დაბლაგვებული ლამელების შენარჩუ-
ნება, რიყისა და მაგარი ქვის ქანების
გამოყენება, გომეტრიული მიკროლი-
ოებისა და „მოცავი“ რეტუშის უქნ-
ლობა, კერამიკული ნაწარმის არასე-
ბობა; უკვე მახასიათებელი ძეგლთა
ონიშნულ ჯგუფს თავისებურ ხასიათს
ანიჭებს და გამოაჩევს დასავლეთ მით-
ერავვისის ნეოლითური კულტურის
სხვა ძეგლებისაგან. სამწუხაროდ, ლია
ტიპის ის ნამოსახლარები, სადაც ბუნე-
ბრივი პირობების გამო არ ინახება ხის,
ძვლისა და რქის ნაწარმი, საშუალებას
არ გააძლევს სრული წარმოდგენა ვი-

ქონიოთ იარაღთა ყველა იმ ფორმასა,
დანიშნულებასა და სამუშარებრო ცემო
უყნებაზე, რაც ამ პერიოდისათვის ენ-
და ყოფილიყო დამახასიათებული რეზი-
მონადირეობის რომზე, სამუშაოების
ამ სახეობის ჰქონიდევ კიდევ დიდ კუთხ
წონაზე მიუთიობს ქობულეთ-ხუცუბ-
ნის ნამოსახლარებზე ტყავის დასმუშა-
ვებელ საფხევთა სიმრავლე. მეორე
მხრით, საჭრისთა სიუხვე იმისი მაჩვე-
ნებელია, რომ გაიზარდა მოთხოვნი-
ლება ხის, ძვლისა და რქისაგან დამზა-
დებულ იარაღებზე (სახვრეტი, სადგი-
სი, შებისპირი, ანკესი და სხვა მრავა-
ლი). ნეოლითური დასახლებები მდინა-
რეთა ნაპარებზე იყო გაშლილი და,
ბუნებრივია, მათ ყოფაში მეორეზეობას
უალრესად მნიშვნელოვანი აღვილი უნ-
და ჰქონდა. აღრემეზოლითში თევზის
მოპოვება თუ ძირითადად ჭვილთით წა-
რმოებდა, გვიანდებოლითში და ადრე-
ულ ნეოლითში, როგორც ჩანს, ანკესს,
გოდორყურებას და ე. წ. კოკოზას (წნე-
ლისაგან დამზადებულ კალათს) ენიჭე-
ბოდა უპირატესობა.

უნდა ვიფაქროთ, რომ სამხრეთ-აღ-
მოსავლეთ შავიზღვისპირეთში მეზო-
ლიოტური ხანის დასახლელსა და აღრე-
ნოლიოტური პერიოდის გარიერაზე
აღმიანს უკვე ვეღარ აქმაყოფილებდა
მონადირეობა და შეგრძოვებლობა,
თუმცა იგი, ხელსაყრელი ბუნებრივი
კლიმატური პირობების გამო შესაძლე-
ბელი იყო თითქმის მთელი წლის გან-
ვლობაში. საინტერესოა, რომ აღნიშ-
ნულ რეგიონში ეთნოგრაფიულად
დღესაც გამოიყენება თევზის დაჭრის
უძველესი ხერხები. განვითარების ამ
ეტაპზე აღრენეოლითელ ადამიანს უკვე
ვეღარ აქმაყოფილებს საკევების მოპო-
ვების ერთგერადობა და მისი ხარისხი,
ვერც აღგილსამყოფელის ხშირი მონაც-
ლეობა. ამიტომ უკვე ღლის წესრიგში
დგება და აუცილებელიც ხდება მეურ-
ნების ხასიათის შეცვლა, რომელიც იმ
პერიოდში ჰქონიდევ კიდევ მიმოვისებლური
იყო.

წიგნში ყურადღებაა გამახვილებული მიწათმოქმედების ჩასხვა-განვითარების საკითხებზე. ახალმა არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა შეავსო და მნიშვნელოვნად შეცვალა წარმოდგენა უცვლესი სამწიათმოქმედო კულტურის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ, გარეველი შეუქმნის მონაცინა იმ პროცესების მსვლელობას, რამაც კაცობრიობა მიიყვანა ისტორიის უძრავნელოვანებს ეტაპთან — მიმოვისებლური ეკონომიკიდან მწარმოებლურ ეკონომიკურ გადასვლამდე. თუ აღრი მცენიერები ამ პროცესს ძვ. წ. IV ათასწლეულს უკავშირებდნენ, ახლა სამიწათმოქმედო კულტურის ჩასხვა-განვითარების რამდენიმე პირველადი ცენტრი. წევნოსის მნიშვნელოვანია ისიც, რომ თე ახლო წარსულში უძველეს სამწიათმოქმედო ცენტრებად აღიარებული იყო პალეონინა, ერაყი, ირანი და შეუ აშია, ახლა ასეთ ცენტრად აღიარებულია მიერკავკასიაც. მეურნეობის ახალი, პროგრესული ფორმების წარმოქმნის ერთი დამოუკიდებელი კრიოთაგნი წინააზიური სამყაროს ჩრდილოეთი ზოლი — მიერკავკასიაა; ამ-ეკვიპარში, კრძოდ დასაცლეთ საქართველოში, აღმოჩენილია ნეოლიტური კულტურის ყველაზე აღრეული ძეგლი ძი. ანგარიშგვასწევია ის გარემოებაც, რომ მიერკავკასია, კრძოდ საქართველო, მინეულია ველური ხორბლების ერთაგან სამშობლო.

თე სამხრეთ-აღმოსაცლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლიტური კულტურის აღრეულ ეტაპზე გამოკვეთილად არ ჩანს სამწიათმოქმედო მეურნეობის არსებობის ნიშნები, მაგრამ აღმოსაცლები ნამოსახლარზე ამ მშროვ უკვე გარევეული ძეგლი შეიმჩნევა. მას აღასტურებს მნიშვნელოვანი როდენობით გამოვლენილი

მჩავალფეროვანი მასალა (გეომეტრიული მკროლითები, წერაქვისებრი სოლისებრი მკროლითები, გაზეზილ/გამჩალებული იარალები, მარტინული და სახისისებრი იარალები, ჰერიტეიტურის და სანაები, სახე-სასრუსები, ნაგლოსებრი ჩასართები, ქვის ცულები და ა. შ.).

კერამიკის გაჩენის ერთ აღრეულ კარად მაცვილაურის ნამოსახლარი უნდა იქნას მიჩნეული, რაც მიუთითებს სამოსახლოს ბინადარ ხასიათზე, მეურნეობის პროგრესული ფორმის დამკვიდრებაზე, როცა ისახება მიწათმოქმედება და საფუძველი ეყრდნა მეურნეობას.

დასასრულს აეტორი ვეთავაზობს 15 პერიოდისან შემდგარ მოქლე დასავნებს (გვ. 122-123), სადაც წირმოდგენილია ძეგლების საერთო ზოგადი, კონკრეტული და ლოკალური ნიშნები. ქრონოლოგიის თვალსაზრისით აღსანიშვნით მე-10 პერიოდი; სადაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლიტურ კულტურაში გამოყოფილია სამი საფეხური: I მეზოლიტიდან აღრენეოლიტურზე გარდამავალი ხანა (ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჭიხანგური, ჩოლოქი, ჩისუბანი, სახალევშო), II აღრეული ნეოლიტური საფეხური (ანასეული I) და III განვითარებული ნეოლიტური საფეხური (მაცვილაური, ხორში, ანასეული II, გურიანთ, მამათი, ოდიში, კისტრიკი, ქვედა შილოვკა, ჩხორთოლი, ლუმურიში).

უნდა გავიზიაროთ ატორის დასკვნა, რომ სამხრეთ-აღმოსაცლეთ შავიზღვის-პირეთის განვითარებული ნეოლიტური კულტურა გენეტიკურად უკავშირდება კავკასიის აღრენეოლიტურ და მეზოლიტურ კულტურებს.

ნაშრომს ახლავს საქმაოდ მოზრდილი რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 124-136), მაგრამ სამწიაროდ არ გააჩნია რეზიუმე უცხო ენაზე; ასევე, დასანანაა,

რომ გამოტოვებულია ნაშრომზე დართული მდიდარი საილუსტრაციო მასალების აღწერილობა რუსულ ენაზე; სარჩევში გვერდების მითითების დროს შეინიშნება უზუსტობა, ხოლო ტექსტში, მათ შორის რეზიუმეში, გაპარულია ენობრივი და პუნქტუაციური შეცდომები.

რა თქმა უნდა, უნაკლო გამოვ-

ლევა ძნელად თუ მოიძებნება. ამასთან, ამგვარი მცირეოდენი ნაკლის შენობა-დიდი ცოდვა არ იქნება ისტორიული მისათვის, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის ისეთი ფუნდამენტალური პრობლემის კვლევაში, როგორიცაა მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა და გაფორმება.



ОДИНАДЦАТЫЙ
ВЫПУСК 1983

ვაკ 40 სსЗ.

ЛITERATURNO-HUDOZHESTVENNYIY
I OБЩЕСТВЕНNO-POLITICHESKIY JURNAL

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118